# იმედი

## 1881

წელიწადი პირველი

**№ IX**, სექტემბერი.

ტფილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1881

## სეკტემბრის წიგნის შინაარსი.


I. ბედნიერი კუნძული (სურათები, შენიშვნები და დაკვირვებანი)—შაქროსი . , . . . . 3
II. უწინდელი ჩვენებური დედა და შვილი (ლექსი) — თეოფილე კანდელაკისა . . . . . . 30
III. ისარი—ეკალაძისა . . . . . . . . 34
IV. ფეშქაში ჩვენი ჭკუის კოლოფებს—კოტოშისა 42
V. *** (ლექსი)—მ. გ. მ-სა . . . . . . 46
VI. რა-გინდა-რა—გ. ჯ—შვილისა . . . . . 48
VII. საქართველოს მოკლე მატიანე—მ. ჯ—ლისა 53
VIII. „იმედის“ კორრესპონდენცია კახეთიდგან — რაულ-დე-ლა-ტრამბლე . . . . . . 70
IX. წერილი რედაქტორთან—სურამის პოლიციის პრისტავის დავით დეკანოზოვისა . 78
X. „იმედის„ კორრესპონდენცია ზუგდიდიდგან —კიდეგ გიტყვისა. . . . . . . . 80
XI. ბიბლიოგრაფია—რომან მამსაშვილის—ცამ-ციევისა . . . . . . . . . . 86
XII. შინაური მიმოხილვა—მ. გურგენიძისა . 102
XIII. რედაქციისაგან საყოველთაო საყურადღებოთ 111

# ივერია

ყოველ-თვიური

სალიტერატურო და საპოლიტიკო

ჟურნალი.

წელიწადი პირველი.

სექტემბერი.

№ IX

თფილისი

ექვთიმე ხელაძის სტამბა.

1881

6080

საქ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук



Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Сентября 1881 г.

# ბედნიერი კუნძული.

(სურათები, შენიშვნები და დაკვირვებანი)

## თავი I

მთლად ჩვენი საქართველო „მშვენიერიაო“, „ბედნიერიაო“, ჩემო მკითხველო, ჩაგვძახიან ყურში თითქმის ყველა წიგნები ქართულ ენაზედ, თუ ლექსები და, რა გასაკვირველია ჩვენში, რომ ერთ ბედნიერ კუნძულს წავაწყდე და ვიმუსაიფო იმაზე თქვენთან?!—არაფერი არ არის აქ საკვირველი, თქვენმა მზემ! ქართველები ესლაც ხომ ბედნიერები ვართ და წარსულ „ნეტარ“ დროს ხომ ბედნიერზე ბედნიერები ვიყავით. აბა თქვენგან არ მიკვირს, ნეტარ ხსენებულ ქართლოსიდგან, ფარნაოზ მეფიდგან — „ოდეს გვფარავდა ერეკლეს ხმალამდე“ (ხმალი კი არ დაივიწყოთ!), გინდ ზაქი-ჭამია გიორგიც მივუმატოთ, — რაო სიბედნიერის ლილასხანა წაგვიხდეს?! ფეი თქვენმა მზემ, ამან ვერ დააბნელოს დრო, ოდეს „პატრონი ყმას უბით ინახდა“, ესარჩლებოდა, რადგან საკუთარი მისი ნივთი იყო, თავის „უძვირფასეს სამკაულით“—„ქორწინების პირველ ღამით“, რომელსაც „სწორ-მასწორ“ მალებმა ისე შეკუმშეს ქართველთ ცხოვრება, რომ ის ლაზათიანათ მოათავსეს ვახტანგის კანონებში. ჰო, ბედნიერი იყო ჩვენი ქვეყანა უწინ, და მიტომ უკუ უნდა ვძვრეთ მე 18, მე 17... და კიდევ უკანა საუკუნოების ხვრელებში, რომ ბედნიერზე ბედნიერები დავრჩეთ, როგორც მა-

შინ, ოდეს თამარ წყნარი, სმა ნარნარი ჰყვანდა საქართველოს, ოდეს შოთა, ჩახრუხაძე, შავთელი, ბესიკი და სხვები ყურს უტკბობდნენ საქართველოს შვილებს! გაუმარჯოს ისევ აბჯ-რის რახტის ჟღერას, თოფის ქუხილს, ბატონ-ყმობას, . . . . . . ! რასაკვირველია, ტყუიან. ჩვენო მკითხველნო, ი ვიღაც ჩასწავლებს ქმახიან, აი თუნდ ვიკტორ ჰიუგოსაო, რაღაც ვირის თავ-ფეხი, რო ამბობს —„აღმოიფხვრება ის ხალხი, რო-მელიც თავის იდეალებს წარსულში ხებნის და არა აწმყოთი ქმნებს მათ შემდეგშიო"; — აბა, ჰიუგო ფრანცუზია და იმათ რა აქვსთ კარგი წარსულში, თუ ღმერთი გრწამთ? სისხლის მსმელი რობესპიერი, დანტონი, მარატი, დემულენი — რაღა მოსა-გონებლები არიან?! ჩვენ ერეკლეს თუ წაავგვანან?! ან არა და განა მოინდომებს საფრანგეთის მდიდარი ხალხი, — რომე-ლიც რესპუბლიკასაც კი იმით შეჰხვია, რომ იქ ღორივით და-სუქებული დეპუტატები შეგროვდნენ, რომ 71, 48, 79 წლის სურელებში ყუყუ გამვრნენ! ღარიბები თუ, მაგრამ იმათ ვინ რას ჰკით-ხავს!.. ავიღოთ გინდ სხვანი — აი ამერიკის შტატები — ვინ ჰყავთ წარსულში? — ფრანკლინი, ვაშინგტონი, ლინკოლნი! დიახ, გინდ ჩვენ ზაქი-ჭამიას დაუმსახურდამსახურდნენ! წარსული რომ არა აქვთ, აგი არც აწმყო უვარგათ! მოჯამაგირეს და ალასაც მუშაობის შემ-დეგ ფელხატკები აქვთ ხელზე, სადილს ერთად სჭამენ, კლუბ-ში, თეატრში ერთად სხედან — მერე ალებიც მუშაობენ — მეხი კი იმათ! ჰო და ასრე! ერთი წიწკნა რიგი არა აქვსთ! ჩვენში დიდ-პატარაობაა, რიგია — ბატონი სეირნობს, გლეხი მუშაობს, გლეხს სიმინდის მჭადი აქვს, ბატონს გამტკიცული პური... გლეხი ჩაფართან, პრაოჭკითხანაც კი მოწიწებით უნდა იყოს!.. ამბობენ, იქ ბატონიც და მოჯამაგირეც ერთად სწავლობენო, და მერე კიდევ ბატონ-ყმობა სულ არ ყოფილა და არც ქსლაათ-

— ეს კი არა მჯერა! გლეხებს ჩაგრები არა სცემენო — აბა რა დასაჯერია!...—ასეთივეა სხვა ხალხის წარსულიც! „მარტო ჩვენა ვართ, ჩვენ ქართველები, სხვა არსად არის“! (სომხებიც კი მოგვჩანჩალებენ)!.....

მაშ დარწმუნდი, მკითხველო, რომ მე ბედნიერ კუნძულს წაგაყვენებ და მასზედ გემუსაიფები. ბედნიერი და როგორი ბედნიერი! ამისი ავან-ჩავანი ძველთაგან — ძრიელ ძველთაგან მომდინარეობს! წარმოიდგინეთ ის ნეტარ-ხსენებული დევ-ციხე აქ არის აშენებული! ის დევ-ციხე, რომელიც არის ამხანაგი სამშვილდე, ანუ ორბის ციხისა, ბოსტან-ქალაქისა და რომლებზედაც საქართველოს ისტორიის დასაწყისშივე „ქართლოსამა ააშენაო“ არის ნათქვამი. აბა, ქართლოსი! გორგასლან მეფესაც აქ ეკლესია აუშენებია! გიორგი სააკაძეც აქა ცხოვრებულა! თამარ დედოფლის წყაროც არის აქ! ვახტანგ მერჯულეს კანონებს და მის შედეგებს ხომ აქაურ საზოგადოების წყობებზედ ზედ უმდინარნია და გაუჟღენთნია ძვალი და რბილი ამ ბედნიერ კუნძულში მცხოვრებლებისთვის, რომ „გლეხი“ აქ საგინებელი სიტყვაა, თავადი, დამაფთხეც რომ იყო, ტვინით და სულით აფრაკი, მაინც გლეხზე გაცილებით მაღლა ხარ. ოხ, ნეტარო მხარევ! მაგრამ მეკვლანძის გული, რომ უკან ველარ დაჭბრუნდები. თავიდგანვე ველარ იწყებ მომდინარეობას, რომ ისევ დღევანდლამდე მოხვიდე. აქ მაჭკუბდე და მერე კიდევ თავიდგან დაიწყო! რომ დაგვიწყვილდნენ (უფრო კარგი რომ გაგვიათლდნენ) ქართლოსები, გორგასლანები, თამარები, შოთები, ერეკლები, ბატონ-ყმობა, დიამბეგობა, სინამ მეორეთ მოსვლა არ მოვა წილში“. იქნება დარჩევაც არ იყოს და პირ-და-პირ სამოთხეში — ხუმრობაა გასძღოს ბედნიერ ქვეყანაში მყოფმა ქართველმა ჯოჯოხეთში!....

ამ ვაი-ვაგლახში აი, აგი შასწივლა ლოკომოტივმა და გაჩერდა ბედნიერ კუნჭულის პირდაპირ! ჰოი შენდა დარდუბალა, რაღაცას სწივი! — შევჰყვირე მე ლოკომოტივის დაყვირებაზედ, რადგან მოვიფიქრე, რომ წარსული საუკუნოების ხვრელებში ქართველები გავძვრებოდით უფრო ადვილათ, რომ ეს ოხერი ორთქლით მატარებელი არ წამოეკიდნათ ჩვენთვის ზარგათ. მაგრამ, რომ გადმოვხტი, მომაგონდა ამის კორტოხთან ხვრელში უკვე ძრომა და, რადგან აკაკის შთამამავლობისთვის ღირსეულ სამკაული ლექციებიდგან ყველა დავრწმუნდით, რომ „იმიერი სინათლეა", „ამიერი სიბნელე" — მაშ დასკვნა გამოიყვანა ჩემმა გონებამ — ჩვენი წარსული საუკუნოების ხვრელში უკან გაძრომა რკინის-გზითურთ ბნელიდგან სინათლეში იქნება მეთქი...

— ჰოო! მეგობარს გაუმარჯოს! რომელმა ნიავმა! შამომძახა მე ვაგონიდგან გადმოსტომის უმალვე ნაცნობმა პრისტავმა.

იმ ქარმა და ნიავმა, ჩემო ბატონო, რომ მსურს ვიხილო თქვენი ბედნიერი კუნჭული, რადგან, გამიგია, რომ ეს უწინაც ბედნიერი ყოფილა და ეხლაც მეთქი...

— როგორ ბედნიერი? სთქვა ყოყმობით... ჰო, უწინ ცოტასთვის, ბედნიერება იყო აქ ცხოვრება, რადგან მათ, მუქთათ მჯდართ, ყმები უსესხდნენ იარაღს, უკაზმავდნენ ტურივად ცხენებს, აქეზებდნენ ომში თავიანთის, მაგრამ ბატონზე მიწერილი, გამარჯვებით; მუქთათ ჯდომის და წოლის დროს, ქალბატონების გარდა, უზრდიდნენ თავიანთ ლამაზ ქალებს და ცოლებს... თითონაც საკუთრებანი იყვნენ ბატონისა, როგორც მწყერები... ეხლა, ბატონო და, ჩემთვის აქ ოჰო, ბედნიერებაა — იქნება შენთვისაც... ეს კი ვიცი, მთა და ბარი არავის გაუსწორებია...

— საითკენაც უმეტესობაა, იქითკენ უნდა გადასწორდეს! წამომცდა მე უცებ და სტანციის წინ მდგარ სკამზე ჩამოვჯექი.

— მშვიდობით! მე ამ პოეზდს ჩემ უფროსთან უნდა გავყვე და მივიღო მათგან განკარგულებანი შესახებ კალიის მოსპობისა. სიტყვა „უფროსის" თქმაზე პრისტავმა ქუდი იშვლიპა, მეც ზეზე წამომაყენა, ნიშნათ დიდი მოწიწებისა პატრონისადმი, თანაც ხელი ჩამომართო და პოეზდზე შეხტა.— ჰო, მართლა, ვის ესტუმრები, ზასარ იაგორიჩ? დამიძახა იმან პოეზდიდგან. ახ, ნეტა მეცალოს — მე გიშოვიდი ბინას,— თორემ უცნობი, აბა, ვისთან მიხვალ? — მოიცა, ბძანებას მივწერ, რომ მამასახლისებმა ბინა, ცხენები და საჭმელი გაძლიონ — ჩემი რაიონი არ არის?! — მადლობელი ვარ, ვუპასუხე მე, აცხის სასოფლო შკოლის მასწავლებელთან მივალ — ნაცნობია...

ჰო! ჰო! ჰო! შეჰყვირა იმან რამდენჯერმე და ღმენჭით, პოეზდმაც გააქანა მყვირალა...

დავრჩი მე გაოცებული... მივბრუნდი და იქვე დავინახე რამდენიმე ჯგუფათ მდგარი გლეხი, რომლებისაკენაც გავეშურე. გლეხები ჩემ დანახვაზედ ფეხ-აკრეფით გაიფანტნენ, თითქო მათკენ შესაყარი რამ ჭირი მიმქონდა. მე უკან უფრო გაოცებული დავბრუნდი, როდესაც ზედ ყურთან ვიღაც შავ-ჩოხა გლეხმა მამაძახა:

— მობძანდი, ბატონო, საყენები გინდა იყიდო?! როგორც კაცი, პირიანათ მოგყიდი. პირველი შემთხვევაა, ისე წაიღე, რომ შენც ხეირი ნახო და მეც — ჩვენში მოტყუება რა საჭიროა! მართალს გეუბნები, როგორც კაცი.

— არა, მე საყენებს არ ვყიდულობ, ძმობილო, შენ, „რო-

გორც კაცი", მითხარი ი გლეხები რაზე მომერიდნენ? ვკითხე მე.

— მაშ რა ქნან, შე დალოცვილო, ისინიც ხალხში ითვლებიან, თუმც გლეხებს ეძახიან, და, როცა იმათ სამტროთ, დასაჩაგრავათ, ასანიავებლათ მისდიხართ, თუ ვაჟ-კაცობით დახვედრას კანონი უშლის, მოგერიდებიან მაინც, სისხლს, ცოდოს მოჰშორდებიან მაინც...

რაზე ამბობ შენ, ვუთხარ მე თითქმის გაბრაზებით, ნუთუ მე შენცა და იმათაც სისხლის მსმელი ავაზაკი და საზიზღარი ვინმე გგონივართ?! თუ მაგრეა, შენც გლეხი არა ხარ? რატო არ მიდიხარ და ან მე არ გულაპავ?!

— არა ბატონო, მაგას ვინ მოგახსენებს! თქვენ სახეც ნამდვილი გაქვთ, როგორც კაცი, მაგრამ პრისტავთან რომ ნალაპარაკევი დაგინახეს... იმაზედ მოგახსენებთ, ის ისე სძაგთ და შენც ცუდათ მიგიღეს... მოგერიდნენ. მე კი, ბატონო, რას მოგერიდებით? მე, შენ და პრისტავისთანა კაცებისგან მაქვს სარფა. დიდი რამ არის ათასში ერთხელ ნასუქი გოჭი ფეშქაშათ ან სხვა რამ... მერე ისაცა გნახავთ, სალამი დაბლა. მითომ სად წამივა თქვენზე?! აი ჩემი პატივისცემით ამ კალიაობას ერთი საათიც არ გაუყვანივართ სამუშაოთ. მერე მე პრისტავმა ოც თავადიშვილებში რომ დამინახოს, „ქიტესას გაუმარჯოსო", მომაძახებს ხოლმე. აქ ყველა ხერხია; მეც გლეხი გახლდი, მიწის მხვნელი, დილიდგან საღამომდი თავჩაღუნული პირუტყვივით ვმუშაობდი, ძილშიაც ძვალ-რბილი მტკიოდა — თქვენისთანა კაცების მეშინოდა — ეხლა „ჭკვით", ხერხით დავიწყე — ვვაჭრობ — ღამეც არხეინათ მძინავს და ისეც არხეინათ ვარ, — მერე ვხედავ, რომ პრისტავები ჩემთვის უფრო სარფაა — გლეხს რო საქმეს უჭირვებენ — ჩემთვის

სარფვაა... ხო იცი, თუ არ გაუჭირდა, არც სასყიდლათ მოვა, არც ფულის სასესხებლათ... მაშ, მე რა, რომ გლეხებს პრისტავმა ტყავი აძროს — ააშენოს იმის ოჯახი!......

მე ამ ლაპარაკიდგან კიდევ ბევრს ვერას შევიტყობდი, რომ ამ ჟამათვე ერთი მამასახლისი არ მოგვსწრებოდა და ერთი ქაღალდი არ მოეწოდებინა ამოსაკითხათ. მე წავიკითხე:

„მამასახლისო იოსებ"

„რამწამს ეს ბძანება მოგიტანონ, იმ წამსვე ჩემთან გამოცხადდი და თან წამოიღე ბეჭედიც; თორემ, თუ მანდ გადმომაყვანე, ხელებ-შეკრული წამოგათრევ, ერწმუნე ღმერთს".

პრისტავი გ......

— რა ვქნა, რა ვუყო ი ღმერთზე ხელ აღებულს — რა ცეცხლია ეს ღმერთო!! ამოთქვა მამასახლისმა, წაკითხვის შემდეგ. არა, მეტი ღონე არ არის. სისხლს, შრატს... მოშორება უნდა, წყალში უნდა გადავცვივდეთ, ცოლ-შვილი, მამა-პაპის სასაფლაო და მამულები,—თორემ ღვთის რისხვას რო მოვშორდეთ, სხვა გზა არა გვაქვს...

რაზე ამობ მაგას, ბიძიავ, ვკითხე მე გულ-მტკივნეულათ...

— ჰე, რაზე არ ვამბობ, შენი ჭირიმე ბატონო! ე პრისტავი ღვთის რისხვაა. აქამდისაც ხომ ცეცხლს გვიკიდებდა და, რაც ეს კალიაობა გაჩნდა,--ვეღარ გაგვიგნია, საით მოვშორდეთ. აურჩევია, რაც ნაციმბირალი და ნაჩაფრალი ოსებია, სამ-სამი ყველა სოფელში ჩაგვიყენა და თხუთმეტი თითონ დაჰყავს შეიარაღე-

ბულნი. შამოგესევა სოფელში და, რომელ კაცსაც კი მოასწრობს, მოაკვლევინებს ცემით. მოხელემ თუ ერთი ხმა მაღლა სიტყვა უთხრა, „დაჰკათო“ შაჰყვირებს, მაშინ ვაი საწყლის ამბავს!... ეს კიდევ არაფერი—მუშაობის დროს ახოცინებს ხალხს ცემით —რო ვეღარ უძლებენ ხალხი იპარება და შიშით თავ-ზარ დაცემულნი, დაწიოკებულნი შინაც ხომ ვერ მოდიან, დღე-ღამე შამბში ყრიან. თუ სოფელში შამობედა ვინმე, ის სამი ყარაულათ დაყენებული ჩაფრები ისეთ დღეს დააყენებენ წიხლებით და მათრახით, რომ ვერც ცოლ-შვილის ბღავილი, ვერც მეზობლების წივილ-კივილი ამათ ლოგინათ ჩაგდებას ვეღარ აცდენენ... ზღვნებს, ცრცვნას და რბევას, ნუღა იტყვით; ბატონო, უგოჭოთ და უინდაუროთ არც პრისტავი და არც ჩაფრები პურს არა სჭამენ, როცა იქ მოვლენ და აქ ხო, თუ პრისტავს გამოელია სურსათი, რომელიმე მოხელეს ტყუვილ უბრალო რამე ბრძანებას მოსწერს და იმასაც უნდა კაი ზღვენი მიართოს დ გამოცხადდეს. ესლა რო მწერს „ბეჭედი წამოიღეო“, უნდა ტყუვილათ შემამოწმებინოს, რომ ჩემმა სასელო ხალხმა ამდენი და ამდენი ფუთი პური მიიღოვო, როდესაც პურს თითონ ჭყიდის, და ჩვენ ხალხს არც ერთი გირვანქა არ მიუღია... ჰე —

უთხრა რამე — მეშინიან. ბევრი მოხელე შავიტანეთ ფარდაგით და ურმით ცემისაგან დარუმბებული შინ, სადაც ისენი ესლაც გვნესიან და ზოგმა სულიც ჩაბარა მეუფეს. ხალხი ხო ისეა გაბეზრებული, რომ იქნება შავაკვდეთ ვისმე კიდეც.

მთავრობას რატო არ აცნობებთ, მთავრობას, კაცო! უთხარი მე.

— ჰე დალოცვილო, მითხრა იმან დაცინვით;— იმ დღესაც გავბრიყვდით — ვიჩივლეთ.

მაიტყუა თუ არა ეს პრისტავმა, შემოგვარტყა გარს ხმალ-ამოღებული და მათრახებით ჩაფრები ზედა, აი ემ ტანციის გვერდზე დაგვიშინეს მთელს ხალხს მათრახი... ბევრი წაიქცა, ბევრი გაითელა, ბევრი ღრიალებდა ნადირივით —

ველარ დაუგდე ამ საცოდავ ლაპარაკს ყური — უნებურათ გამოვბრუნდი, თან ჩემ თავზევე ჯავრი მომდიოდა, რომ საზარელი რჩევა ამოვიურასტალე მამასახლისის წინ. გაუდექ სოფ. აცხისკენ.

## თავი II

მივმგაზვრობ „ბედნიერ კუნძულზედ" — აი ბედნიერებასაც" წავაწყდი. მშვენიერი ბალკონიანი სახლი ზედ გზიპირზე, შუა სოფელში, და ბალკონიდგანაც ჩემი ნაცნობი მდიდარი არტემ იაგორიჩი მიყვირის:

ჰო, ზაქარ იაგორიჩ! რომელმა ქარმა, რომელმა ნიავმა! მობძანდი, მობძანდი!

აგი ამ «ბედნიერი კუნძულის» ქალაქში სდგეხართ? აქ საიდგან მეცნაურებით? ვკითხე მე ხელის ჩამორთმევის უმალ ბალკონზედ, რაზედაც კალიის მხოცავ გლეხების ყიჟინი მოისმოდა.

— ვა, გაზაფხულია, დახათ გამოველ, აქ არა ჯობია?!

ჯობნით—ჯობია ჩემო არტემ, მაგრამ ცუდი დროა, კალიაობაა, ჰხედავ გარშამო გლეხების წიოკობას — . . .

— ვა, მერე მე რა? გლეხები რო დაწიოკდნენ უფრო კარგი არ არის? ან გინდ კალიაობა შენ ცუდი დრო გგონია? — როგორ არა! ერთი შიმშილი მოვიდეს—გლეხებს, თავადებს მაშინ გაუჭირდებათ — ჩემთან მოვლენ, მეც მთელი „ბედნიერი

კუნჭული ყმათ დამრჩება, თორემ გლეხი გამაღლდა, თუ ძრიელ არ უჭირს, დუქანში აღარ მოდის და!

ამ ლაპარაკში არტემამ ბალკონიდგან საკმაოდ მორთულ ოთახში შემიყვანა და გაშლილ სტოლზედ ნუნუას მოუსხდით.

— არა, არტემ იაგორიჩ, ის არა სჯობიან — ყველასი სიუხვე იყოს, შენც ბევრი იყიდო და იაფათ? ვკითხე მე.

ვა, იაფათ ვიყიდი, იაფათ გავყიდი — რა გამოვიდა?! ეგმო მაშინ არი, როცა ყველას უჭირს... სიძვირეა, აი „ეკონობას" როგორ გაისქელე პორტმანი. მაგრამ უნდა გითხრათ, კაი დროს ვცხოვრობთ, რაც მე შილთი-ბილთის ვშვრები, აქამდის ვირის აბანოში უნდა ვიჯდე, მაგრამ როგორ არა?! . . .

თქვა მხიარულათ არტემამ და გაამსო ღვინით სტაქნები.... ეტყობოდა წინეთ ნუნუით იყო შესურებული, თორემ ასე ჭიკჭიკს არ დაიწყებდა.

— ცუდი დროა, არტემ იაგორიჩ, რომ აი, გინდ მე, მოსაპარიც არა მაქვს რა? ვუთხარი ისევ მე.

ვა, შენ ჩესტნობაზე ზდებ თავს, თორემ ისე გაისქელებ ჯიბეს, რომ იქნება გასქდეს კიდეც. ვა, განა დიდი ოსტატობაა? აი ეს ღვინო კოკა სამ მანეთათ ვიყიდე მაჭრობას — შიგ ჩორთი, დიავოლი დაცურავდა—ესლა სამი თუმანი ვუყიდი — ცუდია? თუმც შენ ქურდობა დაუმასხეთ! ვიცი ბევრი არ მოსწონს ეს დრო, მაგრამ იმას არ მოსწონს, ვინც გარჯილობა არ იცის, სარისტა, გააბა არტემამ, როცა მე სმენათ გადავიქე. შენთან რა დავმალო, და მე, ეს ოცი წელია, რაც ყარაბაღიდგან მოველ კუნჭულში. როგორც გინდა სთქვი, ნიფხავი არ მეცო! ერთი ყისინის ჩოხაში გასვეული, რვა ხარი მოვიყვანე გასასყიდათ. ს. აცხაში, დავყიდე და იღბალიც იქ

ვიპოვე. ჰე, ღმერთი მართალ კაცს არ დაჰკარგავს! მე ისეთი გონება და შნო მაქვს, რომ ყველგან ბედს ვიპოვიდი. აცხაში ბედზე მივედ ცხონებულ თავად თალიაძესთან. რა კაცი იყო ცხონებული! შვილებს კი არა ჰგავდა, რომ ცხონებულის სარჩო დაანიავეს, თითონ კლუბის მაღაზიების კარები სცვეთამენ თავიანთი კნეინებით... ჰე, ღმერთსაც ალბათ აგრე გაუჩენია, რომ ზოგი ჰკრეფავს — ზოგი აბნევს. ცხონებულის გაკეთებული ზვრები, მაგათ დააგირავეს — ერთი მე მაქვს დაგირავებული. ტყეები შახმურადოვის აჩეხინებენ—ცოტა ფულები კი არა ჰხვეტავს ეს!... მახლას, რაღაც სუმბუქ—ბუმბულაძეები გახდნენ ეს ეხლანდელი თავადის-შვილები! — ჰო მე დამავიწყდა, მიველ ცხონებულ კნიაზთან, თავი დაბლა დაუკარ, ცოტა-ბევრი, დღეს, ხვალ კნეინასაც და კნიაზსაც ცოტა გულში ჩაუვარდი; ან რატომ არ ჩაუვარდებოდი? — როცა დამიძახებდნენ სალდათივით გამოვიჭიმებოდი ხოლმე და, თუ დამსაქმებდნენ, თავ-გადაგლეჯილი გავრბოდი. რბილი ენა, თანაც მორცხობა, სიამოვნება—ეს სულ ისე მოვმართე, რომ კნეინა იტყოდა ხოლმე: „ეგ ჩვენი ოჯახიდგან მოსაშორებელი არ არისო“. „ფეე, რა მოსაშორებინებს, გაყო“, ეტყოდა კნიაზიც; მერე მე ყმების, ბიჭების და მოურავების ბეზღება დავიწყე და ისე მოვიგე ბატონის გული, რომ მოურაობა მე დამრჩა. მოურაობაში კარგა გროშები ვიშოვე. ამ სოფელიც კარგა გავიცან — ბევრი დავინათლიავე და ერთ მშვენიერ დღეს კნიაზს უთხარი: დამითხოვე სამსახურიდგან, ბატონო, მე დუქანი მემარჯვება და აქვე აცხაში დუქანს გავმართავ — ოღონდ კაი დუქანი გამართე, თართის დოშები, ხიზილალა მოიტა და მე თითონ მოგიმართამ ხელსაო, მიპასუხა კნიაზმა. ცოტა ხნის შემდეგ, აცხაში დუქანი მქონდა, ვყიდდი საპონს,

არაყს, თავრიელებს, სამთელს. ისეთი ვაჭრობა მქონდა, რომ ქონიასი ფართუკის გარეცხასსაც ვეღარ ვასწრებდი. სულადი, კვერცხები, ქათმები, ისე შამოდიოდა, როგორც ბზე და მალეც მთელი სოფლის ვენახები დავიგირავე... ნელ-ნელა, ნელ-ნელა და ეხლა ისე მომიმართა ღმერთმა ხელი, რომ მთელი უეზდის ვენახები, მიწები მე მაქვს დაგირავებული. ოცი დუქანი მექნება, ქ. გ...ში სახლები — ესეც სახლი — მარტო ღვინო და პურს წელიწადში ხუთასი თუმნისას ვყიდი! სოფელში ეს არის ცოლში ვერ ვნახე ხეირი, ხომ იცნობ ჩემი კნეინა? აცხელია და იქაური ჭუჭყი ქალაქი აბანოებმა ვერ გადაასცალეს; მაგრამ, ხაზეიკაა, რომ . . . დუნია და ეგ! მე კი განგებლი ცოლი აქ არა მყავს?! ისეთი აქ ყელი, როგორც ბროლი! — მაშ განა ასეთი კოსტა ვიყავ ამ ათი წლის წინეთ? ჩავაორთქლებდი სტაქანში, ქონიან ფართუკით გავხეხდი და დავლევდი ხოლმე წყალ-წყალა ჩაის — ეხლა შამპანსკი მომბეზრდა, „ნალევა, ნაპრავა“—სულ ჩემ ხელშია. კაი დრო არის. თუ გაისარჯე, რაც წყალი მღვრიეა, იმდენი მეტი თევზს დაიჭერ. კლუბში ჩლენი ვარ, უპრავაში—ჩლენი ყველა არტემ იაგორიჩს ახსენებს!! აქ სიტყვა გააწყვეტინეს ოთახში შემოსვლით მისმა ცოლმა და ერთმა აზნაურმა, რომლებთან მე არტემამ გამაცნო. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, მე ვკითხე, მაშ აცხაში დიდი მამულები გაქვთ, არტემ იაგორიჩ?

— ვა, ისა მკითხო, სხვას ვისმე კიდე აქვთქო?!

მე ეხლა იქაურ შკოლის ოსტატთან მივდივარ, ვუთხარი მე.

ვა, ოსტატიო... უჩიტელი!?.. ვინ მოიგონე! შაჭყვირაიმან და სალახანა სახეს გასაოცარი შახედულობა მიეცა—მერე

განა შენ იმისი მეგობარი ხარ? ის ხომ ბუნტია! ჰო, რა საძაგელი ვინმეა და — ხლაპოტი რამეა, რაღა, ხლაპოტი!!

როგორ ბუნტი, ხლაპოტი? ვკითხე მე.

— ისე ბუნტი, რომ გლეხებს ჰქომაგებს! ეხლა ერთი აცხელი კაცის ვენახი მქონდა დაგირავებული ოც-და-ხუთ თუმანში, მინამ გადაწყდებოდა, კოკა ორი მანეთათ ტკბილი უნდა და მეზიდა. ოცი კოკა წაღებული მქონდა, მერე წელს კოკა ტკბილი თუმანი გახდა. გლეხი მოვიდა ჩემთან და ფულები მომიტანა და ვენახის დახსნას მთხოვდა. მე უარი უყავ — ან რა გიჟი ვიყავ დამეთმო, ნატარიუსში უსლოვია მქონდა დაწერილი, გლეხმა მაინც ტკბილი არ დამანება და ფულები ნატარიუსს მიუტანა — მე ნატარიუსთან არ მიველ და როცა გლეხი შინ წავიდა, ნატარიუსი ჩემკენ დავიყოლიე, იქვე მიროვი სუდში მივიყვანე და ვათქმევინე, რომ გლეხი არც ფულს მაძლევდა და არც ტკბილს თავის ნებით — უსლოვიას არღვევს. სუდმა ორმოც-და-ათი თუმნის ლისტი პრედვორიტელნო ვზისკანიით მომცა და ორ კვირას უკან პრისტავით აცხაში მიველ გლეხის ქონების ასაწერათ. ოცი კოკაც ჩავუფაქე, რადგან კანდრასტი გვერდზე კვიტანცია არ იყო. ასტყდა ერთი ჭივილ-ხივილი აცხაში — ყველას უკვირდა — ესე მალე როგორ მოვახერხე, და ყველას შიში მიეცა. გლეხმა უჩიტელი შუა კაცათ მომიგზავნა — ისიც მეუბნება, თუ აპატიე, ცოტას დასჯერდი. მე ვუთხარ, თხოვნა შაბათობით უნდა მეთქი და თანაც გლეხების შესაშინებლათ დავიძახე: მაინც არ ვაპატიებ და მძარს ვადევ, თუნდ ქრისტე ღმერთიც ჩამოვიდეს მეთქი — უფრო მიტომ, რომ გლეხები აჯმები ხართ და შაშინდეთ მეთქი.

— კიდევ ჩაცვივდით ამისთანა უღმრთოს ხელშიაო, უთხრა ოსტატმა ხალხს.

მე მეწყინა და ვუთხარ, როგორ უღმრთო? შენ კეთილ-შობილი კაცი ხარ, განა ჩემუთვნის მაგ აჯმებს დეექომაგო მეთქი.

იმან ცივათ მითხრა: კეთილ-შობილი რო ვარ, აგი კეთილს ვემსახურები და კეთილ-შობილურს ვეუბნები, მაგრამ შენ ყურები ცოდვითა გაქვს გამოჭედილიო, სთქვა ესა და წავიდა; ამის შემდეგ მე ის ისე შამძაგდა, ღმერთო კი შეგცოდე, რომ დავინახამ ხოლმე, გულს ზაგა-ზუგი გააქვს და ყურებს წივილი. — ეს კიდევ არაფერი; მე აცხაში დუქნები მქონდა, იმან ხალხი დაარიგა და მოწმობა აღარ მომცეს, რომ პატენტი ამეღო, — მომეშალა. ხალხს პირ-და-პირ ჩემთან უთხრა ერთხელ: ისწავლეთ წიგნი — ანგარიშიო, რომ მდიდრებმა აღარ გაგცარცვონო, — ეს ხომ ბუნტი არის! მეც ავდექ და ნაჩალნიკს ვუთხარ: ესე-ესე აცხა სულ საბუნტაა მეთქი...

ამ ლაპარაკმა, არტემას მეუღლესაც პირი გაუხსნა და იმანაც აწითლებით დაიწყო: „აბა ჩვენ უნდა გვიმტროს ვინმემ, ღმერთი არ არის! რაც არტემა ხალხს სიკეთეს უშვრება, თუ ფულით, თუ სიტყვით არამი არ უნდა იყოს?! ნაარმევს მიდღეში სახლში არ შამოიტანს, არტემას მზემა, აი იმ დღეს მოჯამაგირეებს სხვისა ქათამი შეეჭამათ — მეორე დღეს საქათმეში შაველ და ჩვენი ქათმები სუ კი მირს ეყარნენ ზიზილო გალურჯებულნი დახოცილნი — ნაარმევი, ჩვენ ისეთი იღბალი გვაქვს, არ შეგვერგება — დააბოლოვა იმან.

— გლეხების დაქომაგება რა კეთილ-შობილი კაცის საქმეა, რაც ჩვენ ეგენი საქმეს გვიშვრებიან — ენით კი ითქმება?

დაიწყო აზნაურმა. რაც ბატონ-ყმობა გადავარდა, მოჯამაგირეს ვეღარ ვშოულობთ! გლეხი კაცი, რაკი თავზე ხელს მოივლებს და გაჭირებას ამოუა, აღარც მუშათ, აღარც მოჯამაგირეთ, აღარც სამეზობლოთ ის აღარ მოგიდგება — მუშაობს თავისთვის და მერე ისე, რომ ნაწლევებზე ფეხს იდგამს. შენი მტერი, იმიტომ როგორი ცუდი დღე დგება ჩვენ კეთილშობილებისთვის! აბა, მუშაობა ხომ ჩვენ არ შაგვფერის და მამულები ვის შავამუშავებინოთ? ჩვენ სული ხო იქიდგან გვიდგას?! კიდე კარგი, თუ მოხერხებული კაცი ხარ, თორემ უსერხოთ და უშროთ ეხლა კეთილ-შობილი ვერ იცხოვრებს. აი მე ვენახები შიგ შუა სოფელში მაქვს და არა ვღობავ: შამოვა გლეხის ხარი დავატუვებ და, მანამ ერთი დღე არ მიშველის, არ მივცემ, ხბო შამოვა — ისე უზამ, სხვა და — ისე... მაშ რას იქ, რომ ფულზე გლეხს ვერ ამუშავებ?! მაწებიც ღვთით მაგრე კაი ადგასა მაქვს და მაგითი მივდივარ იოლათ. თან კიდევ ხალხს ვაშინებ — ძალათ ჩხუბს აუტეხ, თუ დავატყე, რომ ამაყი გლეხია, სუდში მევე ვუჩივლებ და, ხო იცი, გლეხი სამართალში რა არის?! ცამდის მართალი იყოს, მე მოუგებ და ისე მოვწრუთნი, მოვარბილებ, რომ ჩემ მზეს ფიცულობდეს. ან კიდევ თუ ამპარტავან გლეხს ორ-ღობეში შავხვდი, უმოწმოთ, ვიფრენ ხლმით და ვაღრიალებ, ვცემ, იქამდის აუტუდები, რომ ჩემი რიდი ჰქონდეს და დასაქმებაზე უარი არ მიყოს. ჩემი უკვირთ — საჩივარში რათ დავდივარ — აბა ურიგობაა ეს?! — შაგაწყინეთ თავი ამდენი აქ ყოფნით, ვთქვი მე და გამოვეთხოვე საზიზღარი აღსარების მთქმელებს.

## თავი III

აი ს. აცხაც! აგერ სასოფლო შკოლა, გძლათ გაჭიმული, დამტვრეული ფანჯრებით და დამტვრეული კრამიტებით! აგერ ეზოში დაბოტებს გამხმარი და მაღალი ს., მასწავლებელი, ხელების მტვრევით — დაფიქრებული. — მე მებადება თავში ეს გაშმაგებული კითხვა: ესმის ცხადათ, გარკვევით, ამ სოფლურ ცხოვრების სალაბადაში, აწ-მდგომი და წარსულის უსწორ-მასწორობის შედეგი? გამორკვეულა გარემოებაში და ჰხედავს ნამდვილ თავის დანიშნულებას, როგორც მაგალითათ, ჩემგნით ნახულს ქიტესას, არტემ იაგორიჩს და აზნაურს? თუ თვალებ ახვეული უვლის თავის ცხვირს, როგორც არტემ იაგორიჩის ცოლი?! უველა, თითქმის, უველა სოფლის მასწავლებლებს, როგორც ნამეტან ჩვენში „მცოდნეთ" წოდებულ კაცებს, გულ-საკლავი პასუხი მოუცია ამაზე ჩემთვის — მაგრამ ეს ისეთი არ იყო — ამისი განიერი შუბლი, დამაკვირვებელი თვალები მალე და მძლავრათ ჰფანტავდნენ ჯანღს, არჩევდნენ უველას გარეშემო. აი იმისი შეხედულობანი, როგორც მასწავლებლობაზე, აგრეთვე შკოლაზე.

არ მივათვლი ჩემ თავს იმ უტვინო დასს, — ამბობდა მასწავლებელი, როცა მე და ის, მის უფერულ ოთახში, სტოლზე მხვნეშავ სამოვარს მოვუსხედით, — რომლებსაც სასოფლო შკოლა მიაჩნიათ ღერძათ ქვეყნიერების გასაბედნიერებელი ჩალხისა. მე თითონ იმ ჩალხისაც არა მჯერა-რა. ბედნიერ კუნჭულში უველა უბრალო სიტყვაზე გლეხებისკენ, თუ სიმართლისკენ თქმულზედ დონ-კიხოტს და ვემსგავსები ხოლმე გარდონის რასტით!.. ვიცი გაიგე შენ, რასაც გეუბნები, და

ნუღა შეუდგებით გამოკვლევას, შორ წასვლას, გისოვ მე შენ, რადგან ეს ჩემ ნაღველას სიმწარეს და უმატებს... გადავიდეთ სხვაზედ, დააბოლოვა მასწავლებელმა, გაოცებულმა და დაღვრემით.... — ცივის ხმით ისევ დაიწყო ცოტა-ხანს უკან:

— რა უნდა გამოვიდეს სოფლის შკოლიდგან შაგირდი? — მე დარწმუნებული ვარ, რომ არ სოფლის ყლაპია მოხელე და არ არა უფრო სალახანა სოფლის მწერალი, არ ჩარჩი მედუქნე, ქვეყნის მცარცვავი.

— ეს იმიტომ, რომ სოფლის ჭაური ამითია გაყიებული, ცოტა ნაწილიდგან იქნება... მაგრამ ქმნელება — ძრიელ არის გამჯდარი, როგორც სხვის, ისე გლეხის ძვალ-რბილშიაც ცრცვნა. აი გინდ მე, თავის სასარგებლოთ უფრო „ყლაპიას" გლეხები მხმარობენ! მაწერინებენ განცხადებს, პირობებს, ვექსილებს და სხ. ქალანდელ ხალხთა სული ბაიათებს... საწყალი, დუღუღა გლეხი ძრიელ არის დაშინებული — ისე რომ ვერ მეკარება — არც მენდობა. ჩვენი ჯურა ხალხი სასიეთებით, თუ სხვა გარემოებებით, უფრო მათ მცარცველებს ვგევართ, მინამ გლეხის მომხრეებს — იმიტომ ეჭვნეულობს ჩვენში.. ჩვენგნით, ესე-იგი თავის არა-ჯურა ხალხით, დაჩვეული არ არის შველას და იმიტომ თითონ ებრძვის თავის ბედისწერას — ავათ თუ კარგათ — ეგ ჩვენ უნდა გავიგოთ... —

დიდ-ხანს მესმოდა მისი დალაგებული ლექსი და მე ღრმათ მივეც თავი ფიქრებს... ბოლოს თითონ მითხრა კარზე გავსულიყავით. მშვენიერი სურათი წარმომიდგა მე შკოლის ეზოდგან, რომელიც მაღალ სერზე მდებარეობდა. შორს მოისლაკნებოდა მტკვარი და მიაგორებდა მღვრიე ტალღებს, წინ გვედო ვებარა ველი სოფლებით დაფენილი. ველზე აქა და იქ მებატონეების ციხე-დარბაზები გამოჩანდნენ... შორს ველზევე

შავათ მოჩანდა კალიის მხოცავი გლეხ-კაცობა. მოჩანდა როგორ დალაგებით იღებდნენ ზევით ცოცხს და ერთბაშათ უშხაპუნებდნენ ძირს მყოფ კალიას — გლეხის მტერს სხვათა, მოკეთეს... იქვე, შკოლის წინ ერთი. თოვლივით თეთრი წვერიანი მოხუცი, სოლს უცვლიდა ურმის თვალს, მის გვერდზე კიდევ გულ განიერი მოზარდი უჩეკდა პაპას სასხეშებს მოხუცი მოდუნებული და გამძვალებული ხელით ურტყამდა ხელეჩოს სოლსა, წვერი კი დაკვრაში საამურათ უცამცამებდა. ჩვენ მივუახლოვდით მას.

— გამარჯვება, მოხუცო, ვუთხარ მე

გაგიმარჯოთ და გადღეგრძელოთ! მითხრა იმან. მერე მობრუნდა — ჰე, დავიღალე, უნდა ცოტა დავისვენოო — თქვა მან და იქვე ჩაიკეცა — თან პირ-განიერ ლიტრას თავი წაუქცია და მოიყუდა დასალევათ.

— გაგიძნელდა, მოხუცო, მუშაობა? მგონი, პატარაობას გესალისებოდა. მაგრამ, მაშინ, მგონი ცოტასაც მუშაობდით?

— მაგას, მართალს ბძანებ, მაშინ ბატონისთვის მუშაობით თავს არ ვიცივებდით, მაგრამ გლეხ-კაცს ჭირი არც მაშინ გვაკლდა და ეხლა ხომ თქვენც, მგონი, მოგახსენებათ.

— გეტყობა, მოხუცო, დიდი-ხნისა ხარ, უწინდელი ამბავი გეცოდინება — გვითხარი რამ! მოგვწყინდა ეხლანდელი! ვთხოვე მე იმას.

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს, რასაც კი მოვსწრებივარ, შენი ჭირიმე... აი ალექსანდრე ბატონიშვილი რო გაუმაგრდა რუსებს, ქოთახევ მოგახსენებენ იქ გაუმაგრდა და მერე იქიდგან გაიქცა, ეს კარგა მახსოვს — რუსების გადმოსვლა, გი-

ორგი მეფე — თარჯმების გადმოსვლა და აი სოფლების და-ცემა როგორ არა, კარგა მახსოვს, დაათავა მან.

— შენი გვარი პაპავ? ვკითხე მე მას და თანაც დავსხედით მის გვერდით.

— მე ახმეითვარაშვილი ვარ, ჩემო ბატონო, და, თუ ძვე-ლი ამბის გაგება გინდა, აი ჩემი გვარის ამბავი გაგაგებინებს, თუმც, ცოტათი საძნელოა მაგაზე ლაპარაკი ჩვენთვის — სა-მწუხარო. აბა თქვი, მოხუცო, თქვი! უთხარით ერთ-ხმით მე და მასწავლებელმა.

მოხუცმა ჩაახველა და დაიწყო. ჩვენი გვარი, აგე დიდი სასახლე რო ჩანს, იმ ბატონის ყმა ყოფილა. აგერ ის ჩვენი ნა-სახლარი, ამოთხრილი ალაგი ეხლაც არა ჩანს — ამბობდა მოხუცი და თან იშვერდა თითს შორს მოედანზე მდგარ ცი-ხე დარბაზზე, რომლის გარ-შემო ბევრი ნასახლარები, ამო-ღრმავებული ადგილები ჩანდა. იქიდგან ჩემ ხსოვნაში გად-მოვსახლდით ჩვენც და სხვებიც — თუ რათ? მაგას მერეც გაიგებთ. უწინდელი, ძრიელ დიდი ხნისა — მე მარტო მა-მით—პაპიდგან გადმოცემული ვიცი. ვიცი, ბატონო, რომ გლეხს შავი დღე ედგა თავის ბატონის ხელში! უფრო მაშინ, როცა ბატონს საომარი ალარაკისთანა ჰქონდა და შინ ეგდო მცო-ნარ-საბრ. ამით მე იმათ საფლავში წიხლის დარტყმა კი არ მინდა, არა, შენი-ჭირიმე, ქართველთ წესია წაქცეულსაცა ფეხ ნუ დაჰკრო, თუმც გლეხებს კი სულ წაქცეულებს გვახრჩო-ბენ... იმას მოგახსენებდი, ჩემი მამა-პაპაც მაგრე იხსენიებდა ხოლმე. როცა ბატონი უსაქმოთ იყო ხოლმე, აბა მაშინ ის-მოდა ი ჯოჯოხეთზე უარესზე მოსაგონი სიტყვები: „ავ-ბუმბლოთ» თუ „ავკარკლოთ“: ბატონი დადიოდა ხოლმე ლაზებით, გაშინაურებული ლეკებით ყმების კარდაკარ, შაუარ-

დებოდათ მათ სახლში. თანამხლებლები დაიძახებდნენ: „აუ-ბუმბლოთ“, თუ „აკარკლეთო“ და თუ ბატონი ეტყოდათ — „აბუმბლეთო“, ერთ ორიოდ-სამიოდ დედაკაცსა, თუ კაცს, შეჰკრამდნენ და გაგზავნიდნენ გასასყიდათ და თუ ეტყოდა „აკარკლეთო“, მაშინ მთელ ოჯახს აიყრებდნენ და ხალხს ხელ-ფეხ შეკრულს გაჰგზავნიდნენ ახალ-ციხისკენ გასასყიდათ. ჩვენი მამა-პაპა ბატონის ერთგული ყოფილა, თითონ რჯულიც იმ უღმერთო „აბუმბლაშიაც“ და „აკარკლაშიაც“ — ან ნუ იქნები ერთგული, სადაც ორგულობისთვის ჯოჯოხეთის ტანჯვა მოგელის! ჩვენ ბატონს ჯერ ყიდვით ყმები ძრიელ შემცირებოდა; მაშინ ჩემი გვარის ერთ კაცს გზის-პირზე მარანი ჰქონდა და იმ გზაზე კიდევ იმერეთიდგან ხალხი გამვლელ-გამომვლელი არ მოსწყდებოდა. ეს ჩვენი კაცი, თურმე, მამა-შვილურათ ყოფილა იმერელი ბაჩებს მარანში შაიპატიჟებდა — აბა ღვინით გაუმასპინძლდებოდა და, სხვა მოგზაურებით, მგზავრი ღვინით მალე შექეიფიანდებოდა — მაშინ მარნის უკან კიდევ სხვა სახლი ჰქონდა, იქ დამალული ლაზები გამოცვივდებოდნენ, შეჰკრამდნენ საწყლებს და გაჰგზავნიდნენ ბატონთან, რომელიც ახალციხეს უგზავნიდა ხოლმე იმათ თავს გასასყიდათ. ბევრჯერ ეს იმერლებმა და რაც მწამს ჩვენ კაცს დაისმსაკლენ, მაშინვე წინა მგზავრ იმერლებს დაუყვირებდნენ: „ეწიჟურიბარა... ეწ“! აქედგან ჩვენ დაგვარქვეს გვარათ აწმეიფარაშვილი — კარგა კი ჩაგვიფურჩნებია „მოშარაკე“, ამას ძრიელ დიდი-ხნის ამბავს მოგახსენებ. ჩემ მოსწრებაშიაც მაგრე გახლდათ: თუ ერთი თვე გავიდოდა, რომ ბატონს არ არ ეომნა, ან არ ეჩხუბნა, არ ედავებოდა — თავის სოფელს იგლეჯდა და ყმებს სოდ... ის უსაქმობა, მოუსვენრობა და მხამიანი სიმხდალი აგარაკების ახალმაში! ყმებიც იმასთან

ომებში სისხლის ღვარაში იყვნენ გაჭეჭყებულნი და ომი ერჩივნათ ისე ჯდომას და ბატონისაგან აკლებას. რუსები რო გადმოვიდნენ, თარუშობა რომ მიილია — ჩვენი ბატონი ერთი ნადირი რამ იყო, დაბრუნდა ის ერევნის ომიდგან, მოტრიალდა შინ ერთი თვე და ამტკიცა ყმობა. მე მყვანდა ძმა, მოსული მუშა და ისე ყოჩაღი, რომ ბევრ ჯაყ-ჯაცს მოუცვდებოდა იმასთან. იმ ხელათ იმას შაირთო ერთი ლამაზი ქალი, არ გასულა ათი თვე, რომ ბატონმა თვალი შეასწრო და დაუწყო დარაჯება. ეწყინა ჩემ ძმას ეს რომ შაიტყო, პირ-და-პირ მივიდა და სთხოვა, სისხლი ნუ მასცემდა, ხელი აეღო. მაგრამ ბატონმა არ დაიშალა და ერთხელ წყალზედ დედაკაცს ჩემ რძალს, ჩემ ძმას თვალი შეესწრო, მიჰყვანდნოდა წყალზე. ბატონიც ხელ-ღონიერი იყო. მოჰყვნოდათ ჩხუბი, მაგრამ ისე დეემტვრიენა ჩვენსას ბატონი, რომ ეს ამის შემდეგ ლოგინში ჩაწვა და საშინლათ ავათ გახდა... გავიდა გარგა ხანი — მორჩა ბატონი... მაგრამ ჩემ ძმას კი ბედის წერა მოუახლოვდა. ერთხელ მარტოკა სასახლესთან იდგა, დააჭერინა ბიჭებს, შაათრევინა საბძელში და რომზ-ქვეშ სული დაალევინა... ჩემი რძალიც მალე მოკვდა და ერთი მუძუ-მწოვარა შვილი დარჩა. აი ის იყო ამ ყმაწვილის მამა — მიათითა ბერიკაცმა სახეშეზის მთლად ახალ-გაზრდას. ყმაწვილი ჩვენ ძროხის რძით გამოვზარდეთ და საშინელი რამაც გამოვიდა, როგორაც გინდა თქვით, შუბლზე რქა ჰქონდა. ერთი უშიშარი, ერთი კერპი, — ხალხი „დევის ნამუსლს" ეძახდა. მისი მამის მკვლელი ბატონი მოკვდა და მის მაგიერ სამი მისი შვილი ბატონობდნენ — სამივ ლამაზი ცოლებით, სუ ქეიფს ატარებდნენ, — მაგრამ ყმებს კი ტყავს გაძრობდნენ. „დევის ნამუხლი" ედგათ იმათ კრიჭაში — სხვა ვერავინ! დიდი ჩომბახით დაგლეჯილი, ის მი-

უვარდებოდათ ხოლმე ბატონიანთ და შასძახებდათ: „სისხლის მსმელებს, გინდათ შაგვსვათ მთელი ყმები! გინდათ სისხლიდგან დაგვცალოთ?! შაგვასვენეთ ცოტა, თქვე რჯულზე ხელაღებულებო, თორემ მამა-ჩემი თქვენ მოჰკალით, მეც თქვენ შამოგაკვდებით! — აი გამოდით—გამო! ღრიალებდი ხოლმე. ის. ბატონებიც და ქალ-ბატონებიც მიიმალებოდნენ ხოლმე შიშით. მაგრამ არც ამას დაადგა კარგი დღე. ერთხელ ბატონებმა გაბედეს და აი აქ ჩამომხდარ დიამბეგს შეჰჩივლეს ყველაფს. დიამბეგმა ყაზახებს და ჩაფრებს მოათრევინა „დევი“, გაატიტვლა სახალხოთ და დააწყებინა ცემა. სისხლის მორევები დადგა, შიგ ხორცის ნაფლეთები ცურავდნენ — მაგრამ ის არც კი კვნესოდა. ბოლოს ჰკითხა დიამბეგმა: „აღარ გააჯავრებ ბატონებსაო“? ერთი ამიშვი და ეხლა რჯულს და მასაბს მო....! შაჰყვირა იმან. ამაზე დიამბეგმა კიდევ აცემინა და, რო კიდე ჰკითხა, კიდე ის პასუხი მიიღო. როზგ-ქვეშ მოკვდებოდა რომ მე არ შავხვეწოდი და იმდენ ნადირ თავადობას არ შასცოდვებოდათ. მაგრამ რა გამოვიდა? მეორე დღეს მაინც შასწირა თავი ბატონ-ყმობას. დიამბეგი ბატონებთან საქეიფოთ სასახლეში წავიდა. იქ მეორე დღეს ერთი ლხინი, დღეობა იყო: ლამაზი კნეინები „შავნი შაშვნი“ და „სულობოროტს“ გაჰკიოდნენ. როცა სადილზე ამბავი მიუტანეს, რომ „მდევი“ ბატონის ხესილებს სულ ჰკაფავსო... შასხდნენ ცხენებზე ათიოდ ნაქეიფარი თავადი, დაესხნენ „დევს“ და ჯერ ხომ ცემით მოკლეს, მერე იქვე ერთ ტლაპოიან რუში ჩადეს გაშმაგებულებმა და შიგ ათრიეს, რუმბივით დასივებული ურმით მოიტანეს დიამგებთან---ზემოდგან ჭილობები ეფარა და ბუზები ესვეოდა... მე იქ გასლდი და ვტიროდი. დიამბეგი გამოვიდა გადაასხლევინა და თითონაც შაჰზარდა. მერე კიდე ჰკითხა:

არ მოჭკვიანდებიო? ჰოო! შაჰკვნესა კბილების ღრაჭუნით ცხონებულმა. გაბრაზდა ამაზე დიამბეგი და ოცი როზგი ზედ ურემზე დაარტყეს... ჩემი და სხვა გლეხ-კაცების ქვითინი არ შაისმინეს და იმან რომ ქვეშ ურემზე დალია სული... აი უწინდელი საზიზღარი დრო, ბატონო! ეხლა მოვშორდით ბატონებს, მოვშორდით სისხლს, შრატს, ჩვენთვის ვმუშაობთ, არავისთან არ მივალთ, თუნდ რო კისრჩობოდეთ, რადგან ვიცით, ვისთანაც მივალთ, დაგვიმონავებს — დამონავებას სისხლი მოაქვს... დაიღუპნენ ის ბატონებიც, ფული გახდა ეხლა ბატონი... სასახლეებში ეხლა . . . ვაჭრები დგანან და თუ ბატონს ამათგან სადმე სული უდგათ — ის გლეხების მადლობით, რადგან გლეხს არა აქვს მამული, არა აქვს ფული მიდის მასთან სამუშაოთ და იმისი მოყვანილი ბატონსაც უდგამს სულს და გლეხსაც... კაი გლეხი ცდილობს თავისთვის იმუშაოს, ყველას მოჰშორდეს — ვაჭარსაც, სხვა მდიდარსაც და ბატონსაც — ეს არის ყველას ნატვრა — მაშინ სისხლს არის ის გლეხი მოშორებული და კაი იმას, ვინც იმათ ბადეშია გაბმული. ყველა კი ჩვენზე ნადირობს — დაათავა მოხუცმა. მე დაღონებული ავდექ, ხელი ჩამოვართვი ყველას და გაუდექი გზას სტანციისაკენ...

## თავი IV

აი მიდგება თვალ-წინ საზარელი სურათი: მხარ-ბეჭიანი გლეხი ვეებარა თავლაში შფოთავს, არ ჰმორჩილებდა... იქაურობას გააქვს ბრაგა-ბრუგი — ბატონი კი გამღრძვალი ჩიბუხით პირში უყვირის „წააქციეთ!“ აგერ დასძლიეს... გააქვს

შხუილი შსუშლებს, დგება სისხლის გუბე და ზედ ხორცის ნაგლეჯები ტივტივებენ..... მაგრამ გმირი ხმას არ იღებს... ათასში ერთხელ თუ ამოიკვნესებს! აგერ ბოლო კვნესა და ის როზგ-ქვეშა სულსა ლევს... იქვე ბატონის სახლში — აი, მშვენიერი მაგ-თვალა, მარმარილოს ყელის და ნარნარის ხმის ქნეინები არაკრაკებენ „სულოო ვაი ბოროტო"! ვიინ მოვა..." და სხვა. რო გაათავებენ, ასტყდება საშინელი ღრიანცელი — ტაშის-კვრა და ისევ თავიდგან გაისმის საამური ხმა „სულო-ოი ვაი ბოროტო"... აი უცებ სიჩუმე... კარზე ჭილობებ წაფარებული, დარ-უმბებული ცემისგან ურმით გლეხი... ზედ ბუზების ბზუილი — უცებ დიამბეგის ხმა „დაჭკართო" და ის ჯოჯოხეთის ზმუვით სულს სტრუნავს — ათავებს სიცოცხლეს... მერე აი შეუწყვეტლივ მღერა „სულო ბოროტოსი" ხარხარი, სიცილი... ათასში ერთხელ „აბუმბლე", „აკარკლეც" ისმის ამ ვაი-ვაგლახში... აი ეხლა მეჩრება თვალ-წინ ეს ჭაღარა ბერიკაცი, მამასახლისი, თავისი „მოვშორდეთ შარს, მოვშორდეთ სისხლს", „თავისუფალი შრომა გლეხისთვის"! აქვე ერევა ხმა არტემასი, ქიტესასი, პრისტავისა, აზნაურისა „გაჭირება გლეხს, უიმისოთ მაგას უღელში ვერ შევაბამთ, ჩვენზე ვერ ვამუშავებთ"!... „ჯოჯოხეთში ის რაღაც ოსტატია, რომელიც მაგ გლეხებს ამაგრებს!" გაუმარჯოს კალიაობას, გაჭირებას, უმეცრებას"!!... ისმის ბრაგი-ბრუგი, ამათი დარევა... ბედნიერ კუნჭულის ნიადაგს ზანზარი გააქვს.... — ჩქო ჩამოსულხარ? დავიძახე მე, როცა სტანციას მივატანე და იქ შევასწარ ღვაწლი ნაცნობ პრისტავსვე, მესტოვნეს და აკციზის ჩინოვნიკს...

ჩამოველ. შენ ი ოსტატთან იყავ?! ჩქო, რა ქაცთან ჭყოფილხარ?

— როგორ? ვკითხე მე.

— ერთი მებუნტე, თავის ქერქში დაუდგომელი! წალსს ეუბნება პრისტავს, თუ სხვა ჩინოვნიკს ზღვნებს ნუ აძლევთო, ცემა არავის შეუძლიან და ნუ ეცემინებითო... მე რო ეს შავიტყუე, ზედ იმი ცხვირ-წინ დავხეთქე ხალხი მათრახით. მამასახლისი შკოლის-კარებზედ გავაწვინე და ისე ვცემე.

— ცემის ნება და ზღვნების ნება, ხომ არა გაქვთ, რო გიჩივლონ? ვუთხარი მე.

— გლეხებზე ნებაა, თითონ მთავრობის თვალ-წინ — ჩვენ ერთი ბნელიანი. ბრუტიანი პომოშნიკი გვყავ, დაჰხოცამს ხოლმე ცემით გლეხებს... — ჰო. ა ოსტატზე გეუბნებოდი, დაიწყო იქვე პრისტავმა, ხალხი დაერიგებინა, რომ ჩაფრებს პურს ნუ აჭმევთო და, თუ გცემონ ვისმე, მამასახლისმა აქტი შეუდგინოს და ნაჩალნიკთან გაუგზავნეთო. ჩაფრებმა მე მითხრეს, მე ნაჩალიკს მოვახსენე, იმან ჩაფრები დაიბარა და უბძანა: „ზედ იმის ცხვირ-წინ სცემეთ გლეხებსაო“, „იმის თვალ-წინ წაართვით ზღვნებიო და, თუ იმან რამე გითხრათ, გალანძღეთ კარგაო. ოსებსაც ეს უნდოდათ. მეორე დღესვე მთელი აცხა აეკლოთ და თითონ იმასათვისაც ბევრი ეგონებინათ — იმან ნაჩალნიკს გამოუცხადა, ყანა ნიგმა უთხრა. ხალხს კი სცემონ და თქვენ უფასტიურებას გადავახდევინებო. იმის წასვლის უმალვე მე გადმომცა ნაჩალნიკმა, რო ჩაფრებისთვის მეთქო, თუ უმოწმოთ სადმე შემოასწრონ, კიდეც სცემონ ოსტატსაო...

ამ რიგათვე დაიწყო მებატონემ — რომ გლეხისთვის წიგნი რა საჭიროა — რო ისწავლონ რამე კისერზე წამოგვსხდებიანო. მერე დამდგარა და სტარეებს ჯანი გავჰკარ.

დეს, დიდებსაც ასწავლისო. გლეხს თავს უყადრებს და იმიტომ ჩვენც მაღლათ აღარ გვაგდებენო“.

— შააჭხედე, ბატონო ამ ტყეებს, ვუთხარი მე, გონი მებატონებისაა? — გლეხებს რო სცოდნოდათ რამე, აქ არტემეები ვერ დასუქდებოდნენ და თქვენც ეგ ტყეები არ დაგეკაფებოდაო, მეთქი...

პრისტავისეებ სარივარი შამოიტანა აკციზის ჩინოვნიკმაც და მე გულში დამებადა მეთქო: ღორები ხართ მეთქი, მაგრამ რო არ უთხარ, იქნება ეხლაც არ იცოდნენ, რომ ისენი ღორები არიან?!......

მე ალეწილი შეველ სტანტიაში და დავწერე მასწავლებელთან შემდეგი წერილი:

,,მეგობარო! მე როგორც შავიტყე გარემოებიდგან, შენ აცხაში არ გედგომება და, თუ არ გინდა, შჩედრინისა არ იყოს, ხელებ-შეკრული ვიზიტათ ნაჩალნიკთან მიგიყვანონ, რომლის ქალის გაცნობის ბედნიერებაც არა გქონია და სხვ. და სხვ.,... უნდა აიბარგო მანდედგან. პროვინციაში სიმართლე წინააღმდეგი ნივთია. თუ გნებავს, სადალაქო გააღე ზედ წარწერით: ,,აქ ჰკრეჭენ, ჰპარსვენ და სისხლს უშვებენ“, მაშინ ტკბილი, ტკბილი იქნება შენი ცხოვრება... რას იზამ? თუ უსწავლელებს სცემენ — ნასწავლებს უფრო... ესეც გაიხსენე, რო შკოლით შენდებოდეს ქვეყანა — ორმოც წელში მთელი ქვეყანა გაბედნიერდებოდა; მაგრამ, რამდენი საუკუნეა, რაც უდიდესმა რუსსომ გენიოსური მეტოდა მიანიჭა კაცობრიობას?! — აბა სადღაა ეხლა ეს? — რათ აქციეს იგი პატენტიანმა პედაგოგებმა?! რამდენი წელია, რაც ესენი არსებობენ და აბა ბედნიერება?! ჯერ ცხოვრება — მერე შკოლა! ჯერ ეკონომიური რიგიანი წყობა და მერე მორალური“.....

შენი მეგობარი №

გადავიკითხე წერილი და თუმცა ცხარე იყო, მაგრამ მეგობრის გონებას მივანდე... მე ბილეთი ავიღე, ჩაუჯექ ვაგონს და დავანებე თავი „ბედნიერ კუნძულს“. —

## თავი V

...ესე, მკითხველო, მგონი ჰჯავრობ — რაზე დავსწერე ამტენი — მერე დაულაგებლივ — აუკონავიო! მგონი, უნდა გაგეგებოდეს, რომ ქართველებს — ზოლა, დოდე, ჰიუგო ჯერობით არ გვეღირსება რა ვქნათ, ბიძია, მე გასართობათ არცა ვწერ. ვსწერ იმას, რაც ვნახე—ვსწერ იმას, რასაც ყოველ ნაბიჯზე ნახავ ჩვენ სოფელში. ეხლა შენი და ჩემი ვალია შევაერთოთ ეს ამოდენა ხალა-ბალადა დასკვნა გამოვიყვანოთ, . . .

პოეზდით თბილისში ჩაველი და იქ „ვეფხვის-ტყაოსნის“ კრებაში მივეშურები — საშიამამავლო აუცილებელი მოვალეობა მიწვევს იქითკენ, — გნებავს შენც წამომყე, ჩემო მკითხველო!......

შაქრო.

1881 წ.

# უწინდელი ჩვენებური დედა და შვილი

## I

ზაფხული არის. ჩვენს ქვეყნის მხარეს
მზე გულ-დაწყვეტით დაემშვიდობა;
თავისი ბინა დაუთმო მთვარეს, —
მან ღიმილით სთქვა „ქართველთ მშვიდობა!“

---

ამოციმციმდა იგი სრულიად
და განაბნივა სხივი თავისი;
მიწყნარდა ყველა ყველგან მალიად,
არ ისმის არსად ხმა არავისი!

---

ამ სულ-გაკმენდილ ბუნებას გრძნობით
მხოლოდ ბულბული, ტკბილი ხმიანი,
საამოთ უსტვენს და მის გალობით
სტკბება ძილს მყოფი ადამიანი!...

---

დიდ ხანს ბულბული, თითქო ტკბილ ნანას,
დაუზარებლად, სხვა და სხვა ჰანგზედ
უმღერდა ჩვენსა ტურფა ქვეყანას,
მჯდომარე დაბალ კუნლისა ჯაგზედ!..

---

ამ დროს სხვა მხრიდგან მოჰქროდა ბუი,
ვინ იცის ვისგან შეშინებული...
ბულბული შეკრთა, შესძახა „ვუი“,
განქრა სადღაც შორს, მოსვენებული!

—

ამ დროს ხმაური მიწყნარდა სრულად,
და მთვარემ უფრო გამოსცა შუქი;
განათლდა არე მომეტებულად,
თითქო უმატეს ლამპარს პატრუქი.

—

## II

იქ, შორი-ახლოს, წნული ქოხიდგან
ისმოდა ამ დროს ხმა ტირილისა,
ამ გულ-მწველ ხმასთან მეორე მხრიდგან —
ხმა დამამშვიდი მომტირალისა...

—

### დედა.

„შვილო, ძვირათ ღირს მამულისათვის
მსხვერპლად შეწირვა თავის-თავისა;
სირცხვილიც არის მის შვილისათვის
უარის-ყოფა წმინდა ვალისა!

—

„მაგრამ სატვირთოდ ცოლი, ძმა, დები
და დედა გერგო ბედისგან, კარგო:

იმათ მწედ, შვილო, როს მოგვშორდები,
ვინ უნდა იყოს რო დაგვგმარგო?!...

---

არა, ნუგეშო, შენი ოჯახი
უშენოთ ერთ დღეს ვეღარ იცოცხლებს.
გვეყოფა ტანჯვა, ვაი-ვაგლახი,
ამდენს განსაცდელს ქვაც კი ვერ შესძლებს!“

## შვილი.

დედილო, შხამათ მე შემრგებოდეს
შენ ტკბილ ძუძუდგან რძე მიღებული,
თუ ამ შენს გაზრდილს გულს შორდებოდეს
ეს ვალი, ჩემზედ დაწესებული!

---

,,მაშინ ნურც ვიყვე, რომ მივცე ნება
გულს სთქვას: ,,არ მიყვარს ჩემი მშობელი“!
უწინამც გაჰქრეს ჩემი ხსენება, —
მე თითონა ვარ ამ გვართ მგმობელი!

---

,,მაგრამ, მშობელო, შენ შვილს უწოდებ
მას, ვინც გულ-გრილად მამულს მტრით სავსეს,
ძმების სისხლის ღვრას პირუტყვისაებ,
უსირცხვილოდა თვალით უყურებს?! —

---

,,მიყვარს დედა, ძმა, დისაც ვალი მძევს,
მწვავს ერთობ ყველას მე სიყვარული, —
მამული უფრო მძლევს, თავისკენ მწევს,
მისკენ მიმაფრენს ეს ჩჩვილი გული!

—

„თუ ამ სუსტ მკერდში გული მიფეთქავს,
ტანზე მკლავები მე შემრჩენია, —
მამულის ტრფობა, მიწამ არ შთამნთქას,
ფიქრათაც მუდამ მწვავს ვით გენია.

—

„დედაც მიყვარსო, მამაც,“, იტყვიან,
„თავი კი ყველას მირჩევნიაო“
თქვენ გვერდთ მოგიჯდეთ, აბა რას ჰქვიან!
სამშობლომ დამგმოს „არ გრცხვენიაო“?!

—

„მშვიდობით!.. მივალ თავ-დადებული,
ან უნდა მოვკვდე, ან მოვკლა მტერი!
და, თუ დავბრუნდი გამარჯვებული,
ჩვენს რჯულის მგმობელს ვადინო მტვერი; —

—

„მე ღირსეული მაშინ ვიქნები
შვილი მამულის და ჩემ ოჯახსაც,
კალს გარეთ მყოფი, თავს დავადნები,
მეც გავიხარებ, ვახარებ მასაც!“...

—

ამ სიტყვებითა ჭაბუკი კოხტად
ცხენს ზურგს მოევლო, მათრახი დაჰკრა,
სახლობა მწარედ მტირალი, სხტად
დაანარჩუნა, — თვით მტრისკენ გაქრა!..

თეოფილე კანდელაკი

გორს 20 აგვისტო
1880 წ.

# ისარი.

ისარი იმისთვის არის,
რომ დასოს გულში მტერსა, —
ჩვენგანია, თუ სხვა არის, —
აგრძნობინოს ჩაგრულთ კვნესა.

დევის ნაბიჯით მიდის გაუჩერებლათ ჩვენი მწერლობის საქმე და ძალიან გვიკვირს, რომ პატივ-ცემულმა მეხუთე არხეოლოგიურმა კრებამ დასტოვა ეს გარემოება უყურადღებოთ. თუ მართლა და „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს", რატომ ასე მოიქცნენ ის გამოჩენილი მსწავლულები ჩვენი ლიტერატურის შესახებ?! . . . ხმა არ ამოიღეს ჩვენი მწერლობის ლამპრებზედ?! ეს ვერაფერი ზრდილობა მოუვიდათ, სწორე მოგახსენოთ!

ახალ ჟურნალს და გაზეთს — „იმედს" და „შრომას" თავი დავანებოთ, თუ გნებავსთ, რადგანაც ესენი მაინც-და-მაინც ძველს მაგდენათ არა სწყალობენ და ჰქადაგებენ, რომ საქმე სისხლშია და არა ძვალშიო, სიცოცხლეში და არა წიკვილშიო, აწ-მყო-მომავალში და არა წარსულშიო, მაგრამ „დროებამ" და „ივერიამ" რაღა დაუშავეს იმათ, რომ ჩირათაც არ ჩააგდეს! ნუ თუ ამ ჟურნალ-გაზეთის თანამშრომლები, რომლებიც იმდენათ „ყოველივე ძველის" თაყვანის-მცემლები არიან, რომ სურსთ

კიდეც ხელი მიაფარონ მას და მით დაიხსნან ის ახალ-თაობის ავი თვალისა და ენისაგან; ღირსნი არ იყვნენ არხეოლოგოსებისაგან კეთილად მოხსენებისა?! რომ ამ უკანასკნელებს ჩვენი მწერლობის გმირები ასე უპატივ-ცემულოთ არ დაეგდოთ, ხომ, ეჭვი არ არის, გაამხნევებდნენ მათ და იქნება, ხელის მაგიერ, მკერდიც მიეფარებინათ საქართველოს „ყოველივე ძველისათვის“. ეს ხომ თვით არხეოლოგოსებისათვისვე სასარგებლო იქნებოდა... ვეჭობთ, რომ ის ვიღაც არხეოლოგოსები არიან — მართლა დ მსწავლულები იყვნენ! სხვა-ფრივ არაფრით არ აიხსნება ამ გვარი იმათი ბულამურუმობა. იქნება ყველამ მოითმინოს ეს, მაგრამ ჩვენ კი ვერ მოვითმენთ, სწორედ, რადგანაც მალაუნებურად გვაკისრებინებს იმის გამოთქმას, რაც იმათ უნდა გაოეთქვათ. დაგვიხედეთ მსწავლულებს! . . . . . . .

ოჰ, რა გული მოგვდის, რომ ის შესანიშნავი საქმეები, რომლებიც ჩვენ ლიტერატურაში ხდებიან და რომლებზედაც ჩვენ ვალდებული გავხდით ვილაპარაკოთ, არ იქნენ გამოკვლეულნი და გამოთქმულნი გარკვევისაგან, ან სხვა მასთან მოსულისაგან ვისგანმე! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, სისულელეც რომ ყოფილიყო, ტაშს დაუკრავდნენ ჩვენი მწერლობის ლამპრები! ჩვენ კი, თუ გინდ თან გადავყვეთ სიმართლეს, ვინ რათ ჩაგვაგდებს?! თქვენ ძველი, უკაცრავათ, ძვლები არ გიყვარსთო, გვეტყვიან, და ამისათვის სტყუითო. ვინ იცის, იქნება გამცემლობაც (შპიონობა) შეგვწამონ, ჩვეულებისა-მებრ თვისისა... ასე, თუ ისე, ჩვენ მაინც ვიტყვით და, ვისაც გაგონება არ სურდეს, შეუძლიან ყურებში ბამბა დაიცოს. —

ჩვენს ბასს ის დანიშნულება აქვს, რომ თან გაჰყვეს წასულ მსწავლულებს და განსაკუთრებით ქართველ მსწავლულებს და შეანანიოს მათ ის ცოდვა, რომ „ძველის“ გამომკვლევ-

# ისარი.

ისარი იმისთვის არის,
რომ დაესოს გულში მტერსა, —
ჩვენგანია, თუ სხვა არის, —
აგრძნობინოს ჩაგრულთ კვნესა.

დევის ნაბიჯით მიდის გაუჩერებლათ ჩვენი მწერლობის საქმე და ძალიან გვიკვირს, რომ პატივ-ცემულმა მეხუთე არხეოლოგიურმა კრებამ დასტოვა ეს გარემოება უყურადღებოთ. თუ მართლა და „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს“, რატომ ასე მოიქცნენ ის გამოჩენილი მსწავლულები ჩვენი ლიტერატურის შესახებ?! ხმა არ ამოიღეს ჩვენი მწერლობის ლამპრებზედ?! ეს ვერაფერი ზდილობა მოგვივიდათ, სწორე მოგახსენოთ!

ახალ ჟურნალს და გაზეთს — „იმედს“ და „შრომას“ თავი დავანებოთ, თუ გნებავსთ, რადგანაც ესენი მაინც-და-მაინც ძველს მაგდენათ არა სწყალობენ და ქადაგებენ, რომ საქმე სისხლშია და არა ძვალშიო, სიცოცხლეში და არა სიკვდილშიო, აწ-მყო-მომავალში და არა წარსულშიო, მაგრამ „დროებამ“ და „ივერიამ“ რაღა დაუშავეს იმათ, რომ ჩირათაც არ ჩააგდეს! ნუ თუ ამ ჟურნალ-გაზეთის თანამშრომლები, რომლებიც იმდენათ „ყოველივე ძველის“ თაყვანის-მცემლები არიან, რომ სურსთ

კიდევ ხელი მიაფარონ მას და მით დაიხსნან ის ახალ-თაობის ავი თვალისა და ენისაგან, ღირსნი არ იყვნენ არხეოლოგოსებისაგან კეთილად მოხსენებისა?! რომ ამ უკანასკნელებს ჩვენი მწერლობის გმირები ასე უპატივ-ცემულოთ არ დაეგდოთ, ხომ, ეჭვი არ არის, გაამხნევებდნენ მათ და იქნება, ხელის მაგიერ, მკერდიც მიეფარებინათ საქართველოს „ყოველივე ძველისათვის". ეს ხომ თვით არხეოლოგოსებისათვისვე სასარგებლო-იქნებოდა... ვეჭობთ, რომ ის ვიღაც არხეოლოგოსები არიან — მართლა დ მსწავლულები იყვნენ! სხვა-ფრივ არაფრით არ აიხსნება ამ გვარი იმათი ბულამურუმობა. იქნება ყველამ მოითმინოს ეს, მაგრამ ჩვენ კი ვერ მოვითმენთ, სწორეთ, რადგანაც მალაუნებურათ გვაკისრებინეს იმის გამოთქმა, რაც იმათ უნდა გაეთქვათ, დაგვისჯდეთ მსწავლულებს! . . . . . .

ოჰ, რა გული მოგვდის, რომ ის შესანიშნავი საქმეები, რომლებიც ჩვენ ლიტერატურაში ხდებიან და რომლებზედაც ჩვენ ვალდებული გავხდით ვილაპარაკოთ, არ იქნენ გამოკვლეულნი და გამოთქმულნი გარკვევისაგან, ან სხვა მასთან მოსულისაგან ვისგანმე! ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, სისულელეც რომ ყოფილიყო, ტაშს დაუკრავდნენ ჩვენი მწერლობის ლამპრები! ჩვენ კი, თუ გინდ თან გადავყვეთ სიმართლეს, ვინ რათ ჩაგვაგდებს?! თქვენ ძველი, უკაცრავათ, ძვლები არ გიყვარსთო, გვეტყვიან, და ამისათვის სტყუითო. ვინ იცის, იქნება გამცემლობაც (მპიონობა) შეგვწამონ, ჩვეულებისა-მებრ თვისისა... ასეა, თუ ისე, ჩვენ მაინც ვიტყვით და, ვისაც გაგონება არ სურდეს, შეუძლიან ყურებში ბამბა დაიცოს. —

ჩვენს ბაასს ის დანიშნულება აქვს, რომ თან გაჰყვეს წასულ მსწავლულებს და განსაკუთრებით ქართველ მსწავლულებს და შეანანიოს მათ ის ცოდვა, რომ „ძველის" გამომკვლევ-

ლებმა ასე უნუგეშოთ დასტოვეს ჩვენი ყოველივე არხეოლო-გიური სამკაულებით შეჭურვილნი ,,დროება" და ,,ივერია". ყველასაგან მოითმენს კიდევ, როგორც არის, კაცი, მაგრამ უფ. ი. ოქრომჭედლიშვილისაგან კი, რომელიც იმ ზომამდის ,,ძველის" მიმდევარი გამოდგა, რომ ექვს-ასი თუმანი უძღვნა ,,საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" ძველი წიგნების დასაბეჭდავათ, არას რიგათ მოსათმენი არ არის, რომ, არამც თუ არაფერი არ უფეშქაშა ,,დროება"-,,ივერიას", არამედ აინუმშიაც არ ჩაიგდო იმათი ძვირ-ფასი (არ ვიცით ვისთვის—უ. უ. ს. მესხისა და ი. მაჩაბლისათვის, თუ საზოგადოებისათვის?) არსებობა...

მართლაც და—ის დალოცვილი არხეოლოგოსები ქუთაისში მირბოდნენ ათას-ჯერ გადაჩხრეკილის და, ზოგიერთა პირების წყალობით, სამძღვარ-გარეთ გადაგზავნილი სამკაულების დასასხედავათ, და ის კი ვერ მოიფიქრეს, რომ შეეხედნათ ,,დროება-ივერიის" რედაქციაში, რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზედ, ე. ი. რამდენიმე ას ნაბიჯზედ არხეოლოგიური კრების სასხდომოდგან, და სადაც ყოველ-ნაირ არხეოლოგიურ ცნობებს მოიპოვებდნენ. სხვა არა იყოს რა, გვერდები მაინც აღარ დაემტვრეოდა ჩვენს ისტორიკოსს და არხეოლოგოსს უ. დ. ზ. ბაქრაძეს! მაგრამ აქ, ეს ოხერი ჩვენი დრო რაღაც სულ უკუღმა მიდის!...

აი ცნობები ,,დროება"-,,ივერიის" და საზოგადოთ ჩვენი მწერლობის ცხოვრებიდგან, რომლებიც ძალიან საინტერესონი არიან არხეოლოგიური კრებისთვის და რომლებითაც მეექვსე კრებამ, რომელიც იქნება ჩვენს ახლოსვე — ოდესაში, მიუცილებლათ უნდა ისელმძღვანელოს, თუ მართლა და არხეოლოგიური საგნების გამოსაკვლევათ იქნება და არა საქეი-

ფოთ, საზოგადოებისათვის თავის საჩვენებლათ და მის სანასავათ, როგორიც გამოდგა ამ დღეებში გათავებული მეხუთე კრება, „ფალანგისაგან" კანონიერათ დაჯილდოვებული ბოთლების პირამიდით და ჩვენგან „მშვიდობით" იმ მნიშვნელობითვე რა მნიშვნელობითაც იმათ მოგიძღვნეს ეს სიტყვა.

„დროება" და „ივერია" თითქმის თავიანთ დაარსებიდგანვე მისდევენ „ძველს", ქადაგებენ, რომ, თუ იყო რამე ისევ ჩვენი „ძველიო", თორემ ყოველივე „ახალი" ახალ-თაობითურთ ღმერთმა შეინახოსო. ის სხვა არის, თუ ამ ახალ-თაობაში ურევია ვინმე „ძველით" ჭკუა გატენილი. ამ გვარი კაცი იმათთვის დაუფასებელია. რადგანაც წარმოადგენს მათისას საშუალებას საზოგადოებაში იმ თავიანთი აზრის გაყვანისას, თუ ახალ-თაობამ თითონაც არ იცის, რას ეძებსო, თითონაც ვერ შეთანხმებულა საქმეზე, შესცდულობაშიო, დაუმწიფებელიაო. ჯიუტათ და განუწყვეტლათ იბეჭდებიან ამ ჟურნალ-გაზეთში ძველის-ძველი თხზულებების თარგმანები, ისტორიული ნაგლეჯები და სხვ. თუ თვითონ იტყვიან ხოლმე რასმე — უეჭველად შიგ „ძველი" უნდა შეაქონ, როგორათაც, მაგალითებრ, მოიქცა ავტორი სტატიისა: „რანი ვიყავით გუშინ". უფ. ი. სვიმონიძე.

განა ამ გვარი მოღვაწეობა „დროება"-„ივერიისა" ღირსი არ იყო და არ არის ყურადღებისა არხეოლოგოსების მხრით?! განა სამსახურათ არ ჩაეთვლება ამ ჟურნალ-გაზეთს, რომ ასე თავ-გადაკლულია „ძველზედ". თუ გინდ სინათლეზედაც ცხადი იყოს, რომ ეს „ძველი", უსამართლობით სავსე, ბევრათ ჩამორჩება ზოგიერთ „ახალს"?! თუ კი უფ. ი. ოქრომჭედლიშვილის ძველი ქართული წაღმა-უკუღმა ასოები შეიქნენ არხეოლოგიური კრებისაგან განხილვის და დამტკიცე-

ბის ღირსნი, უსამართლობა არ არის, რომ „დროება“-„ივერი-აზედა“ არაფერი ითქვა და არ ითქვას?! ეს მით უმეტეს უსამართლობა იქნება მომავალი არხეოლოგიური კრებისაგან, რომ ამ დროებით „ივერიაში“ იბეჭდება, სხვათა-შორის, ის ძველი ანბანიც, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ... ერთის სიტყვით, „დროება“ და „ივერია“ ცდილობენ, რაც კი ძალი და ღონე აქვსთ, დაისახონ „ყოველი ძველში“ მხოლოდ კარგი, თუ . . . . . . . ცუდი რამე გამოუტყუვრათ ხოლმე — იმას კიდევ, ვიმეორებთ, ხელს აფარებენ, რა არის და ახალის მიმდევრებმა არ დაინახონო და არ გაჰკიცხონო. ნუ თუ ამ გვარი ქცევა „დროება“-„ივერიისა“ ჩვენს დროში, როდესაც თვითეული თავის მეტზედ არავიზედ და არაფერზედ ზრუნავს, საქები, შესანიშნავი და არხეოლოგიური კრების ოქმში ოქროს ასოებით შესატანი არ არის?!...

კერძო ცხოვრებითაც „დროება“ და „ივერია“ წარმოგვიდგენენ შესანიშნავ არხეოლოგიურ საგანს და მომავალი არხეოლოგიური კრება ვალდებულია მიაქციოს მას ჯეროვანი ყურადღება. ვისაც კი ცოტა ოდენათაც არის შეუსწავლია ისტორია, განსაკუთრებით საეკლესიო ისტორია, ეჭვი არ არის, ეცოდინება, რომ ძველად, ესლანდელი ეკლესიური ქორწინების მაგიერ, ესრედ წოდებული სამოქალაქო ქორწინება სუფევდა. „დროება“ და „ივერიაც“, მოვიდნენ თუ არა ასაკში, ამ ორის წლის წინათ, როგორათაც „ძველის“ მიმდევარები, შეუღლდნენ ერთმანეთთან ამავე ქორწინებით. მშვენიერი რამ სანახავი იყო ეს ქორწინება: „დროება“ წარმოადგენდა ძველებურ „იმერელ“ ნეფეს და „ივერია“ კიდევ ძველებურ ქართლ-კახელ დედოფალს. პირველს ეხურა ბუზმენტებით მორთული ფაფანაკი, მეორეს ეცვა ბუზმენტებითვე მორთული წითელი ფარ-

ჩის პერანგში ამხანაგი ყვითელი აბრეშუმის შესაკრავით, რომლის ფოჩები მშვენივრათ ზიმზიმებდნენ წითელ ფარჩაზედ. გავიდა ორი წელიწადი და, როგორათაც ძველ დროში, პატარძალმა ბუტიაობა დაიწყო, ქმარმაც მდურება დაუწყო. მიზეზიც ამ ბუტიაობისა და მდურებისა ისევ ის არის, რაც ძველად იყო ხოლმე ამ გვარ შეუღლებულებში. პატარძალი ებუტება ქმარს იმიტომ, რომ ის არაფერს მას არ უგონებს, რაც თვითონ სურს — იმას შვრება, ქმარი კიდევ ემდურება ცოლს იმაზედ, რომ მისგან ბევრ მზითევს მოელოდა და მოტყუებული შეიქნა. თუ ამ ცოლ-ქმარ-შუა განხეთქილებაში ცოტა-ხანს კიდევ გასწია, ეჭვი არ არის, გაიყრებიან და გაიყრებიან ძველისავე რიგით: ერთ მშვენიერს დილას ეტყვის ცოლი ქმარს — მე შენთან ცხოვრება აღარა მსურსო, ქმარიც ეტყვის ცოლს — მეც სწორეთ მომწყინდა შენთან ცხოვრებაო და გათავდება საქმე. ნუ თუ ამ გვარი შესანიშნავი არხეოლოგიური საგანი ყურადღების ღირსი არ იყო და არ არის არხეოლოგოსების მხრით?! თუ კი დალოცვილმა მეხუთე არხეოლოგიურმა კრებამ იმდენი ყურადღება მიაქცია აბხაზების ცოლ-ქმრობის გაყრას, რომ საბაასოთ გახადა და ჩვენს გამოუჩენელს ისტორიკოსს ვლადიმირ მიქელაძეს თავი გამოაჩენინა, „დროება“ და „ივერია“ რიღას დამნაშავენი არიან, რომ უყურადღებოთ დარჩნენ?! არა, თუ სიმართლეა სადმე, საბაასონიც ესენი არიან და გამოსაჩხრეკნიც!...

ეს „დროებაზედ“ და „ივერიაზედ“, საზოგადოთ ჩვენ ქართულ მწერლობაში ხდება ისეთი არხეოლოგიის წინააღმდეგი საქმე, რომელიც აგრეთვე უყურადღებოთ არ უნდა დარჩეს არხეოლოგოსების მხრით, თუ კი სურსთ მათ არხეოლოგია მთლათ არ დაემხოს. ჩვენ ვამბობთ იმ ლიტერატურულ

აბელებზედ, რომლებიც, წინააღმდეგ ღვთისა და ბუნების კანონებისა, სცდილობენ პირზედ კლიტეები დაადონ ყველას, ვისაც კი ლაპარაკი სურს, რა არის და პირუტყვებათ გადავაქციოთო. ,,ახლის" ლაპარაკს თუ გინდ ჯანი გავარდეს, ამ ,,ძველის" ლაპარაკს რაღას უშლიან ხალხს, თუ ღმერთი გწამსთ?! არა, რაც გუშინ და გუშინ-წინ გილაპარაკნიათ თავისუფლათ, დღეს იმის ლაპარაკი აღარ შეგიძლიანთო და, რომ არ გაბედოთო, კლიტეები უნდა დაგადოთ პირზედაო! ეს კარგი და პატიოსანი, მაგრამ, ხომ თან-და-თან უკან უნდა წავიდეთ და დავემსგავსოთ მაიმუნს, რომელსაც ზოგიერთი მსწავლულები ჩვენს მამათ-მამას უწოდებენ! ან ჩვენ ქართველები რა შევიქენით ამისთანაები, რომ თითო-ოროლა სიტყვისათვის კლიტეს გვადებენ პირზედ, მაშინ, როდესაც სხვებს და სხვა ენებზედ ათი იმდენის თქმაც შეუძლიანთ?! რა არის ეს — არ ვიცით. გვგონია კი კაცის განკარგულება და ღვთის რისხვა უნდა იყოს. მით უფრო საყურადღებოა მომავალი არხეოლოგიური კრებისათვის. თორემ, ხუმრობა ხომ არ არის, ერთიც ვნახოთ და ისე შეშინდნენ მობაასეები, რომ არხეოლოგიურ საგნებზედაც ხმა აღარ ამოიღონ! ვის არ გაუგონია ქართული ანდაზა, ,,ფაფის შეშინებული დოს უბერავდაო"!... მართლაც და გასაკვირველი და დასაფიქრებელია ხსენებული აბელების ქცევა. მარილზედ ბაჟი მოისპო და სიტყვა-აზრზედ კი თან-და-თან ემატება! ნუ თუ კაცისათვის მარილი უფრო საჭიროა, მინამ სიტყვა-აზრი?! ალბათ მარილის მლოკველ პირუტყვებათ სურსთ გაგვხადონ, რა არის და სიტყვიერება უსამართლობის წინააღმდეგობას არ მოვახმაროთ, — სხვა არაფერი აზრი არ უნდა ჰქონდესთ, ჩვენის აზრით, ჩვენ ლიტერატურულ აბელებს. მაგრამ ავიწყდებათ, რომ იმათაც, როგორათაც ჩვენ მოძმეებს, მოე-

ლისთ ჩვენსავით შინაურ ცხოველებათ გადაგვარება — და მაშინ კიდევ ასრულდება იმერული ანდაზა: მეც წავხდი, შენც წაგახდინეო ქრისტიანო გიხაროდეს"...

ის ოჯახი, ეროვნება,
რომელსაც შინვე ჰყავს მტერი,
დღეს, თუ ხვალ დაიღუპება
და გახდება როგორც მტვერი;

—

ამისთვის ვართ ჩვენ მოვალე
წინ აღუდგეთ ამ გვარ მტერსა,
შევმუსროთ, რაც შევძლოთ, მალე —
სინამ გაიდგამდეს ფესვსა.

—

„ძველზე" თავ-გადაკლულები
და „ახლისა" გამკიცხავნი —
აი სამშობლოს მტრები,
ძმების მკვლელნი, მცარცვავნი!

—

მათ ვეხებით ამ უსტარით, —
გიწვევთ ყველას დაგვეხმაროთ,
ვსდევნოთ იგინი „ისრით",
მით მომავლისკენ გზა ჰკაფოთ.

—

ვაგრძნობინოთ აბელებსაც,
რომ პირუტყვობა არს ძნელი, —
შეგვეწევა ალბათ ზეცაც —
მოგვესპობა განსაცდელი.

ეკალაძე.

---

## ფეშქაში ჩვენ ჭკუის კოლოფებს.

მე კარგა ხანია, რაც ჩვენ დედა თბილ-ქალაქს დავშორდი და ვიმყოფებოდი ერთ მიყუნჭულ ალაგას; ბოლოს ისე დამიტრიალდა ბედი, რომ დღეს ისევ დედა-ქალაქში ვიმყოფები და დიდ სიხარულშიაცა ვარ. ან როგორ არ უნდა ვიყვე გახარებული, როდესაც ჩამოსვლისათანავე იმისთანა ახალი ამბები შევიტყე, რომლებმაც მეტათ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემ გულში?! გადმოვხტი თუ არა ორთქლით მატარებლიდგან, შემომხვდა ერთი ვიღაც უცხო კაცი, რომელმაც ანდამატივით მიიზიდა ჩემი ყურადღება. თუმც არ ვიცნობდი მას, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროთ, გავეცი ხმა და ვკითხე: ძმობილო, სადაური ხარ მეთქი. იმან ჯერ რაღაც გაუგებარი სახელ-გვაროვნობა მითხრა, მაგრამ, რაკი გავეცანი კარგათ და დაუწყე დაახლოვებით ლაპარაკი, მითხრა, რომ მე, ჩემო ახალო მეგობარო, ყიზილბოის ისრის-მასრის-სანდლელი კარო. ამ მეორე სახელ-გვაროვნობამ არ გამაკვირვა ისე, როგორც პირველმა, რადგანაც ამ სახელ-გვაროვნობის სიტყვების მნიშვნელობა ცოტათი მაინც გავიგე: ყიზილბოიას თათრები ასვილს ეძახიან და ისრა-მასრა — ბევრგან ზღაპრებშიც გამიგონია, როგორც „ოქროს ყასყაზიანი ჩიტის ლექსში და სამ ჩარექიან ქალის ამბავში“. იქ ასრეა ნათქვამი: „ისრის

მასრის სანდლის ქალო, გადმოყარე გიშრის თმანი, ამიყვანე, შენთან დამსვი, შენი მესურვილებაო". ჭო, საქმე არ დამავიწყდეს, — იმას ვამბობდი, ცოტათ თუ ბევრათ გავიგე მეორე სახელ-გვაროვნობითი მნიშვნელობა მეთქი. — მერმე რისთვის მოსულხარ იმ სიშორე ქვეყნიდგან მეთქი, ვკითხე, თუმცა კი ისრე ვიცოდი მე ისრა.მასრის ქვეყნის სიშორე ჩვენიდგან, როგორც თქვენ, ჩემო მკითხველებო. იმან მიპასუხა: მე ბევრი რამ წამლობა და ხელოსნობა ვიცი და ეგები ერთი ორიოდე გროში ვიშოვნოვო. როგორ ექიმობა, ან რის ექიმი ხარ მეთქი, ვკითხე. — მე ვარ ექიმი ჯერ პირველად ნიჭისაო, მიპასუხა, რომ ვინც კი დიდი ნიჭის პატრონია და ეშინიან, რომ თავისი ნიჭი ერთ მშვენიერ დღეს არსაით გაეპაროსო, ისეთ წამალს მივცემო, რომ თავის დღეში არაფრის აღარ ედარდებოდესო. ჯერ არ მჯეროდა ისრის-მასრელის სიტყვები, მაგრამ ბოლოს, როდესაც გამომირკვია ყოველივე, რომ არ დავრწმუნებულვიყავ — შეუძლებელი იყო. აი როგორ სთქვა ყიზილბოელმა ნიჭის წამლობა: „ბატი, ჩემო კარგო, სულ ერთია დედალი იყოს, თუ მამალი, მხოლოდ უნიშნო თეთრი უნდა იყოს; ამ უნიშნო თეთრ ბატს უნდა მოსჭრათ კვირა-მალზე თავი, გამოიღოთ იმის თავიდგან ტვინი, მიაფიცხოთ ცეცხლზე და ცოტა რომ შეხმება, დააყაროთ ნიშადური და ლახოსტაკი; შემდეგ მეორეთ მიუფიცხოთ ცეცხლს და გაახმოთ ისე, რომ მტვერივით გახდეს; ასე შეზავებული ბატის ტვინი არის ნიჭის წამალი, მაგრამ ამას რიგიანათ მოხმარება უნდა. ვინც ნიჭიერი კაცი გეგულებოდესთ, დაიბარეთ იგი, მოჰპარსეთ კეფა, დაუსვრეთ მოპარსული ადგილი ერთ-ორგან სამართებლით. შემდეგ ნიჭის წამალი ჩაყარეთ კოტოშში და მოჰკიდეთ ზედ. კოტოში უნდა ეკრას ნი-

ჭიერ კაცს კეფაზე, მანამ ნიშადური გაუჯდებოდეს მას გვამში და ჰგრძნობდეს თავის სიმსუბუქეს. — მოვისმინე თუ არა უიზილბოულის ამბავი, მაშინათვე შემოვკარ ტაში და შემოვტრიალდი ამ სიტყვის მახილით: ოჰ, შენი ჭირიმე, ეხლა კი აღარაფერი უშავს ჩვენს სამშობლოს! სწორეთ ეხლა წამოიწევს იგი წინ, აქამომდე სულ უკან-და-უკან მიმავალი მეთქი. წარმოიდგინეთ, ჩვენი ნიჭის პატრონები, ჭკუის კოლოფები, როგორც მაგალითებრ „დროება“-„ივერიის“ ფაკტიკური რედაქტორები და მათ თანამშრომლები *) რომ დავიხსნათ იმოტელა გასსაცდელისაგან — მეტი რაღა გვინდა, კაცო, — ღმერთმა გვიცოცხლოს იმათი ნიჭიერი თავები, ჩვენი გამამხნევებლები, ჩვენი ენა-რჯულის დამცველები! რაკი განვათავისუფლებთ, ძმაო, ჩვენ იმათ და იმათ თავიანთი ნიჭი არსაით გაეპარებათ, მერმე თითონ იციან! მაგრამ ჯერ კი კოტოში თუ „დროების“ ნამდვილ რედაქტორს არ მოვჰკიდეთ, არ იქნება, — ის უფრო პირველია, ქრისტიანო, და! ბატის ტვინის შოვნა და შეზავება ნიშადურთან, მე ვიცი, არ გაუჭირდებათ „დროება“-„ივერიის“ თანამშრომლებს, რადგანაც . . . . და ჩვენი შველა საჭირო არ იქნება. თუ ვინიცობაა—კოტოშს ვერ მოჰკიდებენ, ან თავს ვერ დაუსერამენ— შეუძლიანთ დაიბარონ ერთ-ერთი „იმედის“ თანამშრომელთაგანი, თუ გინდ დ. ა. აბდუშელიშვილი, ან კიდე სტ. ჭრელაშვილი, და დიდის კმაყოფილებით, თითქმის სიხარულითაც კი, გაუწევენ ამ გვარ სამსახურს, რადგანაც ისინი ამ ხელოვნობაში ვარჯიშობენ... გახარებულმა უიზილბოულს ვა-

*) მოგეხსენებათ, ისინი, როგორც თითონ აღიარეს, საზოგადოთ დიდი ნიჭის პატრონები არიან.

ავტ.

კოცე შუბლზე და ერთი თუმნიანი წითელი ბილეთიც გადაუგდე. ამით გამხნევებულმა უიზმბოელმა ათასი რამეები ილაპარაკა, მაგრამ ბევრი არაფერი ყო ჩვენი ხალხისთვის სასარგებლო, გარდა იმისა, რომ ქათმის ტყავიდგან შეიძლება თურმე იმისთანა რამ თხელი ქაღალდი გაკეთდეს, რომ არა ნაწერი არა ჟამთა ვითარებისაგამო და არც რომელთამე სტიქიების გავლენისა გამო არ წაიშლება. საქმე შემდეგშია. ქათამი სინჯარტიდამ უნდა დაჭკლათ, ჩამოჭკიდოთ ფეხებით და, სანამ სულ დაიწრიდებოდეს სისხლისაგან, ისე უნდა ეკიდოს; მერმე უნდა ჩამოიღოთ, ჩასდოთ მიწაში და ისე შეინახოთ სამ დღემდის; შემდეგ ამოიღოთ მიწიდგან, გაატყავოთ და ტყავი ფქვილში არეულ მარილში გაასვიოთ. რამდენმე დღის შემდეგ გარეცხავთ ქათმის ტყავს, გაასწმობთ და სწერთ, რამდენიც გინდათ. მე ჩემის მხრით არ შემიძლიან, ამ ნაირი ქაღალდიც ,,დროებას“-,,ივერიის“ ნამდვილ რედაქტორებს და იმათ თანამშრომლებს არ უძღვნა, რადგანაც ისინი მეტათ საინტერესო და შესანიშნავ რამეებს სწერენ. ცოდვაც კი არის, რომ იმისთანა რამეები ისეთ უბრალო ქაღალდზე იწერონ, როგორზედაც ეხლა; ხუმრობა ხომ არ არი, რომ ჟამთა ვითარებით მოიშალოს მათი ნაწერი უბრალო ქაღალდიდგან, ხომ წახდა კაკალი კაცი და დაიღუპა მთელი საქართველო! საქართველოს ვინღა ჩივის, —არც უმისოთ გვაყრია კარგი,—ნეტავი სხვა სახელმწიფოებსაც არაფერი ევნოს და . . . .

კოტოში.

* *
*

(ვუძღვნი ამერ-იმერთა).

როს გიხილავ, გულო, ნუგეშ-ცემულსა,
უწინდელებრ ლხენად გამზადებულსა,
მოგემართოს ჩანგი ლაღადებისა,
მით ისმოდეს ჰანგი ნეტარებისა?!

—

მით უმღერდე სამშობლოს მის აწმყოსა,
მყობადისთვის სანუგეშო იმედსა —
და იმ რწმენას, რომ როსმე ეღირსება
ღრმა ძილიდგან ჩვენს ძმებსაც გაღვიძება.

—

როს იგინი ხელი-ხელთ ჩაკიდულნი,
ერთი-ერთთან მტკიცეთ შეერთებულნი,
უმეცრებას ვერიად მოიმულებდნენ
და მის ნაცვლად სწავლას შეიყვარებდნენ.

—

რომ იმ მიზნით მათ სამშობლო მამულსა,
დროთა ბრუნვით საკვდავათ მიქცეულსა,
გამოსვლოდეს მკურნალებად შვილები,
სასახელო სწავლით აღჭურვილები.

—

* * *

მაშინ, გულო, მეც იქნებ რომ მეშველოს
და ძმათ შრომას ჩემიც რამ მიეშველოს, —
გამართული ამ სიკეთით წელშია,
გავერიო მეც რითმე ჩემ ძმებშია.

—

შევავედრო უფალს მათი ერთობა,
სწავლისადმი აღჭურვა და განწყობა,
და, როს მოვკვდე გამყვეს სულისა ლხენა,
. . . . . . . .

შ. გ. მ.

# რა-გინდა-რა.

ერთ მშვენიერ ახალ-გაზდა ყმაწვილ კაცს ჰყვანდა მშვენიერივე და ახალ-გაზდა ცოლი. საუბედუროთ ახალ-გაზდა ყმაწვილისა, ახალ-გაზდა ქალს, ახალ-გაზდა ყმაწვილის გარდა, ორიც სხვა ახალ-გაზდა ყმაწვილი უყვარდა. ერთ დღეს, როდესაც ქალის ქმარი წავიდა სადღაც საქმეზე, ქალმა დაიბარა საყვარლები, მოისხა აქეთ-იქით და მიეცა უშველებელ ქეიფს. როდესაც შევიდნენ სამივენი ეზოში, ქალმა უცებ დაინახა, ფანჯრიდგან, რომ მისი ქმარი მობრუნებულა ისევ შინისკენ და არხეინათ მოღიღინებს. როგორც გამოჩნდა შემდეგ, რაღაც დავიწყებოდა ქალის ქმარს და მობრუნებულიყო წასაღებათ. რა ქნას ქალმა?! ზოგი რჯულის ქალი ჩამოჰყრიდა ყურებს და ქმარს ორივე კუროს შინ დაახვედრებდა; მაგრამ არა, ჩვენმა რჯულის ახალ-გაზდამ სხვა-ნაირათ მოახერხა საქმე. წამოვარდა მაშინვე ფეხზე, რაკი დაინახა გზიდგან დაბრუნებული ქმარი, მიჰვარდა ერთ საყვარელს, ამოაძრო ხანჯალი, მისცა ხელში და უთხრა: ჰხედავ, ჩემო საყვარელო, რომ ჩემი ქმარი მოდის!! აჰა ეს ხანჯალი დაიჭირე ხელში, მიეგებე გზაში და ჰკითხე, კაცს ხომ არ ჩაუვლიათქო? მეორე წამოიყვანა და ტახტ-ქვეშ შეაძვრინა, თვითონ, ვითომ ისტერიკამ მოუარა, დაეცა ტახტზე. გაქანა ხანჯალ-ამოღებული საყვარელი ქალის ქმრის-

კენ და ჰკითხა: კაცო, აქ ხომ არავის ჩამოურბენია? ქალის ქმარმა უპასუხა, რა ვიცი, მე არავინ დამინახავს, და შევიდა სახლში; მაგრამ, საუბედუროთ, დაინახა ცოლი ტახტზე გაშხლართული. შეეშინდა საწყალს და დაუწყო წყლის სხმა და თვალებზე ხელის სმა. ქალმა, ცოტა-ხნის შემდეგ, გამოახილა თვალები და უპასუხა ქმარს,—რომელიც ჰაი-ჰარით ჰკითხავდა, რა დაგემართაო, — „ერთი ვიღაც ხანჯალ-ამოღებული კაცი მოსდევდა კაცს; კაცი ჩემთან შემოვარდა, ის როგორც იყო გადავარჩინე, მაგრამ მე კი ჩემი დამემართაო“, და ამასთანავე შესძახა ტახტ-ქვეშ: „ეხლა შეგიძლიან წახვიდე, კაცო, ვიღაცა ხარ, შენი მკვლელი ეხლა შორს იქნება წასული». გამოვიდა მეორე საყვარელი ტახტ-ქვეშიდგან, უთხრა მადლობა ცოლ-ქმარს და გასწია ტუსტუსით.

*
* *

მოგეხსენებათ, თუ რა ნაირათ თან-და-თან გვეცვლება დრო და ცხოვრებაზედ შეხედულობა. არა თუ ჩვენ მამა-კაცთ, დედა-კაცთაც კი გაიგეს, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება კარგი რამ არის. მართალია, დედა-კაცებისათვის დამოუკიდებელი ცხოვრების სარბიელი ძალიან ვიწრო არის, მაგრამ რაც არის, ხომ არის, და თან-და-თან თვითეული დედა-კაცთაგანი სცდილობს დაადგეს ამ გზას. ის სრულებით სხვა გახლავსთ, თუ როგორის შეხედულობისა არიან ამ გზაზედ და როგორ ადგებიან მას; ამათ ისიც სამყოფათ მიაჩნიათ, რომ ოჯახობის მოვალეობიდგან გამოვიდნენ და ლუკმა პური თავიანთთვის თითონ იშოვონ; თავისუფალნი ხომ იქნებიან, ქა! როგორც ისინი ხშირად ამბობენ ხოლმე. ამ გვარი თავისუფლების მოყვარე გამოჩნდა, სხვათა-შორის, ერთი ქალი, რომელმაც უვლა თავის ტოლების ქორ-

წილებში იტლინკა და თითონ კი გათხოვებას არ აპირებდა, თუმცა არც სილამაზე, არც ქონი არ აკლდა და სიმღერაც კარგი იცოდა. ერთხელ ჰკითხეს ამ ქალს თავისმა ტოლებმა, რომლებიც უკვე დაწვრილშვილებულები იყვნენ: დაო, რას უყურებ, რატომ არა სთხოვდები, ეგრე ქალწულობაში ხომ ვერ დაალამებ სიცოცხლესაო და მიწას არ შეაჭმევ შენ სილამაზესაო? ამ გვარ მეგობრულ კითხვაზედ, ლამაზმა, მომღერალმა ქალმა უპასუხა თავის ტოლებს: რათ უნდა გავთხოვდე, გეთაყვათ, ქა, მალე ტრუპპის წევრი გავხდები და იქ ხომ იცით!..

*
* *

ერთმა მოხუცებულმა კაცმა შეირთო ახალ-გაზრდა ქალი. გავიდა რამდენიმე ხანი და შვილი არ ეყოლა. ქალი სულ აყვედრებდა ქმარს, სულ შენი ბრალიაო რომ შვილი არა გვყავსო. ერთხელ, მოთმინებიდგან გამოსულმა მოხუცმა უთხრა: გინდა ხელოსანს გამოვიწერ გრანიციდგანაო. დიდის სიხარულით მივიღებო, უპასუხა. — ადგა კაციც და განძრახ დასწერა ცოლის წინ დეპეშა; დეპეშა იყო შემდეგი შინაარსისა: „მავანსდა-მავანს ხელოსანს. ჩემს ცოლს უნდა რომ შვილი ეყოლოს, გთხოვთ მობძანდეთ. აიღო დეპეშა და დასდო სტოლზე. თითონ რისათვისაც ბიჭის დასაძახებლათ წავიდა. ამ დროს რადაც საქმე გამოუტყვრა და დეპეშის გარემოება სულ მიავიწყდა. ცოლმა აიღო და მართლა გაგზავნა ტელეგრაფის სტანციაში გასაგზავნელათ. ეს დეპეშა ჩავარდა ერთი მოძღლებული ტელეგრაფისტის ხელში. იფიქრა, გრანიციდგან ხელოსნის მოყვანას, მე უფრო ახლო არა ვარო, და დაუწყო ბერიკაცს ზვერვა. ერთ დღეს, როდესაც მოხუცი გაშორდა თავის სახლს, მოისხა ტელეგრაფისტმა პალტო და გასწია მოხუცის ცოლისკენ. მივიდა თუ არა სახლში, აცნობა რომ ხელოსანი გიახ-

ლათო. ქალმა გაიგო, თუ არა ეს ამბავი, მიიპატიჟა ხელოსა-ნი და ჟამი დროება გაატარებინა. ბოლოს მოხუციც მოვიდა. გაუკვირდა მოხუცს, რომ თავის სახლში უცხო ქალი ნახა და იკითხა, ვინ არისო? ცოლმა მიუგო: მაქვს პატივი გაგაცნოთ ეს ახალ-გაზრდა. ეს არის ის ხელოსანი რომელიც შენ გამოიწე-რე გრანიციდგან და მასთან, როგორც შევატყე, ნამდვილი ხე-ლოსანი ყოფილაო... ტელეგრაფისტმა მოუხსნა მოხუცს ქუ-დი, დაუკრა თავი და გასწია შინისაკენ. ბევრი იდარდა მოხუც-მა, მაგრამ რაღას იზამდა, დამნაშავე თითონვე იყო. ვგონებ შვილიც მალე მისცემოდა ქალს, მაგრამ მოხუცი კი ვეღარ მოესწრებოდა ამ ბედნიერებას — დარდს გადაჰყოლოდა საწყა-ლი!......

* *
*

ჩვენი სამშობლოს ზოგიერთა მთა-გორაკ ადგილს, სადაც კი ხალხი სცხოვრობს და წყალი ახლო არ მოიპოვება, წყლის საზიდავათ ჰყავთ ხოლმე იმ გვარი დაუფასებელი ამ გვარ შე-მთხვევაში ცხოველები, როგორებიც არიან სახედრები ანუ ვირები; მაგალითებრ, სიღნაღში, დირბში, ქუთაისში და სხვა-გან. გასაკვირველი ის არის, რომ მამა-კაცები, თუ არ ქუთა-ისში, ძნელათ დასდევენ ხოლმე ამ ცხოველებს უკან; უმეტეს ნაწილად დედა-ბერები და პატარძლები არიან იმათი მომვლე-ლებიც და უკან-მდევარნიც. სასიამოვნო სანახავი გახლავთ ქიზიყში საღამოთი, ან დილით წყლის ზიდვა ვირებით. და-მწკრივებულნი მიდიან აქეთ-იქით კოკა გადაკიდებული ვირები; თვითეულს, ან რამდენსამე უკან მისდევს დაკარცახებული დე-და-კაცი, უფრო ყმაწვილი, და ხან აქ, ხან იქ ისმის ხოლ-მე: აცი, აცი, შე ოხერო, შე უპატრონო. როგორც წყალზე, ისე ხშირად საშოვრათაც და დასასყიდათაც დაჰყავთ

ხოლმე ქალებს. მამა-კაცები, განსაკუთრებით ყმაწვილი ბიჭები, სცდილობენ აწყენინონ ვირების მიმდევარ ქალებს და სასაცინლოთ იგდებენ ხოლმე; მაგრამ არა ერთი მკვახე სიტყვა იმათაც მოხვდებათ ხოლმე ზოგიერთა მასხარა დედა-კაცისაგან. ქიზიყში ერთ მოხუც დედა-კაცს მინდვრათ ვირები მიუდიოდა; შემოეყარნენ მას ჯიელები, მოინდომეს მისი სასაცინლოთ აგდება და ჰკითხეს: სად მიგიდის ეგ ვირები, ვირების დედაო? გასასყიდლათ შვილებოვო, მიუგო დედა-ბერმა...

გ. ქ—შვილი.

---

# საქართველოს მოკლე მატიანე.

(გაგრძელება).

## მეფობა ვახტანგ გორგასლანისა, მირდათ მე-V შვილისა.

ყმაწვილობა ვახტანგისა და მის აღზრდა.—მდგომარეობა საქართველოსი ვახტანგის გავაჟკაცობამდე.—მტრების შემოსევა.—ბერძნები იპყრობენ აფხაზეთს.—ომი ვახტანგისა ოსებთან, ჩერქეზებთან.—ვახტანგი ცოლად ირთავს სპარსეთის მეფის ასულს.

დაბადებისა-თანავე ვახტანგი აღსაზრდელად მისცეს ქართლის ერისთავს და საქართველოს ჯარის წინამძღოლს, საურმაგს. ამის სიკვდილის შემდეგ ზრდიდნენ ვახტანგს ჯარის ახალი წინამძღოლი ჯუანშერი და არქი-ეპისკოპოსი მიხეილი. ამათგან ვახტანგი, გარდა ფიზიკური განვითარებისა, სწავლობდა ღვთის მეტყველებას და სხვა საგნებს; ამათვე ღრმათ ჩაუნერგეს გულში დაობლებულს მომავალს მეფეს ღრმა სიყვარული ქართველთა ერისადმი.

ვახტანგ იზრდებოდა და სამეფოს ჰმართავდა მისი დედა — სუნდუხტა—ცხრა წელს (446 წლიდგან 454 წლამდე). ამ დროს განმავლობაში დიდი უბედურებანი ეწვია საქართველოს: ჯერ ერთი რომ სპარსეთის მეფემ იეზდიგერდმა, რომელმაც სრულიად დაამხო და დაასუსტა სომხეთის სამეფო,

მოინდომა ამ გვარადვე საქართველოს გაუბედურება. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართველები ქრისტიანობას თავს არ ანებებდნენ. საქართველოს დარბევა მინდობილი ჰქონდა ადირბეჟანის მმართველს, ბარზაბოდს. მაგრამ სუნდუსტამ, — ბარზაბოდის ქალმა, — შეაბრალა მამას თავი თვისი და საქართველო და, თუმცა მან არ აღასრულა თავის მეფის სურვილი, მაგრამ მაინც საქართველოში გამოგზავნა ზოროასტრის რჯულის მღვდლები — მოგვნი, რომელნიც მოწიწებით შეუდგნენ ამ რჯულის გავრცელებას ქართველებში. მერეთ 449 წელში შემოესივნენ ოსები საქართველოს, აიოხრეს ქართლი და დიდ-ძალი ხალხი ტყვე ჰყვეს, სხვათა შორის ვახტანგის დაც. მერე შეესივნენ ალბანიას (გაღმა მხარეს), გააოხრეს ქვეყანა და დაღისტანში გადავიდნენ. აქედგან დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. 452 წელს ბერძნებმა დაიპყრეს აფხაზეთი და ერთი ნაწილი სამეგრელოსი.

ამასობაში ვახტანგი შეიქნა 15 წლისა და 454 წელში გამეფდა. ეს იყო ჯან-მრთელი, მაღალი და ლამაზი ყმაწვილი კაცი. ვახტანგმა პირველსავე დღეს თავის სატახტო სიტყვაში გამოაცხადა, რომ უეჭველად სამაგიეროს გადუხდის ოსებს, და მეგობრული განწყობილობა ექნება საბერძნეთთან და სპარსეთთან. 455 წელში სრულიად დამზადებული იყო ვახტანგი საომრად. მის ჯარში იყვნენ მოწვეულნი ქართველების გარდა ყველა ის ხალხები რომელნიც დაჩაგრულნი იყვნენ ოსების შემოსევისაგან; მდინარე არაგვის პირზედ, მუხნარის მინდორში, ახალ-გაზრდა ვახტანგმა მოიარა თავისი ჯარები და მალიან გაუხარდა რომ მეომარნი მიეგებნენ აღტაცებით და კარგის მოწყობილობით. მეორე დღეს იმარხულეს ჯარებმა და ილოცეს, მერე ვახტანგმა სამეფო მმართველად დასვა თავისი დედა, და

თითონ გაემგზავრა დარიალის ყელიდგან ოსეთისაკენ. ეს ყელი გაამაგრებინათ ოსებს. ომი დაიწყო თავის-თავ (ПОЕДИНОКЪ) ბრძოლით. თვით მეფე ვახტანგმა გამოიწვია გამოჩენილნი მებრძოლნი: თარხანი ქაზარეველი და ოს-ბაყათარი და ესენი დასძლია: მერე ჯარს უბრძანა შესეოდნენ მტრებს. შეშინებულნი ოსები გაიქცნენ, ქართველები გამოედევნენ და აიოხრეს მათი ქვეყანა. ვახტანგმა დაამარცხა ქაზარეველნი, პეჩენეგები, გარდა ამისა ოსებისა, ჩერქეზებისა, გაანთავისუფლა თავისი და და ყველანი ტყვედ წაყვანილნი ქართლიდგან; წაართვა მრავალი ცხენი და სხვა საქონელი და აბხაზეთიდგან საქართველოში დაბრუნდა.

დაბრუნდა თუ არა, მაშინვე გაუგზავნა სპარსეთის მეფეს, ორმიზდს, იეზდიგერდის შვილს, დიდ-ძალი საჩუქრები და სთხოვა ცოლად ქალი. ორმიზდს ეამა გულ-კეთილობა და გმირული მოქმედება ვახტანგისა და შეუსრულა მას სურვილი.

## II

მდგომარეობა საქართველოს დასავლეთის ნაწილებისა. — ვინმე გუბაზე. — ვახტანგის ომები ბერძნებთან. — ზავი ბერძნებთან. — სპარსეთის ჯარების დახოცვა. — სპარსეთის მეფე უწყრება ვახტანგს. — მოგვების განდევნა საქართველოდგან. — სპარსელების შემოსევა. — ბერძნების მოშველება. — ზავი ქართველთა სპარსეთთან და საბერძნეთთან,

მეოთხე საუკუნის დამლევს ჩვენ ვიცით, რომ კლარჯეთის, ოძრხის და წუნდის საერისთოები დამორჩილებული იყვნენ ბერძნებისაგან. 452 წ. ვიღაც გუბაზმა მოინდომა გამოეყო, რისგამო შეაერთა ეს ხალხები და ლაზიკის სამეფო დაამყარა.

ბოლოს ისე გამძლავრდა, რომ მოინდომა სვანეთში შესევა. ამასობაში ბერძნებმაც მოინდომეს სპარსეთის დასავლეთი მიჯნების დაჭერა.

სპარსეთის მეფემ, ორმუზდმა გამოუგზავნა ვახტანგს თავისი ჯარები და სთხოვა ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლა დაეწყო. ვახტანგსაც ეს უნდოდა. მეფეს მოეშველნენ სომხებიც. ვახტანგი ჯარით მიადგა ციხე კარახპოლს, მაგრამ ვერ აიღო. შემოაკვდა ერთი ნაწილი ჯარი და მეორეთი გაემგზავრა პონტში (ლაზისტანში). გუბაზე შეშინებული 466 წ. გაიქცა კონსტანტინოპოლში მეფე ლეონ დიდთან. ვახტანგმა აიღო არზიასმორი, ქალქეცი, სტერი და დაატყვევა კაი ძალი ხალხი, სხვათა-შორის მღვდლებიც, რომელთაც მოეპყრო პატივით და გულ-კეთილად; ბევრნი ამათგან გაანთავისუფლა. ციხეში დამწყვდეულ ხალხს ძალიან მოეწონა ვახტანგის კეთილ-გულობა და მოინდომა მასთან ზავი. ციხის მცხოვრებლებმა ვახტანგს საჩუქრათ მიართვეს 1,000 ლიტრა ოქრო და 500 ნაჭერი ძვირ-ფასი ფარჩეული.

იმპერატორმა ლეონმა აგრეთვე მოინდომა შეზავება ვახტანგთან მხოლოდ იმ პირობით, რომ სპარსელი ჯარი გაეწყვიტა. მეფე დათანხმდა. გააცალკევა ქართველთა ჯარები სპარსელების ჯარებისაგან და ბერძნები დაეცნენ სპარსელებს. ესენი დამარცხდნენ, მაგრამ ვახტანგი თავის-თავის გასამართლებლათ სპარსეთის მეფის წინაშე, დაეცა დაღალულ ბერძნების ჯარს და სრულიად დაამარცხა ისინი და განდევნა შავ-ზღვის ნაპირებისკენ. ლეონი, რომელიც ის იყო პონტში მოსულიყო, ძალიან გაჯავრდა ამ გვარ ვახტანგის ყოფა-ქცევით, მაგრამ ვახტანგმა ამ ბრძოლის მიზეზი გადააბრალა ბერძნების ჯარების წინამძღოლს — პოლიკარტოსს. შეიკრა ზავი ლეონს და

ვახტანგს შუა. ამ ზავით ვახტანგს დაუბრუნდა ყველა დასავლეთის ნაწილები საქართველოისა, გუბაზე განდევნილ იქნა კონსტანტინოპოლში და ვახტანგი დაინიშნა ლეონის ასულზე, რომელსაც მზითვათ უნდა მისცემოდა აფხაზეთი.

ზავის შემდეგ ვახტანგმა მოიარა თავისი ახლად შეერთებული ქვეყნები, ააშენა მათში მონასტრები, და ჩამოაგდო მათში წესიერებანი და სრულიად გამარჯვებული დაბრუნდა თავის სატახტო ქალაქში.

ვახტანგი ამის შემდეგ ძალიან ცუდად ეპყრობოდა საქართველოში მყოფ სპარსელებს და მოგვებს. სპარსეთის მეფეს არ ეჭაშნიკა მეფის ამ გვარი ქცევა სპარსეთის ჯარების გაწვევის შესახებ, და უფრო მეტად ზავი და დამეგობრება საბერძნეთთან. ახლად გამეფებული სპარსეთის მეფე—ფიროზი (ძმა ორმუზდისა) დიდ-ძალი ჯარით დაეცა სომხეთს და ალბანიას; გააოხრა ეს ქვეყნები და შემოესია საქართველოს.

ვახტანგმა სთხოვა მოშველება ლევანს, რომელმაც გამოუგზავნა 80,000 კაცი. საქართველოში სპარსელების ჯარებს დაუხვდენ მაგარი ციხეები და სრულიად წინ ვერ იწეოდნენ: ფიროზმა გაიგო თუ არა, რომ ბერძნების ჯარები მოვიდნენო, მაშინვე შერიგება სთხოვა ვახტანგს იმ პირობით, რომ მოგვებისთვის ნება მიეცა საქართველოში ცეცხლ-თაყვანის-მცემლობა გაევრცელებინათ. ვახტანგმა არ მიიღო ეს პირობა; მაშინ ფიროზმა გამოუგზავნა ვახტანგს ძვირფასი საჩუქრები, ძვირფასი სამეფო გვირგვინი და მოიწვევდა შეზავებაზედ მოსალაპარაკებლათ. ვახტანგმა მიიღო ეს საჩუქრები და თავის მხრით გაუგზავნა მას 500 მონა და 1000 მხევალი, 500 ძვირფასი ფარჩა და მერე მიეგება ფიროზს.

ამ ზავის ძალით საქართველო სრულიად თავისუფალი და

სპარსეთიდგან დამოუკიდებელ სამეფოთ შეიქნა და ეს ზავი დაგვირგვინდა მით, რომ ფეირუზმა ვახტანგმა მოითხოვა თავისი და ვახტანგისავე შუამავლობით, საბერძნეთმა და სპარსეთმა მეგობრული ზავი შეჰკრეს ურთიერთ-შორის.

ამ ნაირი გავლენა ჰქონდა საქართველოს ერს ვახტანგ მეფის დროს მაშინდელ უძლიერესს ხალხების ცხოვრების მიმდინარეობაზე.

## III

საქართველოს მდგომარეობა.—ვახტანგის იერუსალიმში გამგზავრება.—ომი ინდოსტანში.—სასულიერო საქმენი.—მოსვლა საქართველოში 13-თა სირიელ მამათა.—ვახტანგი ირთავს ლეონის ასულს, აშენებს ქალაქ თბილისს.—სპარსელების შემოსევა.—სიკვდილი ვახტანგისა.

შემოვარგლულ და განთავისუფლებულ საქართველო ვახტანგმა გაჰყო ათ საერისთოთ, ერისთავებათ დასვა გამოჩენილი თავისი სარდლები მერე გამოეთხოვა თავის პაწაწინა შვილს, დაჩის, და 10,000 მეომრის ჯვარით გაემგზავრა სალოცავად იერუსალიმში. იქიდგან წავიდა სპარსეთში და სპარსეთის მეფემ გაიყოლია ინდოსტანში სხვა-და-სხვა ხალხების დასაპყრობლად. აქიდგან სხვა განძეულთა შორის დაბრუნებისას მოიტანეს ქართველებმა აბრეშუმის ჭიის თესლი.

როცა დაბრუნდა ვახტანგი საქართველოში იპოვნა ეკლესია სრულიად განთავისუფლებული გარეშე პატრიარქის დამოკიდებულებიდგან. დააწესა საკუთარი პატრიარქი, რომელსაც შეადგენდნენ თორმეტი საეპისკოპოზო ერთის პატრიარქის და-

მოციქულების ქვეშ. აგრეთვე საბერძნეთიდგან გამოიწვია სამღვდელო პირნი, რომელთაც მოუყვანეს ცოლად ლეონის ასული.

ამავე დროს ასურეთიდგან მოვიდნენ ცამეტი მამანი (ბერნი), რომელთაც ააშენეს მონასტრები *) ამ მონასტრებში ეს წმინდანნი ასწავლიდნენ ხალხსა და ღრმათ უნერგავდნენ ქრისტეს რჯულს, ასე რომ ცეცხლ-თაყვანის-მცემლობას თითქმის სრულიად შემოეკვეცა ფრთები.

მეფე ვახტანგ გორგასლს ეკუთვნის თბილისის აშენების დაწყება. გადმოცემა გვეუბნება, რომ ის ადგილი, სადაც ეხლა თბილისია მოშენებული, წინეთ იყო მოცული დიდის უტესარის ტყით. ამ ტყეში ერთხელ მონადირა ვახტანგმა. ნაფრინეს ხოხობი, რომელსაც მეფემ გამოადევნა თავისი ქორი და მერე თვითონაც ცხენებით ჭენებით დაედევნენ მათ, მივიდნენ და ნახეს, რომ ქორი და ხოხობი ჩაცვივნულან წყალში და მოხარშულან. მეფეს ძალიან მოეწონა ეს წყალი და მისი მიდამო. მალე დაიწყო აქ ქალაქის შენება, რომელსაც ამ თბილი წყლების გამო დაარქვა თბილისი.

---

საქართველო რომ ამ გვარად გაძლიერდა, საბერძნეთში ლეონის სიკვდილის შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა და გამეფდა ანასტასი, მტერი ქრისტიანობისა.

*) იოანე, აბიბარი, ანტონი, დავითი, ზენონი, ისიდორე, იასე, იოსები, მიხეილი, პიროსი, სტეფანე, შიო და ფადეი. პირველმა ააშენა ზედაზენის მონასტერი, მეორემ ნეკრესის, ანტონმა მარტყოფის, დავითმა გარეჯის, ზენონმა იყალთოს, ისიდორემ სამთავისის, იასემ წილკნის, მიხეილმა ულუმბის, პიროსმა ბრეთის, იოსებმა ალავერდის, შიომ მღვიმის, სტეფანემ ხირსის და სხვ.

მ. ჯ.

სპარსეთში გამეფდა ფიროზის შვილი — ყობადი, კაცი ცბიერი და მეომარი, რომელმაც მოინდომა სპარსეთის სამეფოს გაძლიერება და გაგანიერება. ყობადს უნდოდა, რომ ვახტანგს შემწეობა მიეცა მისთვის წინააღმდეგ საბერძნეთისა. ყობადმა გამოუგზავნა მეფეს მოციქულები. ვახტანგმა არაფერი შემწეობა არ მისცა, თუმცა კარგათ იცოდა, ამდენი კადნიერება იაფათ არ დაუჯდებოდა.

ყველანი მოელოდნენ ყობადის შემოსევას, ამიტომ გაიხიზნენ მთებში; მეფემ კი გაამაგრა მცხეთა და აქ ჯარების უფროსებათ დასვა ერისთავები: დიმიტრი, ნერსე და ბივრიტიანი, თვითონ კი გამაგრდა უჯარმაში.

მართლაც, ყობადი შემოვიდა საქართველოში, მოაოხრა ქიზიყი, აიღო ჭერმის და ველის ციხეები, მერე მოადგა ვახტანგს. სამ დღეს გაგრძელდა ბრძოლა. ორივ მხრივ მრავალი დაიხოცა. მეოთხე დღეს დილას შესია ვახტანგი მტერს, ბევრი დახოცეს. ვახტანგი მტრის შიგ შუა გულში გაქანა: მოჰკლა შვილი ყობადისა და თითონაც ღრმათ დაიჭრა. შუა-დღემდის ბრძოლა გაგრძელდა. ბოლოს მტრები გაიქცნენ — ქართველებს კი დიდ-ძალი ალაფი დარჩათ.

მაგრამ რამწამ სპარსელებმა გაიგეს ვახტანგის ჭრილობა, გამხნევდნენ და ხელ-მეორეთ შეეტაკნენ ქართველებს. აქედგან სპარსელები გადავიდნენ მტკვარზე, დაანგრიეს თბილისი, არმაზის ციხე და დაიპყრეს ქართლი, მცხეთა კი ვერ აიღეს.

სამწუხაროდ, ჭრილობამ ბოლო მოუღო მძლავრს მეფეს. ამან თავის მოადგილეთ დანიშნა თავისი შვილი დაჩი, ორი უმცროსი შვილები დასვა ტაშის-კარის, წუნდის და აფხაზეთის ერისთავებათ და მალე გარდაიცვალა — 499 წელში. ეს მე-

ფე, „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით, ჰმარხია მცხეთის ეკლესიაში.

სიკვდილის წინ ვახტანგმა დაარიგა ქართველები და სთხოვა, რომ ყოფილიყვნენ უშიშარნი, გულადნი და ქრისტიანობის მოყვარენი და მეზავენი საბერძნეთთან.

## 500 წლიდგან 583 წლამდე.

### I.

ომები სპარსელებისა ბერძნებთან.—სპარსელები საქართველოში.—ამის მდგომარეობა.—თბილისის სატახტო ქალაქად გახდომა.—ქსნის და არაგვის ერისთავები.—ლაზიკა.—აღდგენა ლაზიკის სამეფოისა.—ამის-გამო ომი.—ბერძნები ავიწროებენ ლაზიკის და კოლხიდის მცხოვრებთ.

ქართლიდგან სპარსელების ჯარი გაემგზავრა ყარნუ-ქალაქისკენ, რომელსაც უახლოვდებოდნენ ბერძნების ჯარები. ორივე განმძვინებული ჯარები შეხვდა ერთმანეთს ყარნიფორის ველზე. მოხდა საშინელი ბრძოლა. ორივ მხრივ დაიხოცა დიდძალი მეომარი, რის-გამო სპარსელებმა და ბერძნებმაც შეაჩერეს ბრძოლა. მაგრამ მაინც შემდეგში ბერძნები სრულიად დამარცხებულნი დარჩენ. ყობადმა 80,000 ჯარის კაცი გაუწყვიტა, აიღო მრავალი ქალაქები და მაშინ შეურიგდა, როცა მიიღო ანასტასიასაგან ურიცხვი საჩუქარი.

ამ ნაირად ყობადმა დაიპყრო საბერძნეთის აღმოსავლეთი ნაწილი, სომხეთი, და თითქმის მთელი საქართველო. ამან

გაამაგრა დარიელის ყელი და დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოზე. ამ დროებში მეფე დაჩიმ სატახტო ქალაქად გახადა თბილისი, რომელსაც შემოავლო გალავანი; მცხეთა კი დარჩა მხოლოდ ადგილ სამყოფელად საქართველოს კათალიკოზისა.

დაჩიმ იმეფა 499—514 წლამდე, ბაკურმა II 514 წ. 528 წ., ფარსმან VI 528—542 წ., ფარსმან VII 542—570 წ., ბაკურმა III 570—583 წლამდე. ყველა ეს მეფენი თავის მეფობაში სცდილობდნენ წმინდათ შეენახათ ქრისტეს სარწმუნოება, რის-გამო აშენებდნენ და ახლებდნენ ეკლესიებს.

ამავე დროს ეკუთვნის არაგვის და ქსნის ერისთავების ჩამომავლობის შესახებ პირველი ცნობანი. ზეპირ გარდმოცემა გვეუბნება, რომ ქსნის ხევლებს და არაგვის ხევლებს შუა ყოველთვის წმ. გიორგის დღესასწაულს ხდებოდა ჩხუბი და თავების მტვრევა. ამის მიზეზი იყო თვით ეს ეკლესია, რომელიც მდებარეობდა ამ ორივე ხევების შუა მიჯნაზე. არაგველებსაც უნდოდათ დაესაკუთრათ და ქსნელებსაც. ერთხელ გიორგის დღეობაზე—სხვათა-შორის—მივიდნენ ძმები ოსები—დუდარუკოვები, რომელთაც მოარიგეს და დააშვიდებს ორივე ხევლები. ამ ხევლებმა პატივის-ცემისათვის მოიწვიეს ეს ძმები და დასვეს თავის ერისთავებათ: ერთი არაგვის ხეობაში, მეორე ქსნისაში. თვით მეფემაც დაამტკიცა ესენი ერისთავებათ.

---

ამ დროს, ე. ი. მეექვსე საუკუნეში ლაზიკა დაერქვა არა მარტო იმ ქვეყანას, რომელშიაც თვით ლაზები სცხოვრობდნენ, არამედ გურიას და სამეგრელოსაც. ამის მიზეზი ის იყო, რომ ვახტანგ გორგასლანის სიკვდილის შემდეგ ბერძნებმა ისარგებლეს დაჩის სისუსტით და ხელახლათ აღადგინეს ლაზიკის სამეფო, რომელიც დაიპყრეს გუბაზის ნათესავებმა. პირ-

ვქლათ დამნაშემ და მერე ცატემ. ცატეს პირველათ მეგობრული განწყობილობა ჰქონდა სპარსელებთან, რომელნიც იმ დროს ჰფლობელობდნენ საქართველოს, მერე იმის შიშის გამო, რომ მოგვებს ქნებათ ცუდი გავლენა სალხზე,—წავიდა კონსტანტინოპოლში, შეირთო იქ ბერძნის ქალი და იქმნა იმპერატორისაგან ლაზიკის მეფეთ აღიარებული. იმპერატორი დიდ მეწევნას დაჰპირდა ცატეს, რომელიც ლაზიკაში დაბრუნდა, როგორც მეფე. დაბრუნდა თუ არა ცატე, მაშინვე ლაზებმა განდევნეს სპარსელები და იმათ დამოკიდებულებიდგან გამოვიდნენ.

ის იყო მიზეზი, რომ 523 წელში დიდი სპარსეთის ჯარი მიადგა ლაზისტანს. მოხდა ომი. ლაზების მხარე დაიჭირეს ბერძნებმა. ამ ომებს ცუდი შედეგი ჰქონდათ საქართველოსთვის. აბეზარს მოსული ბევრი ქართველ თავადთაგანი სიმშვიდის მოსაპოვებლათ წავიდა საბერძნეთში, და ზოგიერთი იმათგან სამუდამოთ დარჩა იქვე. ეს ომი გაგრძელდა 40 წელს. ამ გაჭირების და არეულობის დროს მოკვდა ცატე (528 წ.) და მის მოადგილეთ გახდა შვილი მისი გუბაზე II. ბოლოს, 533 წელში ზავი ჩამოვარდა ბერძნებ. და სპარსელებ შუა. ამ ზავის ძალით სპარსელებმა დასტოვეს ლაზისტანი და ბერძნები კიდევ დარჩნენ მის მფლობელად.

ბერძნებმა მაგარს და მიუდგომელ ადგილას—შავი ზღვის პირათ ააშენეს ციხე—პეტრა (ქვა), რომელიც უძლეველ გახდა მტრებისაგან. აქაური ვაჭრობა და აღებ-მიცემა მთლათ გადავიდა ბერძნების ხელში. თვით აუცილებელ და ცხოვრებისათვის უუსაჭიროეს საგნებზე დადეს დიდი ბაჟი, მაგ. პურს, მარილს და ამ ნაირად შეაბეზრეს და შეავიწროვეს ლაზები; გარდა ამისა, თვით ბერძნების მმართველნი ცუდათ ეპყრო-

ბოდნენ ხალხს. ამათზე უკმაყოფილების გამოსაცხადებლათ დესპანები გაგზავნეს კონსტანტინოპოლში, სადაც არა თუ გაუგონეს და ყურადღება მიაქციეს მათ თხოვნას, არამედ თვით ეს დესპანები დაამწყვდიეს. ამ გვარ მოქმედებამ სრულიად აღელვა ლაზები, რის გამო ამათ სთხოვეს სპარსეთის მეფეს შველა და თავის მფარველობის ქვეშ მიღება. სპარსეთის მეფემ ხოსრომ აღუსრულა მათ წადილი.

## II

ქასრე ანუ ქოსრო ანუ ნუშირვანი. — აღმოსავლეთი კავკასია. — ქასრეს განზრახვა კავკასიის დაპყრობის შესახებ. — სპარსეთის ჯარი შემოდის საქართველოში. — პეტრა ემორჩილება. — ზავი ბერძნებთან. — გუბაძეს გაქცევა, — ომები სამეგრელოში, წებელდაში და იმერეთში. — გუბაძეს ჰკლავენ. — შერიგება იუსტინიანესი და ნუშირვანისა.

ქასრე იყო ყობადის შვილი. სპარსეთის ტახტზე ავიდა 531 წელში; ამან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ალბანიას, დერბენტის სიმაგრეებს და დაღისტანს. ერთი საუკუნე გავიდა მის შემდეგ, რაც დაიმხო ალბანიის სამეფო და ხალხი ამ სამეფოისა განიბნა; ამ ქვეყანას ხშირად შამოესეოდა ხოლმე ჩრდილოეთის ველური ხალხი: ქაზარეველნი, გუნნები და სხ. იმ დროს, როდესაც ყობადი ომობდა საბერძნეთის იმპერიასთან, ნუშირვანი მოქმედობდა ამ მთებში. ნუშირვანმა დაიმორჩილა თურქმენები, გაამაგრა დერბენთი და მამის თანხმობით დააწერა სამი საყაენო: თაბასარანის, დერბენტის და შირვანისა. შირვანის საყაენოს ნაწილს შეადგენდნენ, ალბანიის გარდა,

განჯის და ყარაბაღის მიწებიც, და უწინდელი არანის ნაწილებიც. ქასრემ გაამრავლა მცხოვრებნი დერბენთში და ააგო დიდი ციხე, რომელიც ერთის მხრით სწვდებოდა კასპიის ზღვას, მეორეს მხრით კავკასიის მთებს, და ამ ციხის სიგრძეზე დააყენა მცველები. შირვანის საყარაულოში აგრეთვე ააგო ციხე—შირვანი.

ქასრე საზოგადოთ დიდ მნიშვნელობას აძლევდა კავკასიის დაპყრობას. ეს იყო ის მიზეზი, რომ ქასრემ ასრე ადვილათ დაუჯერა ლაზებს და მიიღო მათი თხოვნა. ქასრემ იფიქრა, რომ, ლაზების დამორჩილების შემდეგ, ადვილად დაიპყრობს რიონის ხეობას და შავი ზღვის ნაპირებს, და ამის შემდეგ ძნელი არ იქნება თვით საბერძნეთთან ომიც და კონსტანტინოპოლის აღებაც. ამის გამო ქასრემ დაარღვია ზავი ბერძნებთან და 541 წელში გაემგზავრა ლაზების ქვეყანაში.

ლაზების დესპანები იყვნენ გზის მჩვენებელნი და ბელადნი სპარსელების ჯარისათვის. სპარსელები რო შავიდნენ ლაზიკაში, წინ დახვდათ უტესარი ტყეები: გზები თითქმის არსად იყო. ამიტომ სჩეხავდნენ ტყეებს და ისე მიდიოდნენ. სპარსელები მოვიდნენ თუ არა, გუბაზე მივიდა ნუშირვანთან, სრულიად დაემორჩილა მას და თაყვანი სცა. მაგრამ ქასრე არ გაჩერდა. გაგზავნა ჯარი ანიაბადის წინამძღომლობით ციხის პეტრას ასაღებათ. ამ ციხეში გამაგრებულიყვნენ ბერძნები. ანიაბადი სრულიად დაამარცხეს, მაგრამ მერე ნუშირევანმა მიუსია ბლომად ჯარი და უბრძანა, რომ ისრები ესროლათ ქალაქისათვის და კედლები დაენგრიათ. მართლაც მალე ისარი მოარტყეს თვით პეტრას გამგეს — იოანე ციბუსს და კედელი გატეხეს. შეშინებული ბერძნის ჯარები დამორჩილდნენ სპარსელებს. ქასრემ იშოვა ციხეში დიდ-ძალი განძეული. თავის ჯარები დააყენა პეტრაში და საჩქაროთ წავიდა სპარსეთში, რომელსაც

დაეცნენ დასავლეთის მხრით ბერძნების ჯარები. ბერძნების აქ და სპარსელების ლაზიკაში გამარჯვებამ ჩამოაგდო მათ შუა ზავი 545 წელში 4 წლის ვადით.

ლაზიკაში ქასრეს ბრძანებით ბეჯითათ ავრცელებდნენ მოგვების ცეცხლ-თაყვანის-მცემლობას. მაგრამ ხალხი ძალიან ცივად ეპყრობოდა მოგვების სწავლას და ქრისტიანობას უფრო მოწიწებით ითვისებდა. არ მოეწონა ეს ქასრეს, რომელმაც გადასწყვიტა, რომ მოეკლა გუბაზე და ხალხი გადაესახლებინა სხვა-და-სხვა ადგილებში თავის ვრცელ სამეფოისა და უნდოდა შავი ზღვის პირებზე აეშენებინა თავის ახალშენები. გუბაზემ მალე გაიგო განზრახვა. სინანულით შეეხვეწა იუსტინიანეს, რომ ეპატიებინა დანაშაულობანი და მოშველებოდა. იმპერატორმა გაუგზავნა მას ფულები, რომ დაექირავებინა საომრათ ალანები, და დაგისტესიუსის წინამძღოლობით გაუგზავნა 7,000 ბერძენი და 1,000 ზანგის ხალხი.

549 წ ბერძნები შემოერტყნენ ციხე პეტრას, რომელიც ძალიან გაემაგრათ სპარსელებს. ორი წლის ბრძოლის შემდეგ, პეტრა აღებულ იქმნა 551 წელში. სპარსელების ჯარები ორ რაზმათ გაიყო. ერთმა, ნებედის წინამძღოლობით დაიპყრო აბხაზეთი და წებელდა. მაგრამ ეს ჯარები ცოტ-ცოტათი სრულიად გაწყვიტა ხალხმა. მეორე რაზმი მერმეროის წინამძღოლობით რიონზე გადავიდა და არქეოპოლისკენ წავიდა. აქ ბერძნებსაც ჰყვანდათ დაყენებული თავის ჯარები.

ლაზებმა დაანგრიეს მორაპნის, ვარციხის, და სკანდის სიმაგრეები, რომ სპარსელები ვერ გამაგრებულიყვნენ მათში. მერმეროიმა სკანდა მაშინვე აიღო, გაამაგრა კიდევ და შიგ ჯარები დააყენა.

მერე დააპირა დაცემა ბერძნების ბანაკისათვის, მაგრამ ის

სრულიად დატოვებული დახვდა, აქედგან დაბრუნდა არქეოპოლისში და მერე მოვიდა ქუთაისში ზამთრის გასატარებლად. ამან ხელ-ახლად გაამაგრა ქუთაისი და შორაპანი, და 554 წლამდე თითქმის მთელი იმერეთი დაიპყრო. გუბაძე იმალებოდა მთებში და არ ეკარებოდა სპარსელებს; 554 წ. ავადმყოფი მერმერე მოიყვანეს მცხეთაში, სადაც ის მოკვდა. ქასრემ ამის მოადგილედ დანიშნა ნიხორაგანი. ამის წინამძღოლობის დროს ყოველთვის მარცხდებოდნენ სპარსელები, ბოლოს ბერძნებმა ერთ შეტაკებაში წაართვეს 10,000 კაცი და თითონაც ძლივ-ძლივობით გაიქცა.

ამდენმა უბედურებამ და მის ჯარების უნაყოფო შრომამ და სისხლის ღვრამ, ქასრე დაარწმუნა, რომ ვერას გაარიგებს, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი ხალხი საშინლად ეწინააღმდეგება სპარსელებს. ამის გამო თავის მოქმედებას ამ ქვეყნებში მოუკლო წამალი. ამით ისარგებლეს ბერძნებმა, რომელთაც მოინდომეს სრულიად დაეპყრათ ლაზიკა. აღსასრულებლად თავის განზრახვისა ბერძნებმა მოჰკლეს გუბაძე, რომ სპარსელებთან შერიგების შემდეგ შემცილებელი არა ჰყავდეთ. მართლაც 561 წელს იუსტინიანე და ქასრე შერიგდნენ. ამ შერიგების ძალით საქართველოს მიენიჭა თავისუფლება როგორც ვაჭრობის მხრით, ისე სჯულისა. გარდა ამისა ლაზიკა სრულიად განთავისუფლდა სპარსელების გავლენის ქვეშიდგან და გადავიდა ბერძნების ხელში. სპარსეთის მეფეს დარჩა მხოლოდ დარიალის დარაჯობა და ყველა ამ ადგილების დათმობისათვის იუსტინიანესაგან მიიღო წლიური შემოსავალი მთელის იმერიისა ოც-და-ათი-ათასი ოქროს ზოდი (გუნდა, ნაჭერი).

## III

იუსტინიანეს გავლენა საქართველოზე.—მისი პოლიტიკა. — ინიშნება საქართველოს ქათალიკოსი.—ბიჭვინტის ტაძარი. — 577 წელი.—იუსტინე II.—583 წელში ბაკური მოკვდა. — ორმუზდი ქასრეს მოადგილე.—ორმუზდის პოლიტიკა საქართველოსადმი.—უმეფობა.—იმპერატორს მავრიკეს ქართველები სთხოვენ, მეფედ დაუნიშნოს ერთი ვინმე ვახტანგ-გორგასლანისგან ჩამომავალთაგანი.

საქართველოს, დიდი ხანი იყო სწყუროდა სჯულის და ვაჭრობის თავისუფლება. ეს თავისუფლება მიენიჭა იუსტინიანეს და ქასრეს ზავის ძალით. იუსტინიანეს ამ წყალობისათვის დიდ პატივსა სცემდნენ ქართველები. მაგრამ ამით არ გათავდა მისი ქართველთადმი მოღვაწეობა: მან მისცა ნება ქართველებს, რომ ქათალიკოზი ამის შემდეგ ამოერჩიათ ქართველთაგან და არა ბერძენთაგან, როგორც აქამდე იყო. თავის გავლენის დასამტკიცებლათ იუსტინიანე უყვავებდა გავლენიან პირებს. ქსნის და არაგვის ერისთავებმა მიიღეს საპატიო ტანისამოსი და ღერბები. სხვათა-შორის მან დაიპყრო აფხაზეთი და ააგო ბიჭვინტის დიდი ტაძარი, რომელიც აქნამდი არსებობს, აგრეთვე ჩერქეზეთში ქრისტიანობა გაავრცელა.

577 წელში საქართველო კიდევ ვარდება სპარსეთის ხელში. იუსტინიანეს სიკვდილის შემდეგ გამეფდა უნიჭო იუსტინე II, რომელმაც ჩვენი ქვეყანა დაუთმო ქასრეს, და 588 წელში მოკვდა ბაკური და დასტოვა ორი მცირე-წლოვანი შვილები. ბურთი და მოედანი დარჩა ქასრეს მოადგილეს, ორმუზდს, რომელმაც საქართველოში გამოგზავნა შვილი თვისი ამბარვე-

ზი; ამას მამის ბრძანების ძალით უნდა დაეცვა უმეფობა საქართველოში და ცდილიყო უთანხმოება ჩამოეგდო საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილებ შუა. ამის გულისათვის ამბარკეზმა დაამტკიცა ერისთავების უფლებანი და უბრძანა, რომ არავის დამორჩილებოდნენ, გარდა სპარსეთის მეფისა, რომლისთვის უნდა ეძლიათ ხარკი.

უმეფობა საქართველოში გაგრძელდა იმ დრომდე, მინემ სპარსეთს არ შეესივნენ თურქმენების ხალხები და ბერძნები. მაშინ ამბარკეზმა დასტოვა საქართველო და წავიდა მამის საშველად. ამით ისარგებლეს ქართველებმა და 586 წელს სთხოვეს იმპერატორს მავრიკეს, რომ დაენიშნა მათთვის მეფედ ერთი ვინმე ჩამომავალთაგანი ვახტანგ-მეფისა. იმპერატორმა აღუსრულა მათ სურვილი: საქართველოს მეფედ დასვა თავისი კლარჯეთის და ჯავახეთის მმართველი (კუროპალატი) გურამი, შვილის-შვილი ვახტანგისა.

მოსე ჯანაშვილი

(გაგრძელება იქნება)

## „იმედის“ კორრესპონდენცია კახეთიდგან.

. . . . . . I. მოგეხსენებათ, შარშან მთავრობამ მარილის ბაჟი მოხსნა და მით საშუალება მისცა ხალხს მარილის იაფად ყიდვისა. ეს განკარგულება მთავრობისა ყველამ დიდის მადლობით და აღტაცებით მიიღო; ყველა იმედეულობდა, რომ ამის შემდეგ მაინც განთავისუფლდებოდნენ „ალზევანში“ მარილის უსინიდისო მეიჯარადრეთა დამოკიდებულებისაგან; ამის შემდეგ მაინც აღარ ექმნებათ საქმე იმათთან. ამას-გარდა კახეთში იყვნენ კერძო მოიჯარადრენი, როგორც უშლუჯანა, თელაველი ვაჭრები, რომელნიც გლეხებს ერთი-ორად აძლევდნენ მარილისათვის ფულსა, ან ბარათს მისცემდნენ, რომლითაც გლეხები ერთს ურემს მარილს მიიღებდნენ ალზევანში და, როდესაც მოიტანდა, სანახევრო იყო მარილი: ნახევარი მეურმისა, ნახევარი ბარათის მიმცემისა. ამ რიგად დიდი მოგება ჰქონდათ მოიჯარადრებსა. და როდესაც მთავრობამ მარილს ბაჟი აჰხადა და მოიჯარადრეთა მაგივრად თავის საკუთარი ჩინოვნიკები დააყენა, მოიჯარადრეებს ფრთა მოეკვეცათ და ოქროს მადანიც გამოელიათ. მაგრამ ზოგიერთა მათგანმა კიდევ მოახერხა მარილის ხელში ჩაგდება და მოტყუება მარილზედ წარსულის ხალხისა... ჯერ, შარშან გამოაცხადა მთავრობამ, რომ ვისაც მარილზე წასვლა ჰსურს, —

ფუთი სახელმწიფო მარილისა ორი შაურიაო მოჭრილი ქვა, გოროხი-კი ერთი შაურიო; მაგრამ წინა წლებში დაშინებულმა ხალხმა ვერ გაბედა შარშან წასვლა მარილზედ. წელსაც მოუვიდათ თვითვეულის სოფლის საზოგადოებასა ხსენებული განცხადება და წელს თიბათვის გასულს კახეთიდგან 500 (ხუთას) ურმამდინ გაემგზავრა „ალზევანისაკენ“ მარილის მოსატანათ იმ იმედით, რომ ფუთს ორ შაურათ დაუდებდნენ. მაგრამ დახე სადამდინ მიაღწევს ხოლმე ბოროტ-მოქმედთა გამბედაობა: დაყენებული მარილის მადანზედ ჩინოვნიკები იმალებიან ( . . . ), უხდებიან მეურმეს ვიღაც მოიჯარადრები (რომელთაც წინათ ჰქონდათ ნასყიდი მარილი იჯარის დროს. და, რასაკვირველია, ეხლა რომ ორ შაურათ გაეყიდნათ—იზარალებდნენ) . . . . და ფუთს ცხრა შაურათ უწონენ! რა ჰქნან საწყალთ გლეხთ, ვის მიჰმართონ: მადნის ზედამხედველნი არა ჩნდებიან, სამის კვირის სავალი გზა გამოუვლიათ და ცარიელები როგორ-ღა დაბრუნდნენ; მეტი ღონე არა აქვთ, უნდა მისცენ რამდენსაც სთხოვენ! მაგრამ ამ გვარს ლაპარაკს, უკეთესი იქმნება გიამბოთ ერთი ს. ენისელის მარილზედ ნამყოფის გლეხის ალექსა ისაშვილის ნაამბობი ამ საქმის შესახებ.

ჩვენ, ერთი ალალი ენისელებისა, მივედით მარილეთში და ვკითხეთ ნაჩალნიკები; მაგრამ მოსამსახურეებმა ხან გვითხრეს სძინავთო, ხან შინ არ არიანო, და მარილი თუ გინდათ, ცოტა კიდევ იქით უნდა წასვიდეთ და იქ დაუდებთო...—ჩვენ ჩავედით ნაჩვენებ ადგილას და იქ დაგვხვდა ყულუჯანა მარილის პატრონათ, რომელიც კარგა ხანია ტყავს გვაძრობს. როდესაც მარილი ავარჩიეთ—ფუთი ცხრა შაურათ დააფასა ყულუჯანამ მოჭრილი ქვა და გოროხი ექვს შაურად. დავლონდით,

თავ-ბედი ვიწყევლეთ, მაგრამ რაღას გავაწყობდით. ჩემმა ამხა-
ნაგებმა დაიწყეს მარილის დადება. მე ბევრი ვუჩჩიე, წავიდეთ
გიჩივლოთ მეთქი, მაგრამ არავინ დამთანხმდა. მე, ფული
სულ ექვსი მანეთი და ექვსი შაური მქონდა და ცხრა შაურო-
ბაზედ რო მეყიდნა—რა იქნებოდა. ვარჩიე ისევ ჩინოვნიკებთან
წასვლა. მივედ ურმით და დავიწყე ძებნა ჩინოვნიკებისა, რო-
მელნიც, როგორც იყო, გამოვიდნენ. მე შევჩივლე ყოველივე-
რი, მაგრამ იგინი უწყალონი იყვნენ. ბოლოს. გულ-მოსულმა
გარდაწყვეტით ვუთხარ: „თუ მომცემთ საზინისგან დადგენილ
ფასზედ—ორ-შაურობაზედ ფუთსა,—კარგი, თუ არა და ამ
ურემსა და ხარ-კამეჩს აქ ვტოვებ—რაც გინდათ უყავით,—მე
კი ეხლავე მივდივარ პირ-და-პირ გუბერნატორთან საჩივლელად
და ის მომცემს სამართალსა!“...—ამ გამბედაობამ მიშველა,
მომცეს ორ-შაურობაზედ მარილი და თანაც მითხრეს: შენი
ამხანაგები სადღა არიან, დაუძახე იმათაც წაიღონო“, — მაგ-
რამ გვიანღა იყო: იმათ დაედოთ ცხრა-ცხრა შაურათ ყულუ-
ჯასასაგან და მოდიოდნენ, და მეორედ დაცლა-დადება კი აღარ
მოინდომეს... ასე ილაპარაკა გლეხმა ალ. ისაშვილმა. ერთმა
კისის-ხეველმა გლეხმა სთქვა, რომ ჩვენც ცხრა შაურად გვა-
ძლევდნენო, მაგრამ ვიჩივლეთ და საზინის ფასად—ორ-შაურად
მოგვცეს შემდეგაო. ნუ თუ ამ საშინელს ბოროტ-მოქმედებას
ყურადღებას არავინ მიაქცევს? ნუ თუ ამ ხმებს ჯერეთ მთავ-
რობის (მაზრის უფროსის მაინც) ყურებამდის არ მიაღწე-
ვიათ? რატომ სასტიკს გამომიებას არ მოახდენენ, რომ აღ-
მოაჩინონ ბოროტ-მომქმედი და სამაგალითოთ დასაჯონ იგი?!
განა თუ ერთი, ათი, ან ოცი ამბობს ამასა, — მთელი მაზრა
ლავლავებს და დასე თუ ყურადღება მიაქციოს ვინმემ?!—იმედი
გვაქვს, ჩვენი მთავრობა სასტიკს გამომიებას მოახდენს ამ

საქმის შესახებ და, თუ მართლა კაცთ-მოყვარე და ჩაგრულთა მფარველია ჩვენი ადმინისტრაცია — ამ საქმეში გამოიჩინოს თავი. უეჭველია, მთელ მაზრაში მომხდარი გამოძიება მარილის შესახებ ბევრს რასმე აღმოაჩენს მთელს ტფილისის გუბერნიაშიაც და, მაშასადამე, თელ. მაზრის ადმინისტრაცია ამ შემთხვევაში მთელს გუბერნიას საუკუნოდ დაუვიწყარს ღვაწლს დასდებს.... გამოძიება და ბოროტ-მომქმედთ პირთ აღმოჩენა სასარგებლოა და საჭირო მეტადრე იმიტომ, რომ გლეხობას მოაშორებს უსინიდისო ექსპლუატატორებსა — მცარცველებსა. . . ჩვენ ჩვენი აზრი წარმოვსთქვით გლეხის ალექსა ისაშვილის ნაამბობზედ და გამოძიების დანიშვნა ამ საქმის შესახებ და დამნაშავეთ აღმოჩენა, დასჯა-პატიჟება — ჩვენის ადმინისტრაციის ვალია... II. ამ უკანასკნელს დროს ცხენებისა და საზოგადოთ ოთხ-ფეხის ქურდობა ცოტა არ იყოს გავრცელდა და გაზეთში წინად იშვიათი მოვლენა ხშირი შეიქმნა. . . . . .

. . . . ჩვენ ვამბობთ — ოთხ-ფეხის ქურდობა ცოტა გახშირდა; იმიტომ, რომ გვინდა, ვისგანაც ჯერ არს, მისი ყურადღება მივაქციოთ ამ ჩვენის ქვეყნის სენზედა, რომ რაიმე ღონის-ძიებანი ხმარებულ-იქმნენ ამ სენის მოსასპობლათ. ა, ს. ბეყანიანში მარიამობის-თვეში სამი ცხენი მოიპარეს; ენკენისთვეში — ახატალიდგან ექვსი ცხენი დაიტაცეს, ს. ბაბანეურში ერთს გლეხს მოჰპარეს უღელი კამეჩი, ოც-და-ხუთ თუმნათ ღირებული. ალავერდში (14-ს ენკენისთვეს) ხომ რაღა — მლოცავთ რიცხვი წლითი-წლობით კლებულობს, ქურდობა მატულობს. თუმცა შარშანა და წელს მაზრის უფროსის განკარგულებით თელ. მაზრის თვითეულის საზოგადოებისაგან გამოწვეული იყო ორ-ორი დაიარაღებული კაცი ალავერდში საყარაულოდ ქურდების წინაალმდეგ, მაგრამ, როგორც ამბო-

ბენ, წელს 14-ს ენკენისთვეს 40 (ორმოცი) მეტი ცხენი მოიპარესო. ამათ შორის ზოგსა პოულობენ, ზოგს ვერა. ასატალის თათრებზედ ამბობენ: რაც ასატალიდგან პრისტავი გ. ფეიცხელაური წავიდა, (რომლის დროსაც ნემსიც არ იკარგებოდა აქ) ასატლელთ ისევ დაიწყეს ქურდობა, სახლ-საბძელსათივის დაწვა და სხვა ავაზაკობაო... ქურდობის მოსასპობლათ კარგი იქნება იგრეთივე ზომები იხმარონ, როგორსაც სამეგრელოში ხმარობენ; ან კიდევ, დააკისრონ მთელ სოფელს საზღვეველათ აქ დაკარგული ვისიმე ოთხ-ფეხი, — იქნება ამ საშუალებამ ნაყოფი მოიტანოს... ამ ზაფხულს ჩაფრებმა ეული ცხენები მორეკეს, რომელნიც დარიგეს თვით ჩაფრებმა, მაზრის სამმართველოს ზოგიერთმა ჩინოვნიკებმა და თელ. თავადებმა. კარგათ შენახვის მაგივრათ, ზოგმა კალოში ამოართვა სული, ზოგი აქირავებდა დღიურათ, და კანონიერს დღიურ შესანახს ფულსაც ითხოვდნენ ცხენთა პატრონთაგან! საკვირველია ამ თელ. ჩაფრების საქმე: ნახავენ სადმე გზაზედ ან საძოვარზედ გაშვებულ ცხენსა, წაავლებენ ხელს, მოარბევინებენ თელავში და აცხადებენ „ეულიაო“!—ამუშავებენ ვიდრე თავის ქეიფია, შემდეგ დაუბრუნებენ პატრონსა და ცხენის შესანახსაც წაართმევენ, ხშირათ მეტსაც (მაგ. ფშაველში.) წმ. გიორგის მათრახი ისევ პატივში აქვსთ აქაურს ჩაფრებსა: ვისაც უნდათ მისდგებიან და იმდენს ურტყამენ, ვიდრემდის მათი სურვილია (იხილეთ მაგ. შუამთობას, ალაზნის ხიდის მუშაობა და კერძო რამდენიც გნებავთ)... III, „ზოგი-ერთი ჭირი მარგებელიაო“, ამბობს ჩვენი ხალხის გენია, და მართლათაც არის: რამდვენს ბოროტსა და უსაქმო კაცს მოუღებს ხოლმე ჭირი ბოლოსა!... მაგრამ მე სხვაზედ ვამბობ. ორმა წარჩინებულმა არხეოლოგოსმა—გრ. უვაროვმა სახლობით და

ვირხოვმა მოინდომეს გაზეთში წამოსვლა. ტფ. გუბერნატორისაგან მოწერილობა მოუვიდა თელ. მაზრის უფროსს, რომ კარგათ დახვდით, გრ. უვაროვი მოდისო. ეს უგანასკნელი მართლაც წამოვიდა და 23-ს ენკენისთვეს სიღნაღში მოსულა. თელავში მოელოდნენ ხუთშაბათს, 24-ს სადილათ. საუბედუროთ (თუ საბედნიეროთ—რა ვიცი) ამ დღეებში ისეთი ავდრობა დაიჭირა, რომ თქვენი მოწონებული! (მართალი ყოფილა: „დიდი-კაცი რომ დაიძვრება—ავდარიც თან მოჰყვებაო“). ავდარი გაგრძელდა ხუთს დღემდის და 25 ენკ. თოვლიც მოვიდა გომბორის მთაზედ, თელავიდგან სულ 3—4 ვერსტის მანძილზედ. ასე ადრე თოვლის მომსწრე თელავში არავინ არის! აცივდა, აცივდა, რომ ყველას ზამთრის ტანთ-საცმელი მოაძებნინა... (ჩვენ კიდევ ჰო, სამხრეთის მცხოვრებნი ვართ, მაგრამ პეტერბურღელი კაცი როგორ შეაშინა კახეთის სიცივემა?!) ჰო გრ. უვაროვის მოსვლაზედ მოგახსენებდით. მომრიგებელი შუამავლის თ. დ. ჯ—ძის სახლი მოუმზადეს და როგორ: რაც მუთაქები, ქართული დამბაჩები, თოფები, ჯიხვები თუ თხის რქები (მაშ ქართველური სმა არ უნდა ეჩვენებინათ?!) ჰქონდათ—სულ ერთიან ხსენებულს სახლში შეზიდეს, ასე ჰგონიათ უვაროვს არ ენახოს ჯერ ქართული თოფი და დამბაჩა. იყიდეს, რასაკვირველია, სადილისათვის ყოველისფერი, მოამზადეს თუ არა—რა მოგახსენოთ. (ამ გვარის შემთხვევისათვის ხარჯის ფული ხაზინისაა). გრაფი ავდრების-გამო ვერ მოვიდა თელავში, ვერც ხუთშაბათს და ვერც პარასკევს; შაბათს ტფილისისაკენ გამგზავრებულიყო ისევ. დარჩნენ თელავის მასპინძელნი და გრაფისათვის მოწვეულნი სტუმარნი! მერე ვინ იყვნენ მოპატიჟებულნი?—ვინა-და კარგი მსმელები, სულ არისტოკრატები! ერთი არა-ვინ ერია მიწვეულებში „არა-

არისტოკრატი", ისეთი პირი, რომელსაც შესძლებოდა გრაფის კითხვაზედ — კახეთის წარსულზედ — რაიმე პასუხი და ცნობა გარდაეცა! ვითომ-და-რაო? — რა მოგახსენოთ; თვით უვაროვი არისტოკრატიაო, და თუ სხვა წოდებისა მიუპატიჟეთ—არ იამებაო. ამას თუ ჰფიქრობდნენ; ან იმას, რომ — ნასწავლი თუ ვართ,—ჩვენ არისტოკრატია ვართო! მაგრამ... მაგრამ ისა, რომ მეცნიერებისათვის თავადი და გლეხი ერთია.., ამ გვარათვე მოიქცნენ, როდესაც გენერალი შანზი მოვიდა თელავში: მიუწვიეს ღვინის მსმელები და ორ-ორი ჯიხვი მისცეს ხელში. ასე ჰგონიათ, ქართული ღხინი მხოლოდ ჯიხვით ღვინის სმაში მდგომარეობსო. მოდი და ევროპიელნი ნუ იტყვიან ჩვენზედ — ლოთობის მეტს არას აკეთებენ ქართველებიო!... ერთი კაცი ვერ უშოვეს გენ შანზსა, რომ კითხვებზედ წესიერი პასუხები მიეცა.... უვაროვისათვის კიდევ მოგლე შენიშვნები დაეწერინეს ერთს ვისმეს კახეთის წარსულზედ და ეს უნდა მიეჩეჩებინათ ხელში—ამით ყველას შეიტყობსო! ნუ თუ უკეთესი არ იქნებოდა, რომ მცოდნე პირი მიეწვიათ: სად ქაღალდზე დაწერილი შენიშვნები, სად ცხოველი ენით ნაამბობი!... კიდევ კარგი რომ არ მოვიდა, თორემ რას იტყოდა: მთელს ქალაქში ერთი კაცი როგორ არ მოიპოვება, რომ რამდენამდე იცოდეს თავისი ქვეყნის წარსულიო! მაშინ გრ. უვაროვი თვით ჩვენ, აწინდელს ხალხს ჩაგვთვლიდა არხეოლოგოსთა გამოსაკვლევს საგნებათ, და იქნება მეექვსე კრება თელავში დაენიშნათ!!... ერი-ჰა, ბიჭოს! რა უნდა მეთქო და სად წაველ! ჰო, „ზოგიერთი ჭირი მარგებელია"-მეთქი და რით გვარგო გრ. უვაროვის მოსვლის მოლოდინმა? — აი რითა: თელავის პოლიცია შეუდგა ქალაქის გასუფთავებას — ა, თელავის საქალაქო ბაღი-ბულვარი ისე მშვენივრად გაასუფთა-

თავეს, რომ წელიწადის აგრე სუფთად არ გვინახავს; ბ, სასტუმროს წინ დამყაყებული ტალახ-წუმპე სულ ერთიან ამოწმინდეს და მშვენივრად გაასუფთავეს; გ, თელეთის წინ, ნიაღვრისაგან რიყედ გარდაქცეული მეიდანი მოასუფთავეს ქვების აკრეფით; დ, „ბატონის-წყაროს" საშინლად დახრამული დაღმართი მშვენივრად გაასწორეს 10—20 ურმის მიწის დაყრით; ე, „ბატონის-ცისის" დასავლეთის დიდი კარები, რომელიც თითქმის თელავის ნახევარ ბაზრის ხალხის ფეხის-ადგილს თამაშობს და ამისათვის საშინლად ჭყარს აქაურობა ათის საჟენის მანძილზე ირგვლივ, ლამაზათიანათ გაასუფთავეს და შემდეგ რამდენიმე ურემი მიწა მოაყარეს, ასე რომ მყრალი სუნი სრულიად მოისპო (დროებით, რასაკვირველია). რაიცა შეეხება ქუჩა-ქუჩებსა — რაღა ჩიჩინი უნდა, — გაასუფთავებინეს... აი რამხენი სიკეთე მოუტანა საცოდავს თელავს გრ. უვაროვის მოსვლის მოლოდინმა! ეს იმისთანა სიკეთეა თელავისათვის, როგორიც მრიელ იშვიათათ ეღირსება ხოლმე. დასასრულ ჩვენ დაგვრჩენია ვინატროთ: ღმერთმა ინებოს, რომ ამ გვარნი, როგორიც გრ. უვაროვია, ხშირნი სტუმარნი გახდნენ თელავისა, აგების ხშირად ვეღირსოთ ხოლმე უსუფთაო თელავის გასუფთავებასა, რომელიც, თუ თქვენც დამეთანხმებით, სასარგებლო და სასიამოვნო იქნება ყველასათვის... IV მ... მაგრამ დანარჩენი შემდეგისათვის შევინახოთ, თორემ...

რაულ-დე-ლა-ტრამბლე.

7 ოკტომბერსა 1881 წ.

ქ. ოსოქოლო

# წერილი რედაქტორთან.

უფ. რედაქტორო! „იმედის“ კორრესპონდენციაში სურამ-ხაშურიდგან, სხვათა შორის, დაცინვით მახსენებენ მეც, ვითომც რომ მსწრაფლად საქმეებს ვსწყვეტდი, როგორც მაგალითებრ, გარდავსწყვიტე გვალიევის და გვერწითელის დავა, სეირნობის დროს, და ფიცხლავ აღსრულებაშიაც მოვიყვანე ჩემი გარდაწყვეტილება. ამ საგანზედ, ე. ი. რადგან ვითომ ჩემგან დავის გარდაწყვეტაზედ წინეთ „დროებაში“ და „ფალანგაშიაც“ იყო მოხსენებული, რომლებითაც უეჭველია უხელმძღვანელებია «იმედის» კორრესპონდენტს, უ. ჯინჭარაძეს; ამისათვის საჭიროდ ვრაცხ გამოვეპასუხო ჩემ გამკიცხავ კორრესპონდენტებს, სიმართლის აღსადგენათ, და გთხოვთ პატარა ადგილი უბოძოთ თქვენს პატივ-ცემულს ჟურნალში ამ ჩემ წერილსაც.

აი საქმე როგორ იყო. უ. უ. გუბერნატორის და უეზდის ნაჩალნიკის მოწერილობის თანხმად რაოდენჯერმე ჩამომერთმევია გვერწითელისაგან და მისი მომხრეებისაგან ხელწერილი, რომ ცნობილი მამული კანონიერის საბუთებით უჭირავს გვალიევს და იგინი ძალაობით არ უნდა შედიოდნენ ამ მამულში, მაგრამ ისინი მაინც-და-მაინც ძალაობას არ იშლიან და მათს ძალაობაზე სწარმოებდა და სწარმოებს ოც-და-ათ-

საქმეზედ მეტი სისხლის სამართლის წესით და სამოქალაქო-სამსჯავროებში ხომ ურიცხვი და ბოლო მოუღებელი.

ამას-გარდა, კვალიევი ხელთ-მძღვანელობს კანონით о предупр. и пресеч. преступленій და უ. უ. გუბერნატორს და ნაჩალნიკს სთხოვს მფარველობას და ნამალადევის დაბრუნებას; თანხმად ამ გვარის თხოვნისა უ. უეზდის ნაჩალნიკს 22 ივლისს № 6497-ით მოეწერა ჩემთვის. რომელის მოწერილობაც, მართალია, მე მოვიყვანე აღსრულებაში და ჩავაბარე კვალიევს მის მამულიდგან მალაობით წაღებული თივა (მაშასადამე მე ჩემის გარდაწყვეტილებით და თვით მნებებლობით არა მომიქმედნია რა). ამ შემთხვევისთვის გვერწითელმა იჩივლა ჯეროვანს ადგილს და, თუ მე უჯეროდ მოვქცეულვარ, უეჭველია, მომკითხება. ან რა მოსაფიქრებელია, თუ ღმერთი გრწამსთ, რომ გუბერნატორს, ან ნაჩალნიკს ან მე თანასწორედ არ მიგვაჩნდეს — კვალიევს ექნება მამული თუ გვერთწითელს?! მაგრამ, თუ რამდენჯერმე სამჯავროებს გაურჩევია გვერწითელის სარჩელები ამ მამულზედ და იგი არ უცვნიათ მის პატრონად, — პოლიციას რა შეუძლიან იმის მეტი, რომ დაიფაროს კანონიერი მფლობელობა აშკარა მტაცებლობისა და შეუპოვარის დაობისაგან. კინდა რომ მიდგომითაც ვიქცეოდე მე, განა წარმოსადგენია, რომ ნება მომცეს ვინმემ ან საქმის გარდაწყვეტისა და ან მის დაუყოვნებლივ აღსრულებაში მოყვანისა, მეტადრე კვალიევმა და გვერწითელმა, რომელნიც უკეთ არიან დახელოვნებულნი და მომზადებულნი ყოველის შემთხვევისათვის ამ გვარის საქმეების შესახებ, ვიდრე მე?!

სურამის პოლიციის პრისტავი დავით დეკანოზოვი.

სურამი, 14 ოკტომბერს 1881 წ.

## „იმედის“ კორრესპონდენცია ზუგდიდიდგან.

ბრიყვი მიუშვი ნებასა,
თვით შეეყრება სნებასა.

ამ ოკტომბრის თვის ოც-და-ორს რიცხვს მე შემხვდა შემთხვევით ზუგდიდში გავლა. გამოვედი შოსსის გზაზედ, რომელიც მიდის ზუგდიდიდგან ახალსენაკს, იქ, სადაც წითელი ხიდი არის, მივედი ფოშტის სტანციაში, ჩემი მხლებელი და ცხენი დავტოვე, მე კი წაველ ბაზრისაკენ გასასხედავათ. მიუახლოვდი თუ არა, თოფის ხმა მომესმა და ერთი სუსტი ბუნების ეზოდგან გამოგორდა ერთი კარგი გვარის ღორი, რომელსაც ტყვიდგან სისხლი სდიოდა; ღორი თუმცაღა პირუტყვია, მაგრამ ეტყობოდა თავის სჯულს სწყევლიდა. ამ დროს, მიმავალს მარცხნივ მომესმა: ამას კი გარდავიხდი, თუ ულვაშიანი ვარ, ჰე! მარჯვნივ სუსტი ბუნების ქოხიდგან გამოხტა ერთი პატარა კაცი და დაუძახა: თუ კაი ვაჟი ხარ, ჰე, დამისვდიო! და შეეტაკნენ ერთმანეთს. იცოცხლეთ, ღორის პატრონმა ამ პატარა კაცს მიაწება ჩემი ქრისტეს გაჭედილი მუშტი შუბლზედ და გააგორა; მისდგა შემდეგ და ბევრი ურტყა საცოდავს. მე ჯერ უყურებდი ამ სეირს, რადგანაც არც ერთის ცნობა არ მქონდა, მაგრამ, როდესაც მამაცმა უთხრა — „მე

პოლიციელო . . . . , მაშინ კი მივხდი, რომ ის უნდა ყოფილიყო ვინმე პოლიციის მსახურთაგანი და დავიმალე... ამ დროს გავიხედე და დავინახე, რომ ერთი ჭლექიანი კაცი, რომელსაც მარჯვენა ხელით მოჰქონდა ცილინდრის ქუდი და მარცხენათი ჯიბეში რევოლვერი, ყვირის — რა მოხდა? ვინ რას ბედავს! რას ხჩადიან? ჩინოვნიკს როგორ ვინმე რამეს უბედავს და ჰკადრებს?! ჩინოვნიკს! ერთმან იქ მყოფმან მოახსენა: ბატონო, ყურცქვიტა, მოისმინე ამბავი და შეიტყობო. მაგრამ გაოფიცხებული ყურცქვიტა ეცემოდა ხან ერთს, ხან მეორეს და მესამეს. ბოლოს წამოიძახა: казаковъ давайте сюда! მოვიდნენ ოთხი ვსადნიკები ფავის თოფებით. ყურ-ცქვიტა ჰკითხავს: есть ли у васъ патроны? მოახსენებენ: никакъ-съ нѣтъ-съ Ваше .. діе, не давро выписаны. რა ქნას, პატრონები ჰკლებია, მადლობა ღმერთს! დაიწყო განკარგულება, აღრიალდა МОЛЬЧАТЬ! იძახის, დეპეშას დავუკრავ ხონში, აქტს შევიდგენთ და მაშინ უყურეთ ჩემს ბოზორკინს, თუ რა გიყოსთ! (ეს ბოზორკინი ყოფილა თურმე გამომძიებელი, თანაშემწე ზუგდიდის მომრიგებელი მოსამართლისა, ლევი), ხოტნას დავიბარებ ცაიშიდგან, ყველას დაგიჭერთ, დაგხვრეტთ, ციმბირში გაგაგზავნით! ჰკითხავს ერთი დამსწრეთაგანი ყურცქვიტას, თუ რათ უნდათ ზუგდიდიდგან წაღებული მკვდრები ციმბირშიო, ანუ ვისი ხარჯით გაიგზავნებიანო? ყურცქვიტას მოქმედებამ გამოიყვანა ყველანი მოთმინებისაგან, და ბოლოს კი აღარ მოახსენეს — უთხრეს: გადი! შენი სული არ იყოსო! ბოროტო! საშენო არა არის რა აქაო: ჩვენ გვყავს მაზრის უფროსი, პოლიციის პრისტავი და ბაზარნი ნადზირატელიო. ეს ყურცქვიტა, ვითომც მამაცი, მოსულა თურმე მისით, რომ ესარგებლნა შემთხვევით, თორემ არაფერი მონ-

დობილება არ ჰქონია. უცბათ ამოიძუა გრძელი ქუდი და სა-ითკენდაც გამვრა. შემდგომ, რასაკვირველია, მოვიდა პოლიცია და მიიღო კანონიერი ზომა.

მე, რადგანაც გარეშე კაცი შევხვდი ამ შემთხვევას, მწყუროდა შემდეგო დაწვრილებით ამბავი და ერთმა იქ დამსწრე ჩემმა ნაცნობმა მიამბო: ის პატარა კაცი ყოფილა თურმე პო-ლიციის მსახური, სახელად ჯანი, . . . ბინადრობა ჰქონია ერთი სუსტი ადამიანის ქოხში, მისთვის რომ იქ თურმე მა-ლიან ტკბილი ბინა ყოფილა, ანუ, უკეთ გსთქვათ, თბილი. ვინც იქ ერთხელ შეეჩვევა — მოშორება არ შეიძლება, და ამ სუსტი ბუნების გასვარგულების ქვეშ უნდა იყოს, რასაც ის ისურვებს, უნდა შეუსრულოს მდგმურებმა. . . . . . . . . ხშირად არის ამ ქოხში ღრიალი და ხრიალი, მძვრალ ხარჯი სხვისი, ე. ი. ჩემებრ გამქლეულისა. ამ სუსტ ბუ-ნებას უბრძანებია ბატონი ჯანისათვის, რომ მოეკლა ღორი მის ჯანის ერთი მეზობლისა. შეუსრულებლობა არ მოხერხ-დებოდა მისთვის, რომ ეს ჯანი სხვაგან ვერ იპოვიდა ამ გვარ თბილს ვინა ტკბილს ბინას; ეწია ამ ჯანს თურმე მამის ცო-დვა და დასწრა ღორი მოდესაც სცემს ღორის დაჭრისათვის, მაშინ ჯანს კი ვერც თბილმა და ვერც ტკბილმა უშველა, მხო-ლოდ მოეშველა მისივე ამხანაგი უურცქვიტა, რომელსაც უა-რესი დამართეს. უურცქვიტა ამ გვარ ცემა-ტყეპაში გაჩვეული ყოფილა ისე, როგორც კარგი მეწყვრე მეძებარი. გაუვსია ზუგდიდის პოლიციის და სუდის ნაწილები სარჩივრებით, თუ ამან გამლახა, იმან გამლანძღა, ამან გამათრია, იმან გამცინა; მაგრამ ჯერ-ჯერობით არც ერთის ბოლო არ მისცემია. ამაში რაღაც ცოდვა მეშაობსო, მითხრა იმ ნაცნობმა. ვკითხე, თუ რა ცოდვა? იმან მიპასუხა: თვითოეული ზუგდიდელი ამბავი რომ

მოგიყვე—მოგაწყენო და ისეთ მოცლილ კაცს ვერ შეხვდი, რომ აქაური ამბავი ჩასწეროს და აცნობოს საზოგადოებას..

აი ამ წელში თურმე . . . . . . . . . ჰქონ-ნია აქაურ პოლიციას ბრძანება: რომ ესა-და-ეს კაცი გააგზავნათ ქუთაისის სატუსაღოში რამდენიმე თვით, მაგალითებრ, დიმიტრი ყლენტი; ნაცვლად მისა გაეგზავნათ ალექსანდრე წერაქვაძე სატუსაღოში. ეს იქნია ბატონის ჭანის მისის ყურადღებობით. ჭანის და ყურცქვიტას კიდევ ერთი ამბავი ჩაიდენიათ. ერთ ზუგდიდელ ვაჭარს მართებია თავის პრიკაზჩიკების რვა ათასი მანეთი, იმათ უჩივლიათ სუდში და გამოუტანიათ „ისპოლნიტელნი ლისტები". ამ ვაჭარს მოუწვევია ექვსი სხვა დიდი ვაჭრები და მათის თანხ-დასწრებით გაუსტუმრები პრიკაზჩიკები და გამოურთმევია ლისტები. მათგან ხელმოწერილები, რომ ამ ლისტებში აღნიშნული ფულები მივიღეთო. ლისტები თურმე ვაჭარმა შეინახა, ხანამ სუდში წარადგენდა. ეს ვაჭარი დარჩა უფულოთ და გადმიაც, ასწია თავისი სავაჭრო საქონლიანად და მიჰყიდა ხატარიუსის წესით ერთს ვაჭარს. ამ ყურცქვიტას თურმე მართებია იმ პრიკაზჩიკებისა ასი მანეთი. მიცემა რადგანაც არ შეეძლო, ყურცქვიტამ, ჭანის და იმ სუსტი ბუნების მდგმურის მამულის მმართველის თანაშემწის შემწეობით, ურჩია იმ პრიკაზჩიკებს მოეპარათ ის გასტუმრებული ლისტები იმ ვაჭრისათვის და მოეტანათ მისთვის. ეს იმათ შეასრულეს, რადგანაც მათ როდი არ ჰქონდათ იმ საწყალი ვაჭრისა. როცა მოუტანეს ყურცქვიტას, ესენი დასწვა და დაუწერა იმათ განცხადება პოლიციაში, სადაც თითონ მისაჩურებდა, რომ რვა ათასი მანეთის ლისტები ამ-და-ამ ნომრებისა დაგვეკარგაო. ყურცქვიტამ და ჭანმა მაშინვე გაგზავნეს განცხადება პოლიციიდგან ქუთაისის

სტამბაში, რომ ამ კაცებს ამდენი ათასი მანეთის ლისტები დაეკარგათო და დაბეჭდეთო. პრიკაზჩიკებს მისცეს მოწმობა, რომ იმათ ნამდვილად დაეკარგათ ჯერ დაუკმაყოფილებელი ლისტებიო. ეს მოწმობა წარადგინეს სუდში და ითხოვეს ხელახლად ლისტები, რომლებიც მიენდო სუდის პრისტავს გარდასახდევინებლათო. საწყალ ვაჭარს, ჯერ არ გაუგია ლისტების დაკარგვა, ფიქრობს მას აქვს, იბარებენ სუდში და უცხადებენ პრიკაზჩიკების ახალ თხოვნას. იყვირა ვაჭარმა, სად არის სამართალიო?! ჰკითხეთ ამა-და-ამ კაცებსაო! მაგრამ ვინ დაუჯერა. ამით ყურცქვიტამ იგდო ის ასი მანეთიც, რომელიც ქმარია და კიდევაც ურგებოდა. ყურცქვიტამ რა ქნას — კიდევ სჭირიან ნალები, დაიბარა პრიკაზჩიკები და უთხრა: ჩემო გულითადო მეგობრებო, ეს ხომ კაი საქმე გიყავით. მეც არ ვარ თქვენზედ უკმაყოფილო, მაგრამ ერთს კიდევ უკეთესს მოვისურვებთო, თუმც ნალებს არ დაიშურებთო. რასაც სიკეთეს გვიზამთ, თქვენ იცით, ყურცქვიტაო, უთხრეს . . . . . . . ყურ-ცქვიტამ, . . . შეადგინა საჩივარი პრიკაზჩიკების სახელზედ, რომ ჩვენ გვქონდა მომრიგებელი სასამართლოდგან გამოტანილი რვა ათასი მანეთის ლისტებიო და მოგვპარა ამა-და-ამ ვაჭარმაო, ე. ი. იმან, ვინც რომ იყიდა მათი მოვალისაგან სავაჭრო, და მისცეს ეს თხოვნა სადაც რიგი იყო. ამასთანავე ყურცქვიტამ უქადა მათ — გამომძიებელს ბოზორგინს უნდა ჰკითხოთო, სუსტი ბუნების ქოხში მდგმურის მამულის მმართველის თანაშემწის საშუალებითაო, როგორც ეს თხოვნა მიუვა თუ არა, მაშინვე დაიჭერენ ის ვაჭარიო და კიდევაც ასე მოახერხეს. ის ვაჭარი უცბათ დაიჭირეს. ეს მეორე თვე გადის და დღესაც სატუსაღოშია, მოწმებს არავინ კითხულობს....

ზუგდიდის ადმინისტრაცია უურცქვიტას, ჭანის და მამულის მმართველის თანაშემწის მოქმედებით ისე შეწუხებული ყოფილა, რომ არსად რუსის სახელმწიფოში ამ გვარი თვით-მნებლობითი მმართველობა არ არის. . . . . . . .
. . . . . . . გარდაკარგნილი კაცების ბუდე კი არის, როგორც სოფლებში, ისე ქალაქში. მაგრამ პოლიცია იმას კი ყურადღებას არ აქცევს და მართალი სუსტი კაცი თუ ნახა, იცოცხლეთ, უურცქვიტა მაშინვე დააჭერინებს. თუ შეძლება არა აქვს, ურტყამენ, რათ არ გაქვს ფულებიო. ჭეშმარიტათ მებრალება ზუგდიდის ქალაქი და მრთელი მაზრა ამ გვარ კუდუცურების ხელში.....

ქილეგ ვიტყვი

24 ოკტომბერს, 1881 წ.

# ბიბლიოგრაფია.

რამდენიმე სიტყვა გალობა-სიმღერაზედ და «სამშობლო ხმები», ყმაწვილებისათვის სამღერავი სახალხო სიმღერები, გარდაღებული ნოტზედ ერთ, სამ და ოთხ ხმისათვის, შედგენილი მ. მაჭავარიანისა. თბილისი. ფასი ერთი მანეთი *)

ვიდრე თვით „სამშობლო ხმების" გარჩევას და დაფასებას შევუდგებოდეთ, ჩვენ გვსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ საზოგადოთ გალობაზედ-სიმღერაზედ, — თუ რა კავშირი აქვს მას ხალხის ცხოვრებასთან; რა პედაგოგიური, ხალხოსნური—ნაციონალური, ხელოვნური და ზოგადი მნიშვნელობა აქვს გალობა-სიმღერასა, რა გავლენა აქვს მას ადამიანის სულიერს ცხოვრებაზედ და შკოლაში; სად უნდა ვეძიოთ „ხალხური", სამშობლო ხმები და სიმღერა და როგორ უნდა დავაფასოთ

*) ეს წერილი გავგზავნე 1878 წ. «ივერიის» რედაქციაში, მაგრამ არ დამიბეჭდეს. როდესაც «დროება» და «ივერია» შეერთდნენ, უ. ზ. ჭიჭინაძეს დავავალე ამ წერილის გამორთმევა და დაბრუნება. უ. ნ. ქ—გს ეთქვა, რომ ეს წერილი «დროების» რედაქციაში გარდავეციო. მე ვკითხე უ. ს. მესხსა და ამან მიპასუხა, რომ არ მინახავსო.... იციან ბიჭებმა!...

ავტ.

და გავარჩიოთ იგი სხვა „არა ხალხურის“ ანუ ხელოვნურის სიმღერისგან?—გალობა ყოველგან და ყოველთვის შეერთებული იყო ხალხის ცხოვრებასთან, ხალხის ხასიათთან და მიმართულებასთან; იგი შეადგენდა და შეადგენს უაღრეს სიამოვნებას ხალხისას: დიდს დღესასწაულებში, ყოველს დროს: ზამთარში თუ ზაფხულში, შემოდგომაზედ თუ გაზაფხულზედ ჩვენი ხალხი, ახალ-გაზდა და მოხუცი, ქალი და კაცი, იკრიბებოდა ერთად და ილხენდა სიმღერითა და თამაშობით (ცეკვა), რომელიც ყოველთვის განუშორებელი იყო პირველთან. ვის არ უნახავს ქალების «დიდება» დღესასწაულებში, როდესაც ქართველი ქალ-რძალი ორს გუნდათ იყოფა და გარს უვლიან მდელით ეკლესიასა, რომლის სახელის წმინდასაც აქებენ და ადიდებენ სიმღერის ლექსებშია. ვის არ გაუგონია „დიდების“ მშვენიერი, მწუხარების გამაქარვებელი (თუმც მწუხარებითვე სავსე) კილო! დღესასწაულების გარდა ვის არ უნახავს «დიდებაზე» ნავალი ქალები ხანგრძლივის გვალვის ანუ ავდრიანობის დროს, როდესაც მღერიან სხვა სიმღერასა „იავნანას“ ხმაზედ. *) მწუხარების დროსათვისაც კი აქვსთ ქართველ ქალებს მოგონილი სიმღერა: ავად-მყოფს (ყვავილიანს, წითლიანს და სხვა ამ გვარს) უმღერიან მშვენიერს «იავ-ნანა, ვარდო ნანას» და რა არის მიცვალებულზედ ტირილი, თუ არ სიმღერა მწუხარების ჟამისა? ვისაც გაუგონია კარგს მოტირალეთა «ზარით» ტირილი, იგი დამეთანხმება, რომ ჩვენს ქარ-

*) თუ გვალვაა და წვიმას სთხოვენ—ამბობენ, «ღმერთო მოგვეც ტალახი, აღარ გვინდა გოროხი; თუ გვალვასა სთხოვენ «ღმერთო მოგვეც გოროხი აღარ გვინდა ტალახი». ამ ჩვეულებას «გონჯაობასაც» უწოდებენ და, მგონია, წარმართობის დროს ეკუთვნის, რადგანაც კერპის «გონჯას» ატარებენ ქალები...

ავტ.

თულს ტირილს ჰარმონიით და სიმწუხარის კილოთი თვით წარჩინებული „Requiem" ვერა სჯობია! კაცების სიმღერა ხომ ყოველთვის და ყოველგან შეგიძლიანთ მოისმინოთ. დაუგდეთ ყური, რა ნაირის სხვა და სხვაობით არის სავსე ქართული ხალხური სიმღერები: ხან ხმა-მაღლივი, თითქოს ზეცას მფრინავი კილო, ხან ღიღინი, სავსე მწუხარების გრძნობით, თითქოს წინ უნდა გადმოგიშალოთ თვისი უსაიდუმლოესი გულის გრძნობანიო! (საუბედუროთ მე კარგათ ვერ ვიცნობ დასავლეთის საქართველოს კილოებსა, ამიტომ ყოველი აქ ნათქვამი შეეხება ქართლ-კახეთის სიმღერასა). დღესასწაულობაში—ხატობას კაცებიც უვლიან გარს ეკლესიასა და ადიდებენ უფროს წმ. გიორგის; ეს სიმღერა სამჯერ გარს შემოვლის შემდეგ გარდადის «ავერხულად». აბა ახლა მუშაობის დროს უყურეთ გლეხის „ჭოპ-ჭოპ"-ის სიმღერას—მკის დროს, რა ნაირის ღუღუნით მოისმის; მუშაობის გათავების შემდეგ, „მუშური სიმღერა მსმენელს აღუძრავს მაღალსა და მრავალს კეთილ-შობილურს გრძნობათ... ახლა სუფრაზედ უყურეთ კახური ღვინით შეზარხოშებულს ქართველებს, როგორს ტკბილს და სასიამოვნო სიმღერებს ამბობენ: გრძნობით სავსე გრძელი და მველი «მრავალ-ჟამიერ», რომელიც დრო-გამოშვებით დაუბოლოვებელი შეიქმნება ხოლმე; «ხატკრული» ვრცელი და მოკლე; მოღიღინე «ხეური», მყვირალა «ჩაკრულო», მოხუცი „ჩონგური", «მეტიური» და, ვინ იცის, კიდევ რამდენი სხვები! არ შეიძლება არ მოვიხსენოთ «ურმულიც», რომელიც ტკბილად მოისმის, მომეტებულად ღამე, როდესაც ძნის ურემზე მჯდომი მეურმე ტკბილათ დაჭღუღუნებს მწუხარე სიმღერასა! ბულბულის სტვენა ურმულთან შეუდარებელია! მე არ შემიძლიან გამოვხატო სიტყვებით, თუ რა ბევრი მიგრძნია «ურმულის» ჯაგო-

ნების დროს; იმ ურმულის, რომელიც გამიგონია ღამე სოფელში, რომელსაც მოჭრიალებდა ხოლმე ურემი, რომელზედაც —პოეტის სიტყვით—«ნაღვლიანად მეურმე მწუხარს სიმღერას დაჭდუღუნებდა.—ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს, მწუხარე არის ვით გლოვის ზარი; მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერის დაჩაგრულს, უკუ ჭყრის კიდეც ვით ღრუბელს ქარი»... ერთის სიტყვით, ქართველის თვითოეულის მოქმედებისათვის არსებობს თვითოეული მოქმედების შესაფერი კილო—სიმღერა. რამდენათაც მრავალ-გვარია კაცის მოქმედება, იმდენათ მრავალია თავის სხვა-და-სხვაობით სიმღერაცა... ზემოხსენებულიდგან სჩანს, რომ ქართველი ხალხის მრავალ-გვაროვანი ცხოვრება განუშორებელი ყოფილა სიმღერა-გალობასთან. და თუ ამ გვარი კავშირი არსებობს ხალხის ცხოვრებისა და სიმღერების შორის, —ცხადია, რა დიდი გავლენა უნდა ჰქონდეს გალობა-სიმღერას ხალხზედ. მოიგონეთ საბერძნეთის მომღერალნი—რაფსოდები და მათ შორის უკვდავი ჰომერი; საფრანგეთისა და ესპანიის „ტრუბადურები»; გერმანიის „მეიზენჭერები“ და ჩვენი „საზანდრები», რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მათ... პედაგოგიური მნიშვნელობა გალობა სიმღერისა და საზოგადოდ მუსიკისა ადვილად გასაგებია, თუ მოვიგონებთ, რა დიდი გავლენა აქვს გრძნობას ჩვენს სულიერს ცხოვრებაზედ: მუსიკა და, რასაკვირველია, გალობაც მეტყველებაა, ენაა გრძნობისა, არამც თუ კერძოპირებისა, არამედ მთელის კაცობრიობისაც. რადგანაც გრძნობა შეიცავს ადამიანის სიხარულსა და მწუხარებასა, ფიქრსა და იმედსა, მიზანსა და ლტოლვილებასა, რწმუნებასა, ამისათვის სიმღერა აღიარებს და გვიცხადებს ადამიანის სულიერს ცხოვრებასა... ამისათვისაც სამშობლო ხმების—კილოების გაგონების დროს კაცი ასე ბევრსა გრძნობს და იგონებს

წარსულს. და თუ აგრე ძლიერ მოქმედობს სიმღერა კაცის გრძნობაზედ, ცხადია, რომ იგი აკეთილ-შობილებს მას და კაცობრიობისათვისაც გასაგებათა ჰხდის. რადგანაც გრძნობა ადამიანის სულიერის ცხოვრების გამამხილებელია, ამისათვისაც უკეთესდება, რბილდება და კეთილ-შობილდება კაცის ხასიათი გალობის ზედ-მოქმედებით... გალობა-სიმღერას შეუძლიან იქონიოს უაღრესი ნაციონალური (ხალხოსნური) მნიშვნელობა. მუზიკალურის განათლების დედა-ბოძათ, ქვა-კუთხედ უნდა იყოს მშობლიური სიმღერა, სამშობლო კილო. ხალხის სიმღერა არის იდიალური განხორციელება ხალხის ცხოვრებისა, ხალხის ისტორიისა; იგი არის მქონი ნაციონალურის აღზრდის საფუძვლისა. სიმღერაში ხალხი იგონებს თავის წარსულს ცხოვრებას აღმოსთქვამს თავის შეხედულობას ცხოვრებაზედ, თავის მწუხარებასა და სიხარულის წამებასა. სიმღერა არის ერთი იმ საშუალებათაგანი, რომლის შემწეობითაც მკვიდრდება რომელიმე ხალხის სხვა-და-სხვა განცალკევებულის ნაწილების ერთობა! ვინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ გერმანიაში მომღერალთა გუნდებსა გერმანიის სხვა-და-სხვა ტომთ ერთად შეერთებაში. სიმღერა მოაგონებს ხალხს მათ წინაპართა გმირობას, მამულის სიყვარულსა, მამულისათვის თავ-დადებასა და დაცემულს ხალხს აღადგენს. მოიგონეთ სიმღერები: «თამარ-მეფე», «კრემლემ ჩვენმა ბატონმა», ლექსი სოლოლაზედ, «არსენა» და სხვანი. ხალხის მუზიკალურს განათლებას პრაქტიკული მხარეც კარგი აქვს: უქმე დღეებში, ხალხი, შრომასა შეჩვეული, ვერ ითმენს ცუდად ყოფნას და არ იცის როგორ გაატაროს უქმე დღე, აი აქ შემწედ და ამხანაგათ გლეხს ეჩნდება სიმღერა. ამ შემთხვევაში გალობაში გაწვრთნილი კაცი მაშინათვე სიმღერას მიჰმართავს და მხია-

რიგიანად გაატარებს უქმე დღესაც... სიმღერა რომ უფრო გავრცელებული იყოს ჩვენ ხალხში, უქმე დღეებს ხალხი, ბაზარში დგისის, სმის მაგიერად, სიმღერით გაატარებდა; მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს ხალხში ესტეტიკური გრძნობა ცოტათ თუ ბევრათ დახშულია... სიმღერას ხელოვნებითი მნიშვნელობაცა აქვს. ჩვენი ხალხი დიდს ნიჭს იჩენს მუსიკაში. ამას ცხადად გვიმტკიცებენ ჩვენის სიმღერების მშვენიერი კილოები, რომელნიც თავის სიტკბოთი და ჰარმონიით არ ჩამორჩებიან ბევრს კომპოზიციის ნაწარმოებსა. ჩვენს ხალხში რომ გავრცელებული იყოს მუსიკალური განათლება,—იქნება ქართველებშიაც გამოჩენილიყვნენ მოცარტები, როსსინები, ბეტხოვენები, ტურჩანინოვები, ბარტნიანსკები... ამის შემდეგ, ცხადია, რომ ხალხურის სიმღერას აი ფეხზე დაყენებას დიდი მნიშვნელობა ექნება ეკკლესიურის გალობის განკარგულებაზედ....

სიმღერა არის «ხალხური» და არა ხალხური (ხელოვნური, ბაიათები, მუხამბაზები და სხვა კილოები ჩვენში). ნამდვილს ხალხურს მხოლოდ სოფელში გაიგონებთ და არა ქალაქში. დარწმუნებით შეიძლება ვსთქვათ, რომ ქალაქში (ნამეტნავათ ტფილისში) თუ მღერიან ხალხურს სიმღერას, იგი ან ისე გადამახინჯებულია, რომ სიტყვებით აღარ ისმის ის გრძნობა, რომელსაც მასში სოფლის ხალხი ჰხატავს, ან კიდევ არის კინტოური ერთი ხმიანი სიმღერა და სპარსული ბაიათები. ამისათვის «ხალხური» სიმღერა შეიძლება ვუწოდოთ მხოლოდ იმ სიმღერას, რომელსაც სოფლის ხალხი მღერის, რომელსაც თვით სოფლის ხალხი იგონებს—სთხზავს. ჯერ ძველ დროშიაც არ იყო მაგრე რიგად გავრცელებული ქალაქში ხალხური სიმღერა, რადგანაც ზოგიერთს ქართლ-კახეთის მეფეთ სპარსეთიდგან მოჰყვანდათ მომღერლები და ეხლა ხომ რაღა!....

მე XVI საუკ. მეორე ნახევრიდგან მოყოლებული, როდესაც ქართლ კახეთის ბედი სპარსთ ჩაიგდეს ხელში, უმეტესი ნაწილი ჩვენის მეფეებისა უმაწვილობიდგანვე იზრდებოდნენ სპარსეთის ყეენის სასახლეში სპარსულს სარწმუნოებაში და ჩვეულებაში. ამისათვის, როდესაც იგინი მოდიოდნენ საქართველოში მეფეებად, — თავის კარზედ — სასახლეში იგეთსავე წყობილებას აწყობდნენ, რომელნიც სპარსეთის ყეენის კარზედ იყო და რომელშიაც თვითონ იყვნენ აღზრდილნი. ერთის სიტყვით, XVI—XVIII საუკ. მეორე ნახევარამდის ქართლ-კახეთის უმეტესი ნაწილი მაჰმადიან მეფეებისა თავის სამეფო კარზედ სპარსულ ზნეს, ჩვეულებას და განათლებას აძლევდნენ უპირატესობასა. ნიჭიერი სპარსეთის პოეტი ჰაფიზი დიდს პატივის ცემაში იყო მეფის კარზე. იმის ლექსებს და იმის მწერლობის კილოზედ შეთხზულს ქართულს სიმღერებს აღტაცებით ამღერებდნენ თარზე, ჭიანურზე, დუდუკზე და სხვ. «გაფი» «ბაიათი» «მუხამბაზი» და სხვა ამ გვარები სულ მაშინდელი შემოღებულებია. საკვირველია, რომ ქალაქში, სპარსულს კილოებს თარ-ჭიანურზედ ისეთი გავლენა ჰქონიათ, ისე ძლიერ გაუდგამთ ფესვები, რომ სხვა-და-სხვა საკრავებზედ ქართული კილოები სრულიად განუდევნიათ და ამოუფხვრიათ! აბა ერთი მომღერალი მიჩვენეთ რომ თარ-ჭიანურზედ ერთი მაინც ნამდვილი «ქართული» კილო იმღეროს! — ტყუვილად ეცდებით! ჩვენდა საბედნიეროთ, «ხალხმა», იმ ხალხმა, რომელიც ყოველთვის იყო და არის თავის ნაციონალურის თვისების დამცველი, ამ სოფლის ხალხმა მეტი დაიცვა და შეინახა თავისი წმინდა ქართველური კილოები სიმღერისა! დიახ, გლეხი ხალხი — „ერი“ იყო ყოველთვის თვისის საყვარლის მამულის ინტერესების დამცველი; იგი ყოველთვის ჰგრძნობ-

და მომავალს თავის სამშობლოს უბედურებასა და აფრთხილებდა მაღალს წოდებასა, მაგრამ უკანასკნელთ ამაყობა და პირადი სარგებლობა სულ სხვა ნაირად არიგებდა საქმესა...—რადა თქმა უნდა, ამის შემდეგ, რომ ვისაც შესწავლა და ნოტზედ გადაღება ჰსურს ხალხურის სიმღერისა,—იგი უნდა წავიდეს სოფელში, დაახლოვდეს ხალხთან, დაჰყოს მასთან კარგა ხანი და კარგად შეისწავლოს და შეითვისოს „ხალხური კილო". მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლიან კაცს ნოტზედ გადაღება „სამშობლო ხმებისა"...

გადავავლოთ ახლა თვალი ბ. მ. მაჩავარიანის „სამშობლო ხმებსა", — ასრულებენ იგინი ყველა მოთხოვნილებას „ხალხურის სიმღერისას" თუ ვერა?—ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ გულ-საკლავი—„ვერა!" და აი რათა: ოცს უ. მ. მაჩავარიანისაგან გადაღებულს „სამშობლო ხმაში" (უკეთესი იქნებოდა ასე ეწოდა უ. მ—ნს თავის შრომისათვის: „მ. მაჩავარიანისა და კინტოების ხმა"!) ერთშიაც ვერ ვიცან „ნამდვილი" ქართული ხალხური კილო, სამშობლო ხმა! მოკლეთ რომ ვსთქვათ, უ. მაჩ—ის „სამშობლო ხმებში" ზოგი ქალაქური კინტოური კილოა, ზოგი თვით ავტორისა და ზოგიც უ. ი. გოგებაშვილისა (რომელმაც 1878 წ. ერთს „დროების" №-ში ქება შეასხა უ. მ. მაჩ—ანს მეცადინეობისა და შრომისათვის და გამოაცხადა, რომ „მე ვუგალობე ზოგი სიმღერა და უ. მაჩ—მა გადიღო ნოტებზედ"..., ვაი დედა! ე რა მომღერალი გვყოლია და აქამდინ კი არ ვიცოდით!...) „ზოგი-ერთი სიმღერები იტალიურს კილოზედ არიან გადმოღებულნიო", ამბობს უ. ი. გოგებაშვილი. რომელის სიმღერის კილო არის იტალიური, დაასახელეთ და! მერწმუნეთ: ეს რომ იტალიელთ გაიგონ,—უჩივლებენ იტალიურის კილოს ამ გვარს

შეურაცხყოფისათვის, რომ უ. მ. მაჭ—ნის უსულო კილოებს იტალიური კილო უწოდეს!... ნეტავი ვიცოდე სახელდობრ, რომლის იტალიურის ოპერიდგან ამოიღო უ. მაჭ—მა თვი-სის სიმღერების კილო?!... თუმცა „სამშობლო ხმებში“ არის ორიოდე კილო ხალხური, მაგრამ ისინიც გადამასხინჯებულნი არიან უ. მაჭ—საგან. მაგრამ დავიწყოთ ცალ-ცალკე თვითოე-ულის სიმღერის გარჩევა. პირველი სიმღერა არის „თამარ მე-ფე“ (№ 1)—ფერხული. საზოგადოთ ქართლ-კახეთში ორ-ნაირია ფერხული სიმღერა: „მაყრულის“ (იგივე ორ-პირუ-ლი) კილო და „მავლეკო“სი. «თამარ მეფე» კილოთი მიემსგავსება «მავლეკოს» სიმღერასა; მაგრამ მაინც ფრიად ეტყობა უ. მაჭ—ნის კომპოზიციის გავლენა... უკეთესი იქ-ნებოდა უ. მაჭ—ნს ხსენებული სიმღერა ერთხელ დაებეჭდა სამ-გზის მაგივრათ, რადგანაც ხარჯი ცოტათი მაინც შემცირ-დებოდა. ან რა საჭირო იყო სიმღერათა მსვლელობასა და ხასიათის იტალიურად ზედ-წარწერით გამოხატვა? თუ ქართუ-ლად არ იცოდა მათი მნიშვნელობა, შეეძლო აეღო უ. «რაზუ-ნოვის» «ნოტების ანბანი» და იქ ენახა რუსულად ეს სიტყვე-ბი: Moderato—умѣренно—საშუალოდ. მე ვსთქვი, რომ სიმღერის—პიესის ზედ-წარწერა ჰხატავს პიესის მსვლელობასა და ხასიათსა მეთქი. უ. მაჭ—ნს ეს ვერ მოუფიქრებია, აუღია, თავზედ დაუწერია იტალიურად—„საშუალოდ“. შემდეგ (მუა-სიმღერაში) კი ქართულის ასოებით და სიტყვებით უწერია: «თან-და-თან ჩქარა» ასე შეიძლებოდა მაშინ, რომ პიესა რამდე-ნისამე ნაწილისგან ყოფილიყო შემდგარი; მაგრამ ამ შემთხ-ვევაშიაც «თან-და-თან ჩქარა» კი არა «ჩქარა» Allegro უნდა დაეწერა. ან არა და სხოლიოში შენიშნავდა, რომ ეს სიმღე-რა ჯერ ფრიად მძიმედ იმღერება ორ-პირად და შემდეგ. რომ-

დე ათაც ხალხის (მოფერხულეთ) მოძრაობას, ტრიალის სიჩქარე ემატება, იმდენათ სიმღერაც ჩქარდება და ბოლოს ისე ფრიად სიჩქარით ამბობენ, რომელსაც «Allegretto» ჰქვიან!! რაიცა შეეხება მუზიკალურს მხარესა—ბლომათ გახლავთ შეცდომები, რომელთ ჩვენება მინდოდა, მაგრამ, ვგონებ, რედაქციისათვის ეს ფრიად სამძიმო იქნებოდა (ნოტების მაგალითების ბეჭვდა). მეორე სიმღერა არის «ედემი» (№ 2) ეს კილო უეჭველად უ. მაჭ—ნის ფანტაზიას ეკუთვნის! ვისთვის დასწერა უ. მაჭ—მა ეს კილო: სოფლის ყმაწვილისთვის თუ სკრიპკისთვის? ნუ თუ სოფლის ახლად მოსწავლე ბალღები მაღალის «სოლ» და «ლა»ს აიღებენ ხმით?! კარგად გალობაში გავარჯიშებულ ყმაწვილებსაც ეძნელებათ «ლა»ს აღება და სოფლის ბიჭისათვის ხომ შეუძლებელია. «ედემის» კილო არის მძიმე და უგრძნობელი; ამისათვის მას ყმაწვილების მიტაცება არ შეუძლიან. მესამე სიმღერა არის «ბერი-კაცის ნატვრა“ (№ 3). ამ სიმღერას ჯერ ერთი აწყობს და შემდეგ მთელი გუნდიც მიჰყვება. ამ კილომ ერთი დიდ-მარხვის საგალობელი კილო მომაგონა და არა საყმაწვილო მხიარული სიმღერისა. ვურჩევ უ. მ. მაჭ—ნს ამ კილოზედ რაიმე საეკლესიო გალობა გარდაეკეთოს. «ოხა» (№ 4) ხომ რაღა, ნამდვილი ქართული კილოა! ბატონო! კინტოური სიმღერა «სამშობლო ხმად» არ მოეჩვენებია უ. ავტორს?! ეს იმ კინტოური სიმღერის კილო გახლავთ, რომელიც იწყობა ამ სიტყვით «ოდეს ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩნდეს», ან კიდევ: «სარკე სავარცხელი ხელში მეჭირა!» ეს სიმღერა უთუოდ უ. ი. გოგებაშვილმა უგალობა და გადაალებინა ნოტზედ. ამას ამ 12 წლის წინათ მღეროდნენ კინტოები ტფილისის ქუჩებში და უთუოთ მაშინ ჩარჩა გულში (სიოვნაში) უ. ი. გოგებაშვილს, როგორც

ამბობდა ყ. ი. გ. 1878 წლის «დროების» ერთს №-ში......
«მზე შინაოას კილო (№ 5) არის «იავ-ნანას» (ყვავილობით ავათ-მყოფის სამღერავი) კილო მხოლოდ გადამახინჯებული ჩვეულებისამებრ ავტორისა. იგალობეთ ერთათ «იავ-ნანა» და ყ. მაჭავარიანის «მზე შინაო» და მაშინ ცხადათ დარწმუნდებით, რომ მას სრულიად არა ჰქონია ესტეტიკური გრძნობა. *) არც «ია ვნახოთ ვენახი» (№ 6) გახლავთ თავის კილოზედ გადაღებული, რადგანაც ეს სიმღერა იმღერება «ნანას» (ილ. ჭ—მის) ხმაზედ. ეს კილო გახლავთ ამოღებული ნახევარი ერთის (აღარ მახსოვს) კინტოური სიმღერიდგან, მეორე ნახევარი თვით ავტორის ფანტაზიიდგან... მეც არ გავკვირდი: რად წააწერია ავტორს თავის შრომაზედ «შედგენილი» და არა «გადაღებული» მეთქი!... მე მეცთომა მგონია და თურმე ნუ იტყვით—ყ. მ. მ. მართლა თითონ შეუდგენია კილოები! დიდება მოხერხებასა და კომპოზიტორობასა თქვენსა ყ. მ. მაჭ—ნო! «ჩიტი და ფეტვის» (№ 7) კილო ნამდვილი ხალხური კილოა, მაგრამ ოთხ ხმაზედ კი არა გალობენ; არამც-თუ ამას, არამედ არც ერთი ქართული სიმღერა ანუ გალობა ჩვენი ოთხს ხმაზედ არ იგალობება—ან სამი ხმაა, ან ორი... უმჯობესი იყო ყ. ავტორს სამს ხმაზედ გარდაეღო, ვიდრე ოთხზედ გადამახინჯებიო. ჩვენ ოთხ ხმაზედ გარდაკეთება კი არ გვინდა, ნამდვილის ხალხურის კილოების გარდაღება გვინდა... № 8 არის «მაყრული» ანუ ორპირული სიმღერა. სად და ვისგან გაიგონა ყ. ავტორმა მაყრულის ოთხ ხმაზედ სიმღერა? კაცო, თუ თქვენ არ იცოდით ამ სიმღერის კილო,

(* ამ სიმღერისათვის ზევიდგან დაუწერია ავტორს: «სამი ქალის სიმღერაო», ასე ჰგონია სამი ვაჟი კი ვერ იგალობებდეს....

ავტ.

ნუ თუ საქართველოში არ მოიპოვებიან კარგი მომღერალნი, რად არ დაეკითხენით იმათ, რად არ ისწავლეთ მათგან ჯერ და შემდეგ არ გადიღეთ; თუ არა და ძალას ვინ გატანდათ—უეჭ-ველათ გადიღეთო! არა, ძმაო, კოზმანიშვილებო, ყარალაშვი-ლები, ქარდოშვილები, სულხანიშვილები ჯანდიერები, (კახეთში) აგრე არ მღერიან მაყრულსა!... ნუ თუ ლექსს «გაზაფხული» (№ 9) ის კილო შეჰშვენის, რომელზედაც, უფ. ავტორო, თქვენ გადაგიღიათ?! ნუ თუ «გაზაფხულს» (ილ. ჭ—სა) კინტო-ური კილო შეშვენის და არა ჩვენებური,—ხალხური რომლის მა-მულის ბედსაც ჰხატავს?! ღმერთმა მშვიდობა მოგცესთ, კარგის გრძნობის პატრონი ბრძანებულ-ხართ, უ. ავტორო! ხომ გახ-სოვთ, მოიხსენებთ, ამ 6—7 წლის წინათ რომ მღეროდნენ კინ-ტოები ქალაქის ქუჩებში: «აგერ მოდის ივერიანი, მიგ სანთელი არ არის»—სწორედ ამ სიმღერის კილო გადუღია უ. მაჭ—ნს და ქვეშ მოუწერია დიდ და მრავალ-მნიშვნელოვანი მშვენიერ ლექსი «გაზაფხული» ილ. ჭ—ძისა!... მე № 10 არის სიმ-ღერა «არაგვი» ილ. ჭ—ძისა. ვინ არ წაუკითხავს ეს ლექსი და ვინ არ იცის, როგორის ელეგიურის ხასიათისა, როგო-რის მწუხარეს კილოთი გამოხატული ჩვენ ივერიელთა წარსული... აი ეს ლექსი მოუწერია ქვეშ იმ კილოსათვის, რომელზედაც კახელი ხალხი (კახეთში მოგონილი ამ 10—12 წლის წინათ) თ. რაფ. ერისთავის ლექსს—«წრიდგან გადასული—წრეში შემოსულს»—«რად შემიყვარებ»-სა მღერიან. მაგრამ ამასაც უ. მაჭ—ნის ზედ-მოქმედება აჩნევია: სამ-ხმიანის კი-ლოს მაგივრად ავტორს ოთხ-ხმიანად გადუკეთებია! კიდევ ვიმეორებ: ოთხ-ხმიანი სიმღერა ჩვენში არ ყოფილა და არც არის მეთქი... «სამხედრო სიმღერა (№ 11) არ არის ხალ-ხური კილო. იგი არის ერთი «მარში» ჭუსავთი მუზიკის და-

საკრავი. ჩვენს მილიციონრებს აუღიათ ეს კილო და ქართულის ლექსებით უმღერიათ, როგორც მაგალითად «ჩემო ციცინათელავ». ამ სიმღერას მილიციონრები უწოდებენ «ციცინათელას» და არა «სამხედრო სიმღერასა». ეს სიმღერაც შეცვლილათ აქვს უ. ავტორს გადაღებული. «მერცხალი» (№ 12) არის გარდაკეთებული ქალაქურის სიმღერის კილოზედ — «მიმინო მეყანდა», ან «მრავალ-ჟამიერ». კილო თუმცა სწორედ არის გარდაღებული, მაგრამ მუზიკალური შეცთომა აქვს ოთხს ადგილას... სიმღერა «ყანა» (№ 13) არის გადაღებული იმ კინტოურის სიმღერის კილოზედ, რომელსაც ტფილისში ამ 7—8 წლის წინად მღეროდნენ და რომელიც იწყობა ამ სიტყვებით: «ქალო, საბარდიანო»; ან «ლიზა მიდის ვერასა»; ან «იხრიკა და მახრიკა!...» «ჩიტი» (№ 14) არის გარდაღებული «არაგვის» (ნ. ბარშვილისა) ხმაზედ; მაგრამ ცოტა გადამახინჯებულად... «გამვებული ჩიტი» (№ 15), როგორც ეტყობა «კოჭებში» «გარდაღებულია» საკუთარ უ. მ. ჩაჭ—ნის კილოზედ, რომელიც უსულო და უგულო კილოს წარმოადგენს. ამ კილოში აზრი არ არის, აზრი! და თუ კილო ნამდვილად არა ჰხატავს ლექსის აზრსა, უკეთესია დავიწყებას მიეცეს იმ გვარი სიმღერა... «ბავშვის სიზმარი» (№ 16) არის გარდაღებული ნამდვილათ იმ კილოთი, რომელზედაც მღერიან ხსენებულს ლექსსა; მაგრამ ცოტა კილოს გამოცვლის გარდა, უ. მ—ს სამის ხმის მაგიერად, რამდენზედაც საზოგადოდ მღერიან, ერთს ხმაზედ გადუღია. მშვენიერი მოსასმენია ეს სიმღერა მეტადრე მაშინ, როდესაც ორ-გუნდად — ორ პირად მღერიან. საკვირველია: სამ-ხმიანს სიმღერას უ. ავტორი ხან ოთხ-ხმიანათ აკეთებს, ხან ერთ-ხმიანად! რას უნდა მიეწეროს ეს, თუ არ ჩვენის ხალხურის სიმღერების უცოდინრობასა?! «მახეში გაბმული ჩიტი» (№ 17) არის გარდა-

დებული ისევ იმ კილოზედ, რომელზედაც «ჩიტი» (№ 14), მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ «მასეში გაბმული ჩიტი» უფრო გადამახინჯებულია: შუა კილო — თავშია, თავი — ბოლოში, ბოლო — შუაში... სიმღერა «ქალების მუშაობა» (№ 18) არის გადაღებული იმავე კინტოურის სიმღერის კილოზედ, რომელზედაც «ყანა» (№ 13), ცოტათი სხვა-ფრივ გადამახინჯებული. ეს უთუოთ იმ განზრახვით, რომ ე. ავტორმა საზოგადოება დაარწმუნოს, ვითომ და იტალიური კილოაო..., მაგრამ, მისდა საუბედუროთ, შეუტყუეთ ეშმაკობა!... მე 19 № არის «კურდღელი», რომლის სიმღერამაც 1878 წ. «დროების» მე 19 №-ის სიტყვით ტფილისის საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. მე მგონია, ე. ა. ი. ბერიძემ რატომ არ შენიშნა ავტორს, რომ ეს მშვენიერი სიმღერა აგრე უღმერთოთ გადაუმასხინჯებია. როგორც დავრწმუნდი, ქართულს წარმოდგენაში «კურდღელი» უმღერნია ე. ბერიძეს «თავისებურად» და არა მაჩავარიანისებრივი, საზოგადოებასაც მოსწონებია და მეცთომით ე. «სამშობლო ხმების» ავტორი გამოუქსმია სცენაზედ..., ერთის სიტყვით, როგ იტყვიან რუსები: на чужой счетъ гулялъ-ო — სწორედ ისე მოსვლია ე. მ. მაჩ—საც. «კურდღელი» ორ-ნაირად იმღერება: ერთი ბერიძესებრივი — ორ-ხმიანია და მეორე — ძველი ქართული, სამ-ხმიანი, რომელიც უფრო «სუფრულს» სიმღერებს მიემსგავსება... მე 20 № არის «ქრისტე აღდგა». ეს ეკკლესიური გალობა დიდი ხანია გადაღებულია ნოტებზედ ე. მიხაილოვისაგან — ჩიკვაძისაგან (ვახელია, სოფ. კისისხეველი). აი, ბატონებო, აგრეთვე და აგრე გახლავსთ გადაღებული (უკაცრავად — შედგენილი) «სამშობლო ხმები» ე. მ. მაჩ—საგან, რომელსაც კილოებითურთ ერთის თვალს წინათ ამ შესანიშნავის შრომის გამოსვლამდე

ფ. ი. გოგებაშვილმა ქება შეასხა ... ცვილებო, რაკი კი-
ლო ქართულის სიტყვებით—ლექსით იმღერება,—განა იმის-
თვის კილოც «სალხური», სამშობლო ხმა იქნება?! არ ვის
გაუგონია ფ. ი. გ—შვილის მომღერლობა, რომ მის ნამღე-
რალს იღებენ ხალხურ ხმებად?! ერთი მითხარით, თუ ღმერთი
გწამსთ: როგორ გადიღებდა ხალხურს კილოებს ის ადამიანი
რომელსაც არამც თუ არ უსწავლია, არც კი გაუგონია ნამდ-
ვილი ხალხური კილო,—ისიც არ იცის, თუ რომელს და რამ-
დენს ხმაზედ მღერიან ქართველები!! მოვიყვანოთ ფ. მ. მაჩ-
—ს და ავრე ჰყოფს ხმებს: «მაღალი ბანი პირველი», «მა-
ღალი ბანი მეორე» (№ 19) Soprani, Alti, Tenori, Bezzo
(№ 11). «ავთანდილის ლექსში» შემოგვს ოთხ ხმას აგალო-
ბებს ფ. მაჩავარიანი: კრიმი, მოძახილი, მაღალი ბანი, ბანი
(№ 8). აბა ერთი უხურხულეთ ქართველს მომღერალს ეს ხმე-
ბი—რას გეტყვისთ! აქვე ოთხი ხმა არის სიმღერაში «ჩიტი და
ყარტი» (№ 7). სიმღერაში «თამარ მეფე» ფ. მენონტე ასე
ურიდებს მეორე ხმას: «მაღალი ბანი—მოძახილი..» ერთის
სიტყვით: როგორც მოწყობილ მუზიკის, ისე წოდებს მიუცია თავ-
თავქილის ხმისათვის ფ. ავტორს. ფ. მაჩ—ს უნდა შევნიშნოთ,
რომ ერთხელ და სამუდამოდ იცოდეს: ა, ხალხური სიმღერა
კილოებში უნდა შეისწავლოს; ბ, ქართულს სიმღერაში სამს
ხმის მეტი არ არის: 1, მაღალი ბანის თქმა, 2, მოძახილი და
3. ბანი; გ, როგორაცათაც ავტორის «სამშობლო ხმები» ამჟამ-
ცემს, იგი ყოვლად უვარგისისათვის [illegible] ყოველი დაბადებულ-
ისთვის [illegible] და მდაბიურად დასწყობის [illegible]
[illegible] თავი [illegible] სამშობლოს, რომლისთვის [illegible]
მოწოდებული არის. [illegible] მ. [illegible] მასწავლებლებს [illegible]
[illegible]

—მა) სიმღერები და გალობები, რომელნიც მას გაგონებით თუ სხვა ღონის-ძიებით შეუთვისებია. თუ აქვს კიდევ მომზადებული ქართული სიმღერები დასაბეჭდათ, ვურჩევთ შეაფურთხოს ეშმაკს და დახიოს, ანუ მეწვრილმანეებში გაჰყიდოს—გირვანქაში ორ შაურს მისცემენ და ესეც კარგია ამ ფულის ძვირობაში... ღვთის გულისათვის, უ. მ. მაჭ—ნო, ამყოფეთ ქართულის სალხინოს სიმღერას ის შეურაცხ-ყოფა, რომელიც თქვენ მიაყენეთ მას თქვენის «სამშობლოს ხმების» გამოცემითა!..

ქ. თელავი, სექტემბერი.

რომან ძამსაშვილი—ცამციევი.

## შინაური მიმოხილვა.

შემოდგომა უხვიაო, ამბობენ ხოლმე ქართველები და მართლაც უხვი გამოდგა ჩვენთვის წრევანდელი შემოდგომა, თუ ახალი სასწავლებლების გახსნით, თუ მათ გახსნაზედ ზრუნვით, თუ ახალი ლიტერატურული ორგანის შეძენით. გაიხსნა დ. ხონში სამასწავლებლო სემინარია; ქ. გორში—საქალებო სასწავლებელი; გაიმართნენ ქ. თბილისის სხვა-და-სხვა ნაწილებში პირველ-დაწყებითი შკოლები და კერძო პანსიონები; გარდასწყვიტა იმერეთის სამღვდელოებისაგან ქ. ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსება, სხვა-და-სხვა სოფლის საზოგადოებისაგან კიდევ ახალი სასოფლო შკოლების დაფუძნება; გამოიცა ქ. ქუთაისში ახალი ქართული გაზეთი „შრომა". ერთის სიტყვით, ღვთის მოწყალება არ დაგვკლებია ჩვენ ამ შემოდგომაზედ და არც არაფერი გვიშლის, რომ მაჭრით შექეიფიანებულებმა, სულ „ურა კამპანია" ვიძახოთ.

მაგრამ ამასთანავე მოვალენი ვართ, არამც თუ მარტო ვისურვოთ, ჩვეულებისამებრ ქართველთა, ახლად დაფუძნებული კეთილი საქმეებისათვის კეთილი მსვლელობა და შედეგი, არამედ ვადევნოთ თვალიც მათს მსვლელობას, ვუჩვენოთ გზა, რომლითაც იგინი უფრო მალე მიეღწევიან თავიანთ დანიშნულებას, გასაკიცხი მათი მხარეები გავკიცხოთ და საქები ვაქოთ.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენ გამოცდილებით ვიცით, თუ რა რიგათ ამ გვარი კეთილი საქმეები ხშირად ჩვენის დაუდევნელობით იფუშებიან ხოლმე და მოგების ნაცვლად ზარალს გვაძლევენ ხოლმე. აი, თუ გნებავსთ, მაგალითათ ავიღოთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამმართველო“ და მისგან გახსნილი შკოლები. ან გახსანა რა იყო ამ «საზოგადოების სამმართველოსაგან» თბილისში სასწავლებლისა და ან დაკეტა რამდენიმე თვის უკან, მაშინ, როდესაც ასე საგრძნობელია ჩვენთვის სასწავლებლების სიცოტავე? ნუ თუ «საზოგადოების სამმართველომ“ წინათვე არ იცოდა, რომ სასწავლებელი ხარჯს მოითხოვდა და ამ ხარჯს ვერ შეამსებდნენ ის რამდენიმე გროშები, რომლებიც მოსწავლეებს ხდებოდათ სწავლის ფასათ? ესევე «საზოგადოების სამმართველო» უჩივის ახლა მისგან დაფუძნებულს ბათუმის შკოლას და, ეჭვი არ არის, იმასაც მოელის ისეთივე ბოლო, როგორიც ჰქონდა თბილისის სასწავლებელს. სად ჰქონდათ ჭკუა «საზოგადოების სამმართველოს» წევრებს მაშინ, როდესაც ფაცი-ფუცით ხსნიდნენ ბათუმის შკოლას, სტოვებდნენ მამის სულს და პაპის სულს იხდიდნენ საფიცებლათ, გინდა საფიქრებლად? უჭკუობისაგან ღმერთმა დაიფაროს ისინი და რომ მოსაზრება და ენერგია აკლიათ—ამის თქმა კი დაურიდებლათ შეგვიძლიან ჩვენ, თუმცა კი ისინი ძალიან სცდილობენ, რომ გაიმართლონ თავი. რაც დაემართა საზოგადოებას და დაემართება — მის სამმართველოს დაუდევნელობის და წევრების ერთმანეთისადმი პიროვნობით მიდგომის ნაყოფი გახლავსთ. ჩვეულებრივ ერთი ვინმე პიროვნობითი სარგებლობისათვის წამოიძახებს, თუ ეს ასე ვქნათო — ყველანი თანხმდებიან და სდგება ოქმი. რა გასაკვირველია, თუ ღმერთი გრწამსთ, ამის შემდეგ, რომ

უფრო ის წიგნები იგზავნებიან სასოფლო სასწავლებლებში, რომლებიც შედგენილები არიან «საზოგადოების სამმართველოს» წევრებისაგან, უფრო ბევრი იმ სასწავლებლებში იგზავნებიან, რომლებიდგანაც ისინი არიან, უფრო ის წიგნები გამოიცემიან, რომლებიც რომელსამე მათგანს მოსწონს, ან რომელისამე მათგანის ნაცნობებისაგან, ან მეგობრებისაგან არიან შედგენილნი თუ გადმოთარგმნილნი? რა გასაკვირველია, რომ ფულები კი იხარჯება „საზოგადოებისა“ და ნაყოფი კი არსად სჩანს? რა გასაკვირველია, ბოლოს, რომ ზოგიერთს სამმართველოს წევრებს ჯერ სიზმრათაც არ მოსჩვენებოდათ თბილისის სასწავლებლის დახურვა, ის კი ერთის წევრის წყალობით უკვე დაკეტილი იყო?!....

ამ გვარი მაგალითები თვალ-წინ გვიდგანან და ამისათვის, ვიმეორებთ, ვალდებულნი ვართ ფხიზელნი ვიყოთ და უსწოროთ გზა ყოველ კეთილ დაწყებას. ამისათვისვე ვაისრულობთ ამ შემოდგომაზედ დაფუძნებულ კეთილ-საქმეებზედ ორიოდე სიტყვის წარმოთქმასაც. ვინ იცის, იქნება ღმერთმა ჰქნას და ჩვენმა ყივილმა გაალვიძოს ვინმე! ჩვენც მეტი არა გვინდა-რა ამ დროებით, „წერა-კითხვის საზოგადოების სამმართველოსავით“ ჩვენ უცბათ ცაში აფრენა არა გვსურს და ამითაც სრული კმაყოფილი ვიქნებით.

რაღა თქმა უნდა, რომ ყველა ჩვენგანისთვის სასიამოვნოა სხვა-და-სხვა სასწავლებლების გახსნა ჩვენში. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ზოგიერთი მათგანი არ არის მკვიდრ საფუძველზედ დამდგარი, ზოგი კიდევ ისეთი გარემოებებით არის მოცული, რომ, ვინ იცის, რა ბოლო ექნება. ხონის სემინარია რაღაც შემთხვევით აშორდა ქალაქ ადგილს და გაიხსნა დაბაში. მაღიან საფიქრებელია, რომ ამ გარემოებამ არ აზიანოს ის. თუმცა, როგორც გვესმის, დირექტორიც და მასწავ-

ლებლებიც ღირსეული პირნი არიან იქ ამ დროებით, მაგრამ საეჭვოა, რომ მუდამ ასე იყოს და ღირსეულ პირთ კი არჩიონ სოლმე უფრო ქალაქ ადგილს მოღვაწეობა. გარდა ამისა, როგორც მასწავლებლები, ეგრეთვე მოსწავლეები, ცოტათ არის, თუ ბევრათ, უეჭველია, მოკლებულნი იქნებიან ქალაქის საზოგადოების ზედ-გავლენას და სახელმძღვანელო-სამეცნიერო მასალებს. ვაი თუ ამ გარემოებებმა ეს ძვირ-ფასი სასწავლებელიც იმ მდგომარეობამდე ჩააგდოს, რა მდგომარეობაშიაც იმყოფება მარტვილის სასულიერო სასწავლებელი. ესლავე უნდა შეეცადნონ, ვისიც რიგია, რომ ხონის სემინარია დააყენონ იმ გვარად, რომ ასცდეს ყოველ-გვარ წინმსვლელობის დამაბრკოლებელ შემთხვევას, თორემ შემდეგ მის გასწორება სამხელოთ დაურჩებათ და იქნება შეუძლებელიც შეიქნას, როგორიც შეიქნა ხსენებული სასულიერო სასწავლებლის გასწორება. ამ სასწავლებლის დროებით ქუთაისში ყოფნამ ცხადათ დაგვანახვა, რომ მხოლოდ ქალაქ ადგილს გადატანას შეუძლიან მის წამხდარი მდგომარეობის გამოკეთება და წარმოიდგინეთ, თუ რა ზარალი მოელის ხონის სემინარიას, ვინიცობაა და გარემოება მოითხოვს მისგან ამ გვარათ ადგილის გამოცვლას ამ თავით დაუდევრელობისა და უყურადღებობის გამო!..

ჩვენ ძალიან თანაუგრძნობთ იმერეთის ყოველად სამღვდელოსაც და სამღვდელოებასაც ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის თაობაზედ; მაგრამ ძალიან კი სამხელოთ და საეჭვოთ მიგვაჩნია მისი კეთილ-დღეობა იმ მატერიალური შეძლებით, რომლითაც ისინი აპირობენ მის გახსნას. ას-ჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერიო, არის თქმულობა და ჭეშმარიტი თქმულობაც არის, დაყინებით და დაჩემებით ჯერ არავერი

გაკეთებულა ჱ თუ გაკეთებულა—ბოლოს სანანურათ დარჩენილა ხოლომე თავის უსაფუძვლობის გამო. ღმერთმა აშოროს ამ გვარი ბოლო მომავალს ქუთაისის სემინარიას; მაგრამ, როდესაც წარმოვიდგენთ იმერეთის სამღვდელოების სიღარიბეს, ზოგიერთებისაგან ეხლავე „დანოსების" წერას, სამეგრელოს და გურიის სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობას (ეს სასწავლებლები სამღვდელოების ხარჯით ინახებიან, რა გვარათ შესახვასაც უპირებენ მომავალს სემინარიას),—ძალა-უნებურათ გვებადება ეჭვი მისგან ბოლოს გატანაზედ. კარგი, ვსთქვათ, იმერეთის სამღვდელოება დაეთანხმა ყოვლად სამღვდელო გაბრიელის წინადადებას თუ ხათრით, თუ შიშით, თუ ჯილდოების მიღების სურვილით (ეს ყოველივე არამც თუ შესაძლოა, ნამდვილად ასეც გახლავსთ) და შესწირა რამდენიმე წლის თავისი ჯამაგირი, ვსთქვათ; გაიხსნა კიდეც ქუთაისში სასულიერო სემინარია ამ გვარათ სამღვდელოებისაგან შეწირული ფულით,—რამ უნდა შეინახოს შემდეგში ის, ან რა საშუალება აქვსთ ყოვლად-სამღვდელოს და სამღვდელოებას სახეში მის არსებობის გასაგრძელებლად? აი კითხვა, რომელიც უნდა პირველად ყოვლისა გარდასწყდეს. თუ კი ნამდვილად სემინარიის გახსნა სურსთ და სათამაშოთ არ მიაჩნიათ ამ გვარი მძიმე საქმე. იქნება ფიქრობდნენ, რომ რაკიღა დააარსებენ სემინარიას, მერე უმაღლესი სასულიერო მთავრობა იძულებული შეიქნება შეინახოს ის, როგორათაც ინახავს სხვა ამ გვარ სემინარიებს; მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ ეს ძალიან ძნელი მოსალოდნელია და თვითონ ყოვლად-სამღვდელო გაბრიელიც, როგორც განათლებული პირი, ეჭვი არ არის, გრძნობს ამას, თორემ სამღვდელოების შეკრებას, მუქარას და წაქეზებას თავს დაანებებდა და ეხლავე იშუამდგომ-

ლებდა მოხსენებული მთავრობის წინაშე სხვა ადგილების-და-გვარად ქუთაისშიაც სემინარიის გახსნას... იმ გვარად გახსნილმა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელმა, რა გვარადაც ქუთაისის სემინარიის გახსნა სურსთ, რა მოუტანა სამღვდელოებას, რომ ამ სემინარიამ რა მოუტანოს? საცოდავი სამეგრელოს სამღვდელოება, დაღარიბებული, დაცატაკებული დაიარება, ვეღარც სახლობას გახდომია, ვეღარც სასწავლებელს; ესეთივე მდგომარეობა არ მოელის მთელს იმერეთის სამღვდელოებასაც, ვინიცობაა და სემინარია გაიხსნა მის ხარჯზედ? ის ორიოდე გროში, რომელიც მას ხვდება ან ჯამაგირისაგან, ან მრევლისაგან (ნუ დაივიწყებთ, რომ სამეგრელოს სამღვდელოებას ეძლევა დრამა კომლზედ, ისიც მარტო გლეხობაზედ, ექვსი აბაზი და იმერეთის სამღვდელოებას ორი მანეთი) თითქმის ყველა სულ ამ სემინარიას მოუნდება და ან თითონ რითი იცხოვროს, ან შვილები რითი გამოზარდოს; და თუ შვილების გამოზრდაც აღარ შეეძლება სამღვდელოებას, ნეტავი თუ ვისთვის-ღა უნდათ სემინარია?! ამასთანავე სასულიერო სასწავლებლებიც, რაღა თქმა უნდა, მოითხოვენ მისგან, ახლანდელზედ უმეტეს შენახვას, როგორც სემინარიის საძირკვლები. და, ერთი გვიბრძანეთ, საიდგან და რითი?.. ერთის სიტყვით, რა მხრიდგანაც უნდა გავსინჯოთ ეს საქმე —სულ იმ დასკვნას გაწყდებით, რომ ძალიან და ძალიან აჩქარებული და გამოუცხობელი აზრია ჯერ-ჯერობით და სამღვდელოების ხარჯზედ ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნა. მარტო „დროებისაგან“ ყოვლად-სამღვდელო გაბრიელისადმი და იმერეთის სამღვდელოებისადმი ქების შესხმა ამ-გვარი კეთილი საქმისათვის საკმაო არ არის იმისათვის, რომ მართლ[illegible] თავები [illegible] და უხო-უკმლოდ [illegible]-

ლოთ ცხოვრებას ასპარეზზედ. დიდი და დიდი მოფიქრება ექნება ამ საქმეს, თუ კი თავი აქვს ვისმე და ტვინის განძრევა არ ეზარება...

რაც შეეხება სხვა სასწავლებლებს და პანსიონებს, რომლებიც კი ამ შემოდგომაზედ დაგვიფუძნდნენ, იმათზედ ერთი საზოგადო შენიშვნა უნდა წარმოვსთქვათ. თუ ეს სასწავლებლები და პანსიონებიც იმ გვარად და იმ გზაზედ წავიდნენ, რა რიგადაც სხვა ამ გვარები მიმდინარეობენ, უმჯობესი იქნებოდა სრულიად არ დაბადებულიყვნენ . . . და ერთი გვიბრძანეთ, ვისთვის რა საჭირო იქნება ამ გვარი სასწავლებლების არსებობა!... ქალაქ თბილისის გამგეობისაგან პირველ-დაწყებითი სასწავლებლების გამრავლება — ეს სასიხარულო და საქებადულო მოვლენა სრულიად ქარწყლდება იმ სენის წყალობით, რომელიც ქალაქის თვით-მმართველობას გვერდებში გასჯდომია. ეს სენი მდგომარეობს იმაში, რომ ხსენებული სასწავლებლებისთვის მასწავლებლების არჩევაში არ ხელმძღვანელობენ არავითარი პედაგოგიურ მოთხოვნილებით, რამდენსამე მთხოვნელებში ირჩევენ ჩვეულებრივ ერთს თუ ორს ვისიმე პროტექციით და არა გამოცდით, რის-გამოც ხშირად ხდება, რომ მასწავლებლობის ადგილს ისეთი პირები იჭერენ, რომლებსაც პედაგოგიისა იმდენივე ესმისთ, რამდენიც ასტრონომიისა თვით ქალაქის გამგეობის წევრებს. წრეულ განსაკუთრებით დაეტყო ეს ნაკლულევანება, რადგანაც ხსენებულ სასწავლებლებში მასწავლებლობის მსურველნი მეტად ბევრნი იყვნენ და მათ-შორის ზოგიერთნი იმ გვარათ პედაგოგიაში დახელოვნებულნი, რომლებიც არას რიგათ არ დაიწუნებოდნენ, მაგრამ მასწავლებლობა კი ხვდათ ისეთ პირებს, რომლებმაც თითქმის არც კი იციან, პედაგოგია — სასმელია, თუ საჭმელი. ქალაქის გამგეობას

ალბათ სურს სხვათა შორის იმით დაამტკიცოს თავისი თვით-მმართველობა, რომ ვინც უნდა — იმათ ირჩევს მასწავლებლებათ თავისგან გახსნილ სასწავლებლებში. მაგრამ რათ ივიწყებს, რომ ამ სასწავლებლებზედ ბევრათ არის დამოკიდებული მომავალი კეთილ-დღეობა ქალაქისა და ამიტომ განსაკუთრე-ბითი ყურადღება მისი უნდა იქმნეს მიქცეული მათზედ, ეს ყურადღება კიდევ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ რიგიანი მასწავლებლები ვყავდეთ მათ და არა გლახები. თუ საგლახაოთ მართავს ქალაქის გამგეობა სასწავლებლებს, მაშინ იყავ ნება მისი და ჩვენი სიტყვები უკან მიგვაქვს...

ერთიღა დაგვრჩენია წლევანდელი შემოდგომის ნაყოფათ — ქუთაისური ქართული გაზეთი „შრომა", რომელიც, ბევრათ არის, თუ ცოტათ, გვაძლევს იმედს და გვახალისებს. თუმცა ჯერ არც ბევრი ხანია, რაც გამოდის ეს გაზეთი და არც ბევრი რამ უმოქმედნია, მაგრამ ცხადათ ეტყობა მას სასურველი მიმართულება, ის მიმართულება, რომელსაც მოკლებულია მეორე ჩვენი გაზეთი „დროება" ყურნალ „ივერიასთან" და რომელიც შეადგენს მიუცილებელს მოვალეობას ყოველ კეთილ-სინდისიერ ყურნალისას და გაზეთისას. მართალია, ვერ ვიტყვით, რომ სრულიად უნაკლულო იყოს ეს ჩვენი ახალი თანა-მოძმე, მაგრამ მიღებულ მის მიერ მიმართულებასთან ყოველი-ვე მისი მცირეოდენი ნაკლულევანება ქარწყლდება და მხოლოდ „დროება"-„ივერიას", ამ ჩვენი დროებისთვის შეუფერებელ მიმართულების ყურნალ-გაზეთს, შეეძლო მის გაკენწლვა, თუ ვითომც და ბაქიაობისთვის, თუ ცალკე გამოსვლისათვის, თუ საზოგადო საქმისათვის ყოვლის ღონის-მიების ხმარების „შრომის" თანამშრომლებისაგან საქვეყნოთ აღიარება მართლა და არაფერს ჰგავს, როგორც გვაუწყა „დროებამ". მაშ-თუ-

თონ ეს დალოცვილი „დროება“ რაღასათვის უკმევს ხოლმე გუნდრუკს მცირეოდენი რამეს შემწირველებს საზოგადო საქმისათვის?! რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთების ცალკ-ცალკე გამოსვლას, მაშასადამე გამრავლებას, ეს არამც თუ გასაკიცხია, ჯერამედ საქებური და სასურველიც არის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც წლევანდლამდისინ მხოლოობითი ჟურნალ-გაზეთი „დროება“-„ივერია“ რაღაც თავისათვისაც გამოურკვეველი მიმართულებისაა, ან თვითონ „დროება“ და „ივერია“ კი კმაყოფილნი არიან თავისით შეერთებაზედ, რომ სხვასაც ურჩევენ მას? ჩვენ სრულიად სხვა აზრისა ვართ ამ შეერთებაზედ და ვნახოთ ერთი რამდენს ხანს კიდევ გაუძლებს იგი „დროებას“ და „ივერიას“!.. არც ჩვენ „შრომაზედ“ ჯერჯერობით არაფერი ურიგოს თქმა არ შეგვიძლიან. ვისურვოთ მხოლოდ, რომ მისი მეგრელი ძიძა გამოდგეს ისეთი ძიძა, რომელიც გაზრდილის ავათმყოფობაზედაც კი თმას იგლეჯს ხოლმე და ლოყებს იკაწრის, და მისი ქმიმი კიდევ არ ემგზავსებოდეს ეხლანდელ ჩვენს ქიმებს...

მ. გურგენიძე.

# ႰႤႣႠႵႺႨႨႱႠႢႠႬ ႱႠႷႭႥႤႪႧႠႥႭ ႱႠႷႳႰႠႣႶႤႡႭႧ.

მომავალს 1882 წელსაც ქართული საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „იმედი“ გამოვა იმავე პროგრამმით, იმავე მიმართულებით, იმავე სივრცით, (ე. ი. ოთხი თაბახიდგან ხუთამდის), როგორც ამ 1881 წელში გამოდის, და ახალი დასელოვნებული თანამშრომლების დახმარებით.

ფასიც ჟურნალისა დარჩება იგივე — წლიურის გამოცემისა თბილისში შინ მიტანით და სხვა ადგილებში გაგზავნით 8 მანეთი, ნახევარ წლისა 4 მ. 50 კ., სამი თვისა 2 მ. 50 კ., ცალკე ნომერი 1 მანეთი. **მხოლოდ ვინც მომავალ 1882 წლის იანვრის 1-მდის გამოიწერს მთელი წლის გამოცემას და ფულსაც გამოწერისათანავე წარმოადგენს — იმას დაეთმობა 7 მანეთათ.**

ხელის მოწერა „იმედზედ“ მიიღება ქ. თბილისში: რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ — № 12, ნემეცების სასაფლაოსთან, უ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში და უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: *Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „ИМЕДИ“.*

---

მომავალ 1882 წლის იანვრიდგან „იმედში“ დაბეჭდილ სტატიებისათვის ავტორებს მიეცემათ რედაქციისაგან ფასი ამ რიგათ: ორიგინალური სტატიისათვის ერთ ბეჭდვის თაბახზედ 8 მანეთიდგან 16 მანეთამდის, ნათარგმნზედ — 5-გან 10-მდის;

ორიგინალური ლექსისთვის სტრიქონზედ 3 კაპეიკიდგან 6 კაპეიკამდის, ნათარგმნზედ — 2-გან 4-მდის. სტატია თუ ლექსი უნდა იყოს გადაწერილი წმინდათ და გარკვევით. ვისაც ფასის მიღება სურს მათში, უნდა ზედ წააწეროს. სტატია ანუ ლექსი, რომელზედაც არ ექნება ავტორისაგან წარწერილი ფასის მიღების სურვილი, მიიღებს როგორც საჩუქრებს რედაქციისა.

თუმცა ამ 188 წელში სხვა-და-სხვა მიზეზების გამო თავისთავის დროზედ ვერ გამოდიოდა ჩვენი ჟურნალი, რისათვისაც ბოდიშს ვითხოვთ მკითხველებთან, მაგრამ მომავალს წელში ვეცდებით თვითოეული ნომერი გამოვცეთ უწყვეტად იმ თვის დამდეგს, რომელსაც ის ეკუთვნის, და შინაარსითაც გავაუმჯობესოთ.

დასასრულს არ შეგვიძლიან არ ვუძღვნათ გულითადი მადლობა ამ წლის ჩვენს ხელის-მომწერლებს, რომლებმაც თავიანთის თანაგრძნობით მოგვცეს შემწეობა ჟურნალის-დაფუძნებისა და მის გამოცემის გაგრძელებისა. აგრეთვე არ შეგვიძლიან არ ვუძღვნათ გულითადივე მადლობა ყველა ჩვენ თანამშრომლებს, რომლებმაც უსასყიდლოთ სტატიებით ხელი შეგვიწყეს და გვიწყობენ, და მესტამბეს ექვთიმე ხელაძეს. ვიმედოვნებთ, რომ საკვლავოდაც ყველა მოხსენებული პირები არ მოგვაკლებენ თავიანთ თანაგრძნობას და შემწეობას ჩვენგან ნატვირთ საზოგადო საქმეში.

რედაქტორი & გამომცემი მიხეილ მურვანიძე.

474
1881

მომავლის 1882 წლის „იმედზედ" ხელის-მოწერა მიიღება ქ. თბილისში: რედაქციქში, რომელიც იმყოფება კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ, ნემენცების სასაფლაოსთან, № 12, უ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში და უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით: *Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала* ***„ИМЕДИ."***

ფასი წლიურის გამოცემისა გაგზავნით სხვა ქალაქებში და თფილისში შინ მიტანით არის 8 მან.

ნახევარი წლისა. — — — — — 4 მ. 50 კ.
სამი თვისა — — — — — — 2 მ. 50 კ.
ცალკე ნომერი ღირება — — — — 1 მ.

ვისაც ჟურნალი მისდით და ხვედრი ფული ჯერ არ შემოუტანიათ, ვთხოვთ მალე წარმოადგინონ. ვთხოვთ აგრეთვე იმათაც, ვისაც მარტო პირველი ნახევარი წლის ფასი აქვსთ წარმოდგენილი, მალე გამოგზავნონ მეორე ნახევარ წლის ხვედრი ფულიც.

ვისაც რომელიმე ნომერი ჟურნალისა არ მისვლიათ, ან არ მიუღიდესთ, ვთხოვთ გვაცნობონ და დაკარგული ნომრები გაეგზავნებათ ხელ-ახლად.

რედაქციაზედ დამოუკიდებელის მიზეზისა გამო ზოგიერთი სტატიები, გამზადებული ამ ნომრისათვის, არ დაიბეჭდენ, ზოგი დაიბეჭდენ არა სრულიად. ეს იყო მიზეზი, რომ ეს ნომერი გამოვიდა ასე გვიან და სხვა ნომრებზედ პატარა. ოკტომბრის და ნოემბრის ამ წლის ნომრები გამოვლენ ერთად 15 დეკემბრისთვის და დეკემბრისა მომავალი 1 იანვრისათვის.

რედაქტორი და გამომცემი მიხეილ ყურგენიძე.